

1964/3



Հայաստանի Հանրապետության Ազգային Գրադարան

ՄԵԼԻՍ

19364



ლიტერატურულ-მხატვრული და
საზოგადოებრივ - პოლიტიკური
ჟურნალი

საქართველოს მშვიდობის
კავშირის აჭარის
ბანუოფილავის ორბანო

შ ი ნ ა ა რ ს ი

რ. ართილაყვა — მზის საგალობელი (ლექსი)	3
ფრ. ხალვაში — ჩემი ცოლი მიწერი (მოთ- ხრობა)	5
ნ. გვარიშვილი — ლექსები	12
ბ. სურგანიძე — გაიცინა ალიონმა (ლექსი)	14
ნ. ჩხიძე — კრიმანჭულა (მოთხრობა)	15
მ. ვარშანიძე — ლექსები	28
პ. მგაშია — ლექსები	31
გ. მუთათელიძე — მეფეოვე (ესკიზი)	33
ლ. ნუცუბიძე — ლექსები	35
ონელო პარდოსო — ჩემი და ვისსია (მოთხრობა, თარგმანი პ. ჩარკვიანისა)	36

დღეები და აღმშენებნი

ი. ცხრცხაძე — დაუვიწყარი დღეები	40
---------------------------------	----

ლიტერატურული კალენდარი

პ. ჯაფარიძე — ქართული შექსპირიანა	44
ნ. გუგუნიძე — გამოჩენილი ქართველი პოეტი	48

კრიტიკა და კუგლიციხეტიკა

ზ. ართილაყვა — კომუნიზმის მშენებელი ახალი ადამიანის აღზრდა	53
ნ. ინჟირველი — აწერბაიჯანელი და ქართ- ველი ხალხების მეგობრობის ისტორიიდან	57
მ. იშვანთოვიძე — „ვეფხისტყაოსნის“ უნგრული თარგმანისათვის	60

8148

3

1964

მედიის
ივნისი

მ. ქუჩინძე — აკაკის ერთი ლექსისა და პოლე- მიკის გამო	63
პ. ჯორჯენაძე — ბრძოლა რესპუბლიკური ესპანეთის დასაცავად და საზღვარგარე- თული ლიტერატურა	68

ხელოვნება

ვ. ბინაძე — პოეტური განცდის მსახიობი	75
--	----

აჭარის წარსულიდან

ვლ. მგელაძე — ხალხური მმართველობის ისტორიიდან აჭარაში	81
ნ. ჩიჭავაძე — სამიწათმოქმედო ყოფის ზოგი- ერთი უძველესი წეს-ჩვეულება აჭარაში	85

წიგნის თარო

ი. თულაშვილი — პატრიოტული წერილების კრებული	90
ბ. რამიშვილი — მნიშვნელოვანი ნაშრომი საქართველოს ძველი ქალაქების შესახებ	92

სატირა და იუმორი

ბ. შერვაშიძე — უკულმართი (მოთხრობა)	94
---	----

რედაქტორი შოთა ქურდიე

სარედაქციო კოლეგია:

ნ. ახვლედიანი, ნ. გვარიშვილი, მ. ვარშანიძე (პ/მგ. მდივანი),

პ. ლორია, აღ. ჩავლეიშვილი, ფრ. ხალვაში.

რედაქციის მისამართი: ბათუმი, გოგებაშვილის ქ. № 24.

ტელეფონები: რედაქტორის — 33-71, პ/მგ. მდივნის — 33-72.

ჩვენს პათილავსა

მზის საგალობელი -

დილის ნისლში იცრება
ლურჯი, ლურჯი ზეფირი,
ჩანჩქერები გადმობის,
როგორც ლექსი ზეპირი,
მოისარკა ცამ სახე,
დაიბანა მზემ პირი.

მზეო დიდსულოვანო,
დედამიწა გებაროს,
დილის ნისლის ნაყურით
პირი მუდამ გებანოს,
თანაც შავი ღრუბელი
პირს არ გადაგეფაროს,
ხალხის სამსახურიდან
ხელი არ დაგებანოს.

დილის ნისლი გშვენოდეს,
როგორც თეთრი მანდილი,
სიყვარულმა ჩვენამდე
შეგიმოკლოს მანძილი,
დაგავიწყოს მან დაღლა,
დაგავიწყოს მან ძილი.


ეს მიწა და ეს ზეცა
ასე რომ შეგვაყვარე,

ყოველ დღის გათენებაც,
ბარემ, შენვე გვახარე
და სიცოცხლის სხივები
უხვად გადმოგვაყარე.

მიწა შენგან აივსოს
ხვავითა და ბარაქით,
შენგან იყოს წყალსავსე
მტკვარიცა და არაგვიც,
ავგიყვავე, გვიმრავლე
სოფელი და ქალაქი.

გვიღლეგრძელე ნათელი,
ბნელს მიეცი ზიანი,
ყველა სულდგმულს აჩუქე
ასი წელი მზიანი,
გქონდეს ადრე ამოსვლა,
ხოლო ჩასვლა გვიანი.

მზეო, შენი წყალობით
ჩვენ კაცობა შევძელით,
მზეო, მიწა გვიხარე
იითა და ენძელით,
მზეო, შენი წყალობით
ჩვენ კაცობა შევძელით,
მზეო, იყავ დღეგრძელი,
მზეო, იყავ მზეგრძელი.



ფრიდონ ხალვაში

ჩემი ცოლი მინერი

მხოლოდ ერთი წელია ქარხანაში ვმუშაობ, მაგრამ უკვე დაოჯახებული ვიყავი და მუშათა კრებამ ბინაზე უარი არ მითხრა.

კიბეებზე ჯერ ისევ ცემენტის მტვერი და ბეტონის ნატეხები ეყარა, სახლში შეუშვრალი საღებავების, კირისა და ნესტის სუნი იდგა.

მაგრამ ბინა მივიღეთ...

მინერი სატვირთო მანქანის კაბინაში დავტოვე, ერთ ბოხჩას ხელი წავავლე და გასაღებმომარჯვებულმა კიბე ავირბინე.

კარი შევალე, ბოხჩა კუთხეში ვისროლე და სასწრაფოდ უკანვე, ეზოში ჩამოვედი.

ბარგი ცოტა გვექონდა. შოფერი დაგვეხმარა და მალე ჩვენს ახალ ბინაში მარტონი დავრჩით.


სიხარულით გაბრუებულები სრულებით არ ვაქცევდით ყურადღებას ისეთ უბრალო რამეებს, როგორცაა ამოცვენილი პარკეტი თუ აივანზე გასასვლელი კარი, რომელიც არ იხურება.

იმიტომ, რომ მთავარი ახდა: ბინა მივიღეთ.

თეთრი კედლები ისე ქათქათებდა, თითქოს მთელი ქვეყნის სინათლე შიგ შეღვრილიყო და ჩვენი ხმაურით გამოღვიძებული ოთახი იმნაირ ეზოს გამოსცემდა, გეგონებოდა ისიც მხიარულად რალაციით გვაქეზებს და ჩვენსავით ახალგაზრდული მოუთმენლობით დელავსო.

რაც იყო, მივალაგ-მოვალაგეთ. ბოლოს, ორად-ორი სკამი ოთახის შუაგულში დავდგით, ზედ ჩამოვჩქქით და ერთიმეორეს თვალებში შევაცქერდით.

ოთხი თვის შერთული მყავდა მინერი. რატომღაც ყოველთვის ჩვეულებრივზე დაბალი მეჩვენებოდა, მაგრამ ჩემთან რომ გაჩერდებოდა, თმები შუბლზე მეხებოდა.



ასეთი სიმაღლე კი, ჩემი აზრით, საკმარისია ქალისთვის.

თმებს რომ შუბლზე მომისვამდა, უნებურად ხელს მოვხვევდი, წუთით გავრინდებოდი, ცხვირს კულულებში ჩავურგავდი და უცნაური სევდით და ნეტარებით მეგონა ნაცნობი ბალახების, ფოთლებისა და წვიმების სურნელს ვყნოსავდი.

ჩვიდმეტი წელიწადი სოფელში ვიცხოვრე და ახლა, ქალაქში რომ ვართ, თითქოს სული მეხუთება, ახალნაწვიმარ მიწაზე ფეხშიშველა სირბილი მენატრება. არ იქნა, ვერ შევეჩვიე ცხელი ასფალტის სუნს, ამდენ გრუხუნს, ამდენ ფაციფუცს და რალაცნაირ არაბუნებრივ საზიზღარ შავ ტალახს, კიბის ძირებში და ტროტუარების კიდეებთან რომ გაჩნდება ხოლმე. სოფლის ტალახი სუფთაა და ლამაზიც. ხელში ავიღებ, თუ გინდ მოვხელ, დავაგორგვალებ, გუნდასავით ვისვრი. ამას კი, აქაურ ტალახს, დასანახავადაც ვერ ვიტან.

მაგრამ მინერის შემდეგ ყველაფერს ნელ-ნელა შევეწყვე, გავუშინა-ურდი და ჩემი მოუხეშავი, ჯიუტი ხასიათი მოთმინებას მივაჩვიე. რადგან მინერი ქალაქელი იყო, მეგონა, ეწყინება ჩემი ბავშვური აზრები რომ გავუმხილო-მეთქი და სოფელზე ფიქრებს ვუმალავდი, თითქოს ამით მისთვის სასიამოვნო რამეს ვაკეთებდი.

სავსებით მოულოდნელად გავიცანი იგი გასულ გაზაფხულზე.

მოულოდნელად კი არა, გავიცანი მეორედ...

კვირა დილას თევზის ბაზარში გავიარე. სასიკეთოს ვერაფერს შევხვდი და მოედანზე დავიწყე ყიალი, იმ მოედანზე, სადაც ყოველთვის მიჯრით დგანან მთაში მიმავალი ავტობუსები და კალათ-ხურჯინიანი სოფლელები ერთმანეთში ირევიან.

ვიღაცამ დამისტვინა. მოვიხედე: ტაქსის ნაცნობი შოფერი ხელს მიქნევს. მივედი, უკან ქალიშვილი უზის. ვიფიქრე სხვანაირადაა-მეთქი საქმე, მაგრამ ისეთი სერიოზული კილოთი გამიბა ამ ჩემმა ნაცნობმა საუბარი, რომ მივხვდი, უკან, გოგოსკენ ხშირ-ხშირი გადახედვა ამ კაცს გააჩავრებდა.

მაგრამ როგორც თვალი მოვკარი, ქალიშვილი უცნაურად ილიმებოდა.

თამაზს ეძახდნენ ამ ბიჭს. წაბლის ბუძგივით მაგარი წვერი ჰქონდა, რომელსაც იშვიათად იბარსავდა.

მეც წინ დავუჯექი და უმაღვე ზღვისპირა ქუჩაზე აღმოვჩნდი.

— იცნობ? — დაბალი ხმით და მალული ღიმილით მკითხა შოფერმა და ცერი უკან მჯდომ მგზაურისაკენ გაიშვირა.

ახლა კი უნებურად მივაბრუნე თავი და ერთგვარი დაბნეულობაც ვიგრძენი. მგონი, ცოტა ფერიც მეცვალა. ქალიშვილმა თვალები დახარა.

ჰოდა, წარმოიდგინეთ, თითქოს მეცნო ოდნავ.

თამაზი ეშმაკურად ილიმებოდა, თან სარკეში ხედავდა ყველაფერს.

მანქანა საზღვაო ვოგზალთან გააჩერა, კარი გამიღო და, „უკან გადა-
ჯექიო“, მითხრა. გადაჯექი, მოვიხედე, თვითონ აღარსად ჩანდა. ძალიან
უხერხულ მდგომარეობაში აღმოვჩნდი. ენა ჩამივარდა, სუნთქვა გამიბ-
შირდა, სულ ერთიანად დავიშალე, მაგრამ იმდენი ძალა მოვიკრიბე, რომ
გადავწყვიტე ვარეთ გავვარდნილიყავ, თამაზი მომენახა და ერთი მაგრად
გამელანძღა.

— ეს ჩემი ბრალია... — მორცხვად მითხრა ქალიშვილმა. — მე ვუთ-
ხარი დაუძახე-მეთქი. მე... მინერი ვარ. არ გახსოვს?..

მეგონა, თეატრში ვიყავი და წარმოდგენას ვუყუარებდი. ამიტომ ყო-
ველგვარ მოულოდნელს უკვე მშვიდად დაველოდე და ისეთი სახე მივი-
ლე, ვითომ ეს ამბავი არც კი მეხებოდა.

თორემ აბა როგორ არ მახსოვდა მინერი. ტექნიკუმში რომ ვსწავლობ-
დი, ბინად ვიყავი მასთან. მამა ომში დაედუბა, დედა პროდუქტების მაღა-
ზიაში მუშაობდა და ძალიან ბევრი რამე მოჰქონდა სახლში, თუმცა მე არ
მაჩვენებდა, სულ მალავდა, მაგრამ მარტო რომ დავრჩებოდით, მინერი
ჩემს ბუჭულია ოთახში შემოზიდავდა მრავალნაირ ძეხვის ნაჭრებს, ნამცხ-
ვრებს, ტკბილეულს და ისეთ ჭამა-ყლაპას გავაჩაღებდით, ყასაბსაც შე-
შურდებოდა.

ტექნიკუმის ბოლო კურსზე ვიყავი. მინერიც წამოიზარდა, მხრები
დაუმრგვალდა, ტუჩები დაუსქელდა, დასერიოზულდა. ისე სირბილით
აღარ ჩაივლიდა კიბეს, უფრო ნელა, ქალური სიმსუბუქითა და სიკობტა-
ვით ჩაათავებდა საფეხურებს. თმდაუვარცხნელი და საშინაოდ ჩაცმული
თითქმის აღარ მენახებოდა. გული მტკიოდა, მენანებოდა მისი ლამაზი,
გულუბრყვილო და ლალი ბავშვობის ასე უეცრად დაკარგვა. ჩემთან სია-
რულიც გაამეჩხრა. მაგრამ როცა შემოვიდოდა, რატომღაც თვალებს ვერ
მისწორებდა. მეტყოდა რაღაცას, არც ჩამოჯდებოდა და უმალვე გავიდოდა.

ერთხელ, ივლისის ცხელ საღამოს, როცა ჩემს ოთახში ბარგშეკრული
ოჯახის დედას ველოდებოდი, რომ მადლობა გადამეხადა და თან დავმშვი-
დობებოდი სამუდამოდ, მინერი შემოვიდა, სკამზე ჩამოჯდა, თვალები სევ-
დიანად მომაშტერა და აკანკალებული ხმით მითხრა:

— ალბათ, უმადლესში წახვალთ.

— კი. — ვუბასუხე.

— მეც წამოვალ, მაგრამ... — ენა დაება. მე გამეცინა. მერე თითქოს
შემებრალა. სერიოზული სახე მივიღე, გავუგე და სადღაც ჩუმი ტკივილი
ვიგრძენი თითქოს. მერე შემომხედა, მომეჩვენა, თითქოს თვალებიც ამ-
ღვრეოდა.

— მეგონა, სულ ერთად ვიქნებოდით... — თქვა ხმადაბლა, ჩუმი
ამოიგვნეშა, სწრაფად წამოდგა და, ჩემკენ არც შემოუხედავს, ისე გავიდა.

გული დამეწვა და პატარა სარკმლიდან ზღვისკენ გავიხედე. დასავლეთის ცას ჭვარტლისფერი ღრუბლები მოწოლოდა. ალაგ-ალაგ კი გაპობილიყო და სისხლივით წითელი ცის ნაჭრები მოჩანდა. ღრუბლებს შორის დარჩენილი ერთი მეწამული ტიალი ალაგი ჩემს სარკმელს მივამსგავსე და უცებ წარმოვიდგინე, ვითომ სწორედ იქიდან გადავყურებდი მთელ სამყაროს, ხოლო ეს აჭრელებული უსახლვროება იღუმალი ჩურჩულითა და სველი თვალებით რაღაცას მეუბნებოდა, მაგრამ მე არაფერი მესმოდა და ძალიან მწყინდა, რომ ვერაფერს ვხვდებოდი.

— შოფერი ვინაა? — განგებ მოულოდნელად ვკითხე მინერს მაშინ, როცა ასეთ მოგონებაში ჩაძირული მის გვერდით ვიჯექი.

— ის? არავინ... არც ვიცნობ. მაგრამ დავჯექი თუ არა, დაგინახე. გიციანი და ვთხოვე დაეძახა. ჩემთვის უხერხული იყო... — ისეთი გაბედულებით მიყვებოდა სიმართლეს, რომ გავიფიქრე, ეს გოგო, ალბათ, წახდა, მამაკაცებთან საუბარს შეეჩვია, ცუდ გზას დასდგომია-მეთქი. მერე, თვალებში რომ შევხედე, ისევ ის წინანდელი ბავშვობის ანცი და უმწიკვლო სინათლის თამაში შევნიშნე და გული ისევ მომიღბა.

შოფერი მობრუნდა. უეცრად საშინელი სისწრაფით თეთრი „ვოლვა“ მოგვიახლოვდა და იქვე, ჩვენს ახლო, წრიბინით დამუხრუჭდა. შავულვაშიანი სქელი ბიჭი სწრაფად გადმოვიდა, ჩვენკენ გამოქანდა, კარი გააღო და პირდაპირ მინერს მიახალა:

— შენ სად მიდიხარ! — შევატყვე, ხმაში ნამეტანი მღელვარება ეტყობოდა, თუმცა ძალიან ცდილობდა ეს დაეფარა და ვაჟკაცური გაბედულება გამოეჩინა. მაგრამ მინერს თავიც არ მიუბრუნებია მისკენ.

— შინ მივდივართ, — გულდამშვიდებით უთხრა ვაჟს და განსაკუთრებულად გამოჭრა მეორე სიტყვის დასასრული.

ვაჟმა ცივად და მრისხანედ შემათვალაიერა, თვალით გამზომა, რაღაც გადაწყვიტა, მაგრამ შესრულება ველარ გაბედა, კარი მოგვაჯახა და გაჯავრებული ბუზღუნით უკანვე გაექანა.

ჩვენი მანქანაც დაიძრა. არაფერი ვიცოდი, საით და რატომ მივდიოდით. რუსთაველის ქუჩაზე, დედათა სახლთან, შევაჩერებინე და ორივე ძირს ჩამოვედით.

— უსინდისო... — მივხვდი იმ ულვაშიან ვაჟზე ამბობდა მინერი, — აღარ მომცა საშველი. ველარსად გამივლია მაგის გამო. ვიცი არსად არ მუშაობს, ფული კი ოხრად აქვს.

— მინერ, მე რად მინდა ეს ამბავი?!

— არა, გადავწყვიტე დღეს გითხრა ბევრი რამე. გითხრა, რაც მაწუხებს, თუ გინდა გაგძულდე...

„გაგძულდე“. ეს რაღაა?! ჯერ სიყვარულზე რა გვითქვამს, რომ ახლა სიძულვილზე ვილაპარაკოთ?!

— ჰო, ასე მინდა. — განაგრძო გულამომჯდარმა ქალიშვილმა. — დენი ხანია გელოდები, არაფერს ამბობ. მე კი, რომ იცოდე რა ვარ... მარტო იმიტომ, რომ მიყვარდი.

ერთი უცებ გონებაში გამკრა: ხომ არ მომიწყვეს ეს დღევანდელი სცენა?

ყველაფრის თქმა რა საჭიროა და ისე კი მალე დავრწმუნდი, არაფერიც არ მოუწყვიათ. პირველი ბუნდოვანი ეჭვები წაიშალა, გული ბედნიერების ყრუანტელით აივსო და უმინეროდ ყოფნა საშინელ სიცარიელედ იქცა.

იმ წუთში, ახალმიღებული ოთახის შუაგულში ორად-ორ სკამზე რომ ვიჯექით და ერთმანეთს თვალეში შევეყურებდით, ყველაფერმა ამან თვალწინ ჩამიქროლა და მეგონა მინერიც ხედავდა ჩემს ფიქრებს და ამიტომ ბოლოს უეცრად გადავიხარხარე. მინერს, წარმოიდგინეთ, არც გაღიმებია, ადგილიდან უცნაურად წამოიჭრა და შემოსასვლელ კარებს მიადგა. ალბათ, ვილაკამ დაუძახა, — ვიფიქრე. წამოვდექი და უკვე გაღებულ კარებში მეც გავიხედე. ჩვენი მოპირდაპირე ბინაც ღია იყო და შიგ ბარგს ეზიდებოდნენ. ერთი თვალის გადავლებით ვერავინ ვიცანი და ოდნავ გამიკვირდა, ჩემი ქარხნის საცხოვრებელში უცნობი ვინ უნდა შემოესახლებინათ-მეთქი. ამ დროს ღია კარებს სქელი, უღვაშიანი ახალგაზრდა კაცი მოადგა. ჰო, სწორედ ის იყო, თეთრი „ვოლგით“ კინალამ რომ დაგვეჯახა. გადავირიე: საიდან მოახერხა ამ უსაქმურმა ბინის მიღება... მინერი უკვე ოთახში შესულიყო და მოწყენილი გადაჰყურებდა ქუჩას ფანჯრიდან.

არაფერი მითქვამს. კარი მივხურე და საუბარი სხვა თემასზე გავაბი. ძალიან მესიამოვნა, რომ მინერს მალე გადაავიწყდა ყველაფერი და ახალი პატარა ოჯახის საქმეებით გაერთო.

მეც თავი დავანებე უსიამოვნო ფიქრებს მეზობელზე და ჩვეულებრივად დავდიოდი სამუშაოდ.

მეზობელი ბინის კარი მუდამ გამოკეტილი იყო. პატრონი არსად ჩანდა. ყოველ შემთხვევაში, მე არ შემხვედრია.

შემოდგომისპირზე მინერს ბორჯომის საგზური ვუშოვე. მე უვებულემა არ მეკუთვნოდა, ამიტომ მარტო გავგზავნე. დაისვენა, მოკეთდა, ოდნავ თითქოს გამოიცვალა კიდევ და აი ამნაირი დამიბრუნდა. შევხედავდი, გაზრდილი, ამაღლებული, დასრულებული მეჩვენებოდა. საღამოობით კინოში სიარულს მივეჩვიეთ. კინოდან დაბრუნებულებმა ერთხელ სახლის შესასვლელთან ჩვენი მეზობელი ვოლგიანი ბიჭი და ერთიც უცნობი შევნიშნეთ. არ მესიამოვნა. რატომ არ ვიცი, მაგრამ არ მესიამოვნა.

ჩავუარეთ.

მინერი მიესალმა.

ვაჟმა მაღალფარდოვანი ღიმილი გაგვაცოლა და მომეჩვენა, თითქოს მეგობარს თვალი ჩაუყრა.

მეორე დღეს გვიან მოვედი.

კარებთან უღვაშიანი მეზობელი დამხვდა, მინერს რაღაც გამოართვა, მადლობა გადაუხადა საგანგებო თავმდაბლობით, თავისი კარები გააღო და შიგ შეიმალა.

— გასაღები დატოვა და ახლა წაიღო, — განმიმარტა უცნაური სიზუსტით მინერმა, თუმცა არაფერი მიკითხავს!

— რაღა შენ დაგიტოვა, მინერ. — ვეღარ მოვითმინე.

— ბოლოს და ბოლოს, მეზობლები ვართ. — მიპასუხა მტკიცედ.

მე აღარაფერი ვუთხარი. ვიგრძენი, რომ საქმე სხვანაირ მიმართულებას მიიღებდა.

გულდაბეგვილი ჩავწექი ლოგინში. მთელი ღამე არ დავლაპარაკებინარ ცოლს. გამთენიას ძილი გამიტყდა, ავდექი და უჭმელი გავიპარე.

საღამოს ბიჭებმა კაფეში შევიარეთ. ორ-ორი კონიაკი გადავკარით და კინოში წავედით. მერე თითოც დავიმატეთ სამწვადეში და პირველზე შინ მივედი. ეზოდან შევიხედე, ჩემი ოთახი ჩაბნელებული იყო. იქით კი, მეზობლის ფანჯრიდან სინათლე გამოკრთოდა. რა დროში ავირბინე კიბე არ მახსოვს. კარს მძლავრად მივაწექი და ყური მივუგდე. ვერაფერი ხმა ვერ გავიგონე. თვლებზე რაღაც შავი ვადამეფარა და ცხელმა ტალღამ ტანში დამიარა. მივტრიალდი და მეზობლის კარს დავეჯახე. მთლად წარმოდგენილი არ მქონდა რას ვიზამდი, იქ რომ შევევარდებოდი და მინერს დავინახავდი. ამ დროს რაღაც ხმაურმა მომაბრუნა. ჩემი ბინის ღია კარებში გოცეებული მინერი იდგა. შემოვბრუნდი, ქალისათვის არც შემიხედავს, ისე გაქანებული შევიჭერი შინ, ლოგინზე გაუხდელად გავიშლართე. არ ვიცი როდის ჩამეძინა.

თვალი რომ გავახილე, მინერი ფანჯარაზე გადაწოლილი დავინახე. ფანჯარაში აღმოსავლეთის ცა მოჩანდა ჭვარტლისფერი სქელი ღრუბლებით. თენდებოდა. ღრუბლები აქა-იქ გაღებულებოდა და სისხლივით წითელი ზეცის ნაჭრები მოჩანდა. მინერის სახლის სარკმელი მომაგონდა მოულოდნელად.

ღღის ბოლოს მინერი ქარხნის გამოსასვლელთან დამხვდა. თვლები წინანდელი ბავშვური შუქით აევსო და უცნაური ღიმილით მომეგება. ხელი მკლავში გამომდო, ავტობუსის გაჩერებას გვერდი აუქცია და მალე რუსთაველის ქუჩაზე აღმოვჩნდით.

— იცი რა? — მითხრა, — ზუსტად ჩვენისთანა ბინა ვიშოვე. გადავ-
ცვალეთ. ა, რას იტყვი?

ვერ მოვახერხე რაიმეს თქმა, თორემ ბევრი რაღაცა მინდოდა შეთქვა-
გვიანი შემოდგომა იყო, დღეები დამოკლებული და ქუჩები
უეცრად შეიბინდა.

დედათა სახლის პირდაპირ ხესთან გავჩერდით.

რაღაცა უხაროდა და ბავშვურად, დაულაგებლად მეჩურჩულებოდა.

— იცი რა? — მითხრა ბოლოს. — მომეცი ხელი.

ჩემი მარცხენა ხელი ფრთხილად წაიღო და მუცელზე მიიღო.

როცა შევეხე, ყველაფერს მივხვდი და სულ გამოვიცვალე. ვიგრძენი,
მინერში ჩემი სიცოცხლე სუნთქავდა. ისეთი სითბო, ისეთი სიახლოვე ვი-
გრძენი, რომ ჩახუტება მომინდა, მაგრამ ამის მაგივრად ხელი ჩავავლე
მკლავში და ჩქარი ნაბიჯით გავემართეთ.



ნანა გვაჩიშვილი გაზაფხულზე

ასკილებით კორდი ისევ მოიკაზმა,
ჩვილი ჩითილების ფესვი მიწას ერთვის...
კვლავ მოედო ბაღჩებს
იაზმა, იაზმა, იაზმა,
თეთრი, თეთრი, თეთრი.

უსახელო ყვავილი

თოლიების ფრთები მხურავს,
არ კი გავითელო.
უსახელო ყვავილი ვარ
ზღვისპირეთის მდელოს.
საქართველოს ლურჯი ზეცა
გულზე მადევს ხატად.
უბრალო ვარ, არც კი ვღირვარ სადმე დასახატად.

წვიმა ბათუმში

ო, ჩვენმა ზეცამ თუ იცის მარტო
ასე ამდენი წყალის წყალობა.
იღუმალ ფიქრებს სულში გაწვიმებს
თუნუქიანი ჭერის გალობა.
ნეტავ, ვინ გადო ღრუბლის კორდებზე
ასე ამდენი წვიმის ღარები?

პატარა პალმებს კისერში ესხმით
ცივი ჩხრიალა ნიაღვარები.
მუხლამდე წყალში ჩადგა ქალაქი.
მერე ანაზდად აივსო მზითა...
მოვიდა ერთი შვიდფერა გოგო
და ყველა წყალი ცაში აზიდა.

* * *

ო, ფილაქნებზე ყრია ფოთლები
ფეხქვეშ სათელი, ყვითელ-ყვითელა.
ხეს აუწვდია ზეცისკენ ხელი
და ახალ ზურმუხტ ბუტკოებს ელის.
შენ რამ შეგაკრთო,
ჩემო წამწამო,
რისთვის ხარ სველი?!

* * *

მსუბუქი სუნთქვა
ყაყაჩოს მიწვდა.
პეპელას არ სურს სხვასთან.
თუ მოველ შენთან,
რად დაგავიწყდა?! —
ღელეც ხომ მიდის ზღვასთან.





ამიკან სუკმანიძე

ზ ა ი ც ი ნ ა ა ლ ი ო ნ მ ა

გაიცინა ალიონმა
და აფრინდნენ ტოროლები,
ტრაქტორისტი მინდვრად მიდის
მხიარული „ოროველით“.

გაღულოცა ალავერდი, —
ნაკადულმაც მისცა ბანი...
აქვს სალოცავ-საფიცარად
მისი მთა და მისი ბარი.

„ეს ღღეც მშვიდი დარისაა,
სულ მზე გედგას, მიწავ ტკბილო!
მთაში ირმის ნამუხლარზე
მგელმა არსად გაირბინოს.“

ღე, სძინავდეს ბავშვებს მშვიდად,
დააობლებთ ომი ნულარ,
გაგვეზარდონ დიდნი, დიდნი
და ჩაგვიდგნენ მხარში უღლად.

მერე ზოგი ცად აფრინდეს,
ზოგი ტეხდეს ჯიუტ ყამირს...
თქვენ მოგძახით გადამთიელთ:
ომი, სისხლი უარყავით!

შენ, პარტიავ დიდ ლენინის,
შემოგვევლოს თავი ჩემი,
შენ მშვიდობის სარდალი ხარ,
იმედი და გადამრჩენი!

შენ არ მისცემ არვის ნებას,
რომ მოუკლან მამა ბალებს...
შენს ძახილზე სად არ წავალთ,
სად არ გავშლით ბაირალებს,
მწყურვალ მიწას წყაროს ვასვამთ
და ყამირებს გავაბალებთ!“

გაიცინა ალიონმა
და აფრინდნენ ტოროლები,
ტრაქტორისტი მინდვრად მიდის
მხიარული „ოროველით“.



საკალინის მხარე

კ რ ი მ ა ნ ჯ უ ლ ა

სოფელ ნაღოს მეცხოველეობის ფერმის გამგეს ბაგრატა ბაჯელიძეს კოლმეურნეობის გამგეობამ დაავალა ასულიყო ბახმაროზე, ფაფარას საძოვრებზე შეეყიდა საუკეთესო ჯიშის ბუღა და ბაისურა-ვაკიჯვრის გზით გადმოეყვანა.

ბაგრატა ბაჯელიძემ გამგეობის დავალება პირნათლად შეასრულა. ბახმაროში, ფაფარას საძოვრებზე ხულოს რაიონის მოწინავე კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმიდან სამწლიანი ტანმომცრო ნისლედა ბუღა იყიდა და ბაისურა-ნაღორჯომალის გზით შეუსვენებლად გადმოდენა.

სოფლის ცენტრში, მაღაზიის ახლოს, წიფლებში დააბა თუ არა დაღლილი ბუღა, ბაგრატამ კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ათარმიზ წიქარაძეს დაუწყო ძებნა.

ამ დროს მოხდა საკვირველი რამ.

ნისლედა უეცრად დაფრთხა, კანაფის ბაწარი გაწყვიტა, ასიოდე მეტრი გაირბინა, წიხლები აყარა და პირიდან ღორბლი გადმოანთხია. გაგიჟდა ბაგრატა.

— თქვენი ჭირიმი, აი რა ცოდვა დაგვემართა... ხომ მოგეხსენებათ ჩვენი ფერმის საქმე, რაფერ უკუღმა არის წასული. ვიფიქრე, ახლა მაინც გვეშველა, ახალი ბუღა შევიყიდეთ, საუკეთესო ჯოგიდან გამოვარჩიე-მეთქი და, საქმე კარგად დამთავრებული რომ მეგონა, მაშინ გადვირია აგი საშგლე. ახლოს ნუ მიეკარებთ მაგ ვეშაპს. მაგას ეცა ფინდიხი. ბუღას მეტი რა მინახავს, მარა მაგნაირი არაფერი შემხვედრია. მაინც ისეთი მაგარი მუხლი აქვს, რომ ერთხელ არ შეჩერებულა ამხელა გზაზე, ჩიტივით მოფრინავდა. სირბილით ძლივს ვუთავდებოდი. პირდაპირ ხელზე გამოზრდილივით მიჭერებდა. ახლა კი ასე შეერყა საცნაური. ყოველთვის კარგს და-

სდევს უბედურება. აღმასივით რომ იყო, იმიტომ ეცა ავი თვალი. შეხედეთ აბა ერთი, რას გავს... რას გავს!.. ნამდვილი საჯიშე არ იყოს მაინც! წუხდა ბაჯელიძე და მკერდზე მუშტს იბრაგუნებდა. კოლმეურნეები ვირვებულნი შესცქეროდნენ გაავებულ ნისლედას.

ათარმიზ წიქარაძეც გამოჩნდა. ფერმის გამგე შორიდანვე თავის მართლებით შეეგება მას.

— ათარმიზ... შენი ჭირიმე... ჩემი საქმე არ იყო ბულას გამორჩევა. გითხარით თავიდან, საქონლის გამოცნობაში გამოუცდელი ვარ-მეთქი. არ დამიჯერეთ. არ შეცდებიო. ამ საქმეში მე კი არა, ძველები ცდებიან ხანდახან. ძველი საქონელი აღარ გამოგვადგა, გადაგვიჩინდა, თვარა ადამიანებს ისევ გეკითხებოდათ ჭკუა. ჰოდა, გაგეგზავნათ ვინმე ძველი კაცი. ჩემი ჭკუით თითოთ საქვენებელი ბულა ჩამოვდენე, მეგონა. ათას სულ საქონელში გამოვარჩიე, მარა ხომ ხედავთ, სიკეთის დროზე გადაირია ავი წყეული. კინალამ არ ამიცვა რქაზე?! რა ვქნა ახლა? დასაბამადაც ვერ მიეკარება კაცი. ბაწრის ნაწყვეტი მაინც შერჩენოდა რქაზე!

თავმჯდომარემ ჯერ თავიდან ფეხებამდე ჩაათვალიერა აღელვებული ბაგრატა და მერე უთხრა:

— რა ამბავია, კაცო... დათვები ხომ არ გამოგკიდებია, ასე რომ გიბენია? — რავა ამოთართხილხარ ტალახში! კი მარა, მაინც რამ ვადარია ავი ბულა ასე, თუ იცი?..

— რა ვიცი, ბატონო, ამხელა გზაზე ძლივს ვადმოვდენე. კინალამ დავიხრჩვი. სხვა დროს ხუთასი სული საქონლის ვადმორეკვა არ გამჭირვებია ასე. წითელ ღარში სიკვდილი დამიდგა თვალწინ, ისეთი თხროში წამოვიდა. წვალემა რა მოსახსენებელია, თვითონ რომ არ ვადარეულიყო, არ შეცლოდა საცნაური! — დამნაშავესავით ჩამოღერლა ბაგრატამ.

— მივიდეთ... მივუახლოვდეთ. ვნახოთ რაღაცა ვადარეულია. ამაზე მეტს ხომ არ ვადირევა. ეგება მიგვიკაროს დასაბამად, — დაიჩემა პირველი ბრიგადის ხელმძღვანელმა მიტრო სალუქვაძემ.

— არა, თქვენი ჭირიმე, არ მიეკაროთ — არ გამომისვათ დანა კისერში. ვილაცას დაამარცხებს, ანდა დაიფხუკუნებს, კრავს თავს ამ ლუსკუმბ ტყეში და სახორცედაც დაგვეკარგება, — აყვირდა ბაჯელიძე.

— ეგრემც, რავა ვადამთიელივით ლაპარაკობ, ბაგრატა, შენ. — ერთსართულიანი მალაზიის ვიწრო კარებზე გრძელი ნაბიჯით ვადმოალაჯა ვადყიდველმა ეგრემც არსენამ. — ბულა იმიტომ ვიყიდეთ, რომ ახლოს მიგვიკაროთ, რაღაცა თვინიერი საქონელი ვადვიმრავლოს, თორემ ვადარეულს ჩვენი ბებური ქაჯიე ჯობია. რქაზე არ ავვიცვამს მაინც. ეგრემც ხარჯი ხარჯად წვეიდა, სირბილი და სირცხვილი კიდევ სხვაა. ვადგნაირი ვად

დარეული საქონელი თუ გაგვიმრავლდა, კიდევ უფრო სამარცხვინოდ წავა ჩვენი საქმე. მაგ ბულით საქმე ვერ გამოსწორდება...

ნისლელა ქანდაკებასავით იდგა შუა შარაზე. ქარვისფერი, მკლავის სი-
მსხო მომშვილდული რქები მიწისთვის შუბებზევით მიებჯინა და ქელავდა.
ხანდახან ძარღვებში შეათრთოლებდა, ცხვირიდან დორბლს გადმოუშვებ-
და, წინა ფეხებს მძლავრად დაუშენდა მიწას, ჩაიბღავლებდა და ისევ გა-
ჩუმდებოდა.

საიდანღაც გზადაბნეულმა ფინია ძაღლმა ჩამოიბრინა. ბულა მაშინვე
დაედევნა მას. გულგახეთქილი ფინია თოფნასროლივით მოწყდა ადგილი-
დან და ბუჩქებში მიიმალა.

— ეგრემც, ხედავთ?! ძაღლს ერჩის! ცოფიანია მაგი საწელკავე, ცო-
ფიანი!.. — წამოიძახა ეგრემც არსენამ.

„ცოფიანიაო?!“ — შეჩოჩქოლდნენ ნაღოელები.

კოლმეურნეობის თავმჯდომარეს სახე მოელრუბლა:

— ბაგრატა, როგორაა საქმე თუ იცი? მართლა ცოფიანი არ იყოს მა-
გი სამგლე, არ აგვიწიოკოს სოფელი...

— რა ვიცი, ათარმიზ... საუკეთესო ჯოგში გაზრდილი მაგია და... საჭ-
მელი არ მიუკლიათ იმ დალოცვილებს და სასმელი. შვილივით გამოუზრ-
თიათ. ფაფარას და ბალიანის გორების მსუყე ბალახის ამბავი თქვენც მო-
გეხსენებათ. კი ხედავთ, კვერცხი არ გადააგორდება ზურგზე. ექიმებსაც
შევამოწმებთ ბახმაროში. მაშინ არ იყო ცოფიანი და ასე უეცრად რა მის-
მა ცოდვამ გააცოფა, — ხმა გაეზარა ფერმის გამგეს.

— ვეტექიმი სად არის... სასწრაფოდ დაუძახეთ! — ხმას აუწია კოლ-
მეურნეობის თავმჯდომარემ.

— რაიონშია წასული თათბირზე, — უპასუხა სალუქვაძემ.

— ეგრემც, რაღას უშველის ექიმი და წამალი მაგას. ცოფიანია. ნამდ-
ვილად ცოფიანია. დორბლს ყრის პირიდან. — თავმჯდომარის გასაგონად
ჩაილაპარაკა ეგრემც არსენამ.

— ცოფიანია... ცოფიანი... — დაამოწმა დინჯი ხმით გამხმარ ლედვის
ხეზე მიყრდნობილმა ოთხმოცდაათი წლის მოხუცმა ბაბუა გაბრიელმა და
გამარმარებული წალდი ხელში ისე მოიმარჯვა, თითქოს ბულას თავი უნდა
მოსჭრასო. — ხომ ხედავთ, შვილებო, დორბელას ყრის პირიდან. ძაღლსაც
ერჩის. ძაღლის გამოკიდება ცოფიანმა იცის. არაა გასაკვირი მაგი. ბულა კი
არა, ადამიანი მინახავს გაცოფებული. მახსოვს, ისიდორა თავდიშვილის
ოჯახში ორი ბალანა გაცოფდა ერთად. ცოფიანმა ძაღლმა შეკბინა. მაშინ
სად იყო ამისთანა წამლობა. მარგალიტივით გოგო და ბიჭი ერთ დღეს
ჩადვეს მიწაში. ჰოდა, მაგი ბულაც ცოფიანია. ალბათ, ცოფიანმა ძაღლმა
თუ შეკბინა. გაცოფება შიმშილმაც იცის, მარა ნაშიმშილები არაა მაგი.
მსუქნადაა. ცოფიანი რომაა, შვილებო, არ უნდა ბევრი ლაპარაკი..

ბაბუა გაბრიელი ჭკუასაკითხავ კაცად ითვლებოდა ნაღდოში და მის-
მა დაბეჭდილმა სიტყვებმა ყველანი ააფორიაქა.

— არა, ბაბუა გაბრიელ! მაგი ბუღა არაა ცოფიანი. ცოფიანი საქონელი მეც შინახავს. შარშან გაცოფდა ერთი ძროხა ბახმაროში, შუა ბახმაროში გაცოფდა და გაიქცა. საძელიაზე ნახეს ხრამში გადაჩეხილი. მაშინ ძველმა მწყემსებმა ასე თქვეს, ცოფიანი ყოველთვის გარბის — ერთ ადგილზე არ გაჩერდებო. კაცი არ უჩანს თვალშიო, ირბენს ირბენს და, სადაც მოუსავდება, იქ მოკვდებაო. მაგი ბუღა რომ ცოფიანი ყოფილიყო, ამდენ ხანს ასე არ გაჩერდებოდა შუა შარაზე! გაიქცეოდა, — კარგა ხნის დუმლის შემდეგ გაბედა შეკამათება ბაბუა გაბრიელთან მიტროია სალუქვაძემ.

— თქვენ რა გითხრათ, იცით?.. — წამოიხლიჩინა ნაღდოში სიმთვრალით ცნობილმა იაგორა ორენამ, — იცით რა გითხრათ? ათარმიზ ბატონო... მიტროია... მე ისიც ვიცი, თქვენ რომ იცით, და უფრო მეტიც... აქანა არაფერია სალაპარაკო. მაგი ბუღა ნამდვილად მთვრარაა... შემეშალა... მთვრალი კი არა, ცოფიანია... ბაბუა გაბრიელი მართალს ბრძანებს. ეგრემც არსენაც სწორია. ჰოდა, ავიღოთ გაღესილი დანა და გავუყაროთ კისერში. რავა გგონიათ თქვენ? მსუქანი ხორცის ჭამა გვაწყენს თუ? ცოფიანის ხორცს მაგრად რომ მოხარშავ და შამფურზე შეაშიშხინებ, კი არაა საშიში.

ნაღდოელებმა ახლა შეამჩნიეს ღვინით გაღეშილი იაგორა ორენა.

— გაღეშილია, მაგას გავარდა სული. რას ბოდავს თვითონაც არ იცის. ბუღა მთვრალიაო. მთვრალი კი არა, ცოფიანიაო. დავკლათ და ვჭამოთო. ჭამის და სიმთვრალის მეტი არაფერი ახსოვს მაგას. მოშივებულია ახლა და ერთი გამოძღომა მთელ ჩვენს ფერმას ურჩევნია. დაუჯერეთ ღვინით გამოშტერებულ ორენას და დაკალით ოქროს კაკალივით ბუღა, ეგება გამოძღეს მაგი უსაქმური... — გაჯავრდა მიტროია.

— ცოფიანი საქონელი ჩვენს მტერს და ორგულს შეუვარდა სახლში. ძირბუღიანად ვააცოფებს ყველაფერს. ყველაზე საშინელება თაგვების გაცოფებაა. მთელ სოფელს ამოწყვეტს. ჭკვიანად იმოქმედეთ, შვილებო! დროზე მოკალით მაგი ბუღა. ასე სჯობია, — ხმას აუწია ბაბუა გაბრიელმა და წალდის ნიღურით მიწა ამოიჩქნა.

— რას ლაპარაკობ, ბაბუა გაბრიელ?! როგორ გეკადრებათ ასე აჩქარება. არ დაუჯეროთ ხალხო!.. — უფრო გაცხარდა მიტროია — ნისლედას ერთადერთი დამცველი, — გაახილეთ თვალი. ცოფიანიაო, არ გამაგონოთ. არაა ცოფიანი. დავკლათო. ენა ადვილად იტყვის ამას, უძვალთა. ამნაირ საქონელს კაცი დანას დაადებს? შვილივით გამოუზრდიათ იმ დალოცვილებს. თქვენ კი დაკვლაზე მარდი ხართ.

— ნუ დაკლავ, თუ ბიჭი ხარ, ნუ... გამარმარებულ რქებზე რომ წამოიგდებს იმ შენს მოკრიმანჭულე გოგოს, ბნედა რომ გაგიჩინა, ნახავ მა-

შინ... — დამცინავად წარმოთქვა იავორა ორენამ და ხმამაღლა გადაიხარხარა, თანაც თვალის ჩაკვრით ანიშნა ეგრემც არსენას, ხომ მოსწრებულად ვთქვიო. როცა უკანასკნელისაგან თანხმობა მიიღო, პირდაპირ ჩაიშაქრა სიხარულში.

მოკრიმანჭულე გოგოს ხსენებაზე მიტროია გაცეცხლდა და იავორასაკენ მუქარით გაიწია. მიებეგვა უნდოდა, მაგრამ ხელები დროზე გაუკრეს, ახლოს არ მიუშვეს.

ამ დროს ბუღამ ხმამაღლა დაიბღავლა.

— მიდი ახლოს, ჩემო ბაგრატა, ისევ შენ. ეგება არაფერი გითხრას. თვალი შეჩვეული ექნება შენზე. — რალაცა დაწყნარებულსავით მეჩვენება... — ბეჭებზე ხელის დაკვრით გაამხნევა ბაჯელიძე კოლმეურნეობის თავმჯდომარემ.

ბაგრატა წელში მოიხარა და კურდღლის ნაბიჯით დაიწყო წაპარება. ბუღამ დაინახა თუ არა მისკენ მიმავალი წელში მოხრილი კაცი, თავი ასწია, ყურები დაცქვიტა და ფეხები გაჩაჩხა. მუშტის ოდენა თვალები მამხალეზივით მიანათა. ბაგრატა გასტეხა ამ გამოხედვამ და უკან გამოიქცა. ზოგიერთებს ჩაეცინათ კიდევაც მის სიმხდალეზე. ფერმის გამგემ თავის გამართლება სცადა:

— არა, არ ღირს ამ გადარეულთან მისვლა. სიცოცხლე არ მომძულე-ბია ჯერ. ფრონტზე ვიყავი, თავზე მილიონმა ტყვიამ გადამიქროლა, მარა მაინც ჩამევიტანე სული სახლში და კერიეს ძირში ამ საწელკავეს ვერ შევწირავ თავს. ვერა სწორედ.

ცოფიანი ბუღას ამბავი სწრაფად გაფრინდა ნაღდოში. შეშინებული ბავშვები ოდების და ბელლების სახურავებზე მიძვრებოდნენ, ხეებზე მიცოცავდნენ, საწოლ ქვეშ იმალებოდნენ. მოხუცები ჭიშკრებს იკეტავდნენ.

მიტროიამ გაბედულება მოიკრიბა, ბუღას მიუახლოვდა და თხილის წკებელი გადაუქნია, იფიქრა, შეშინდება და შუა გზიდან გადადგებო.

ბუღას გაუკვირდა მიტროიას გამოხდომა. უკან-უკან დაიხია, მაგრამ შუა შარა მაინც არ დატოვა. მომალე ადგილას შეჩერდა. ამ დროს იგი მრისხანეც იყო და ლამაზიც. იდგა წელდაშვებული და მოწინააღმდეგეს ელოდა. თავს აღმა-დაღმა აქნევდა, აკიანთებული ნამგალა რქებით დედამიწას შუაზე გახევას უქადდა. გეგონებოდათ, შეტევაზე გადასვლას აპირებდნო. ნამდვილად კი მხოლოდ თავის დასაცავად ემზადებოდა. მის მსხვილ, უძირო თვალებში გამოცდილი დამკვირვებელი შიშსაც ამოიკითხავდა. წიფლის ტოტებში ჩიტის შეფართხალებაზეც კი ძარღვებში გააცანცანებდა.

გზის მეორე მხრიდან ხმადაბალი ბღავილი მოისმა. ამ ბღავილს სხვათა შებღავლებაც დაემატა და ხრეშზე ჩლიქების არეული ხმა აჩხრიალდა. ნაღდოელთა მეცხოველეობის ფერმის საქონელს ოროკის საძოვრებიდან ბოსელში დასაბინავებლად მორეკავდა მწყემსი ალექსა.

უკვე საღამოვდებოდა. წყალწითელას ხეობიდან ღამე მოიპარებოდა. მოიპარებოდა უჩინრად და სწრაფად.

ჯოგს წინ მოუძლოდა შინდისფერი ბუღა, ახმახი, გრძელი და ხმელი შინდისფერმა შორიდანვე შეიყნოსა უცხო ბუღას სუნი და ბრაზიანად იბღავლა. ბღავილი მთელმა ფერმამ გაიმეორა. შინდისფერმა ნაბიჯს მოუჩქარა. სირბილზე გადავიდა და, როცა თავშეყრილ ხალხში, შუა შარაზე ფეხებგაჩაჩხული უცხო ბუღა დაინახა, ერთ ადგილზე გაქცევდა, შემდეგ კი გაბედული ნაბიჯით დაიძრა წინ.

ბუღები ერთმანეთის მეტს ვერაფერს ამჩნევდნენ.

ნისლედამ მიწას ჩაბღავლა, უკან-უკან დაიხია და ფეხები უფრო გაჩაჩხა. შინდისფერმა ეს მოწინააღმდეგის სიმხდალედ მიიჩნია და თავმომწონედ მოჰყვა ბუბუნს, წინა ფეხები ხრემს მძლავრად ჩასცხო, თითქოსდა დედამიწას ძალა შესთხოვა. ამ ბუბუნზე ნისლედა გაავდა. თვლებიდან ნაპერწკლები კვეს-აბედივით გადმოაფრქვია.

— აბა, დახვდით, ხალხო! დახვდით ქაჯიას! არ მიუშვათ. დაგვიმარცხებს მაგი ცოფიანი ბუღა! — შორიდანვე დაიძახა ალექსამ და სირბილს მოუმატა.

— ცოფიანიაო! გესმით, ალექსამაც თქვან ცოფიანიაო, — გაიშრიალა ხალხში.

მიტროია სალუქვაძემ ყურები ჩამოყარა. თავმჯდომარემ გულდაწყვეტილი კეფა მოიქეჭა.

— ცოფიანია ხომ, ალექსა? მაგი არ ვთქვი მეც? ხა... ხა... ხა! — გადინარხარა იაგორა ორენამ და ეგრემც არსენას ბეჭებზე ხელი მაგრად შემოჰკრა. — ჩვენც დროზე შევატყვეთ მაგას ცოფიანობა, მარა ვინ დაგვიჯერა!

ნაღდოელებმა უკვე დაიჯერეს ახალმოყვანილი ბუღას ცოფიანობა. ვიღაცამ თოფი მოარბენინა. გალესილი ხანჯალიც გააძრეს. იაგორამ თოფს ხელი სტაცა, ჩახმახზე შეაყენა და ბუღას შუბლში გაუსწორა.

სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა.

მოულოდნელად ნაღდოელთა ყურადღება მაღალმა დაგრეხილმა კრიმანჭულმა მიიქცია. დასავლეთისაკენ გაიხედეს. ჩაის საკრეფავი ქალები ბრუნდებოდნენ წყალწითელას პირიდან. ჩაის საკრეფავი კალათები ზოგს იღლივებში ამოეჩარა, ზოგს ზურგზე წამოეგდო. ჯერ კიდევ არაფერი იცოდნენ გაცოფებული ბუღას შესახებ და სიცილ-კისკისით იკლებდნენ გზაშარას. ერთი ქალიშვილი ყველაზე წინ ცეკვა-ცეკვით გამოიბოძა და მოკრიმანჭულობდა.

— კრიმანჭულა მოკრიახობს! — გაისმა ვიღაცის ხმა.

— რაფერ ყოველთვის მოკრიმანჭულობს მაგი დალოცვილი ქალუნევ.

— ისე, კი გავვიხდა საკრიმანჭულოდ და საკრიახოდ საქმე, ცოფი კარზე მოგვადგა, — გააგრძელა სიტყვა მესამემ.

— არაფერი დარდი მაგის გულს არ ეკარება და იკრიმანჭულებს, აბა რა იქნება. აკრიმანჭულე და აკრეფიე ჩაი. ხომ არ დაიღლება, — თქვა საწყობის გამგემ ჭიჭიკო თავდიშვილმა.

— გააფრთხილეთ მაგი კვარიახი, ახლოს არ მიეკაროს ბუღას, თვარა რქაზე აიცივამს! — გაისმა ათარმიზ წიქარაძის მკექარე ხმა.

ღაინახა რა თოფმომარჯვებული იაგორა, კრიმანჭულამ კრიმანჭული შეწყვიტა და შორიდან დაუძახა:

— იაგორა ორენა, შეჩერდი! რამ გადაგრია! რას ერჩი მაგ საქონელს! შეჩერდი! არ ესროლო! — სირბილს მოუმატა, იაგორასთან ჯიქურ მიიჭრა, თოფი გამოგლიჯა, შარას გადაღმა გვიმრებში გადატყორცნა, აშლილი ნაწნავები უკან გადაიშხვართუნა და ხალხს შემოუბრუნდა:

— რას გაჩუმებულხართ, ღვინოში ჩამხრჩვალ იაგორას უყურებთ, ხომ? მაგას ჭკუა როდის ეკითხება. მუდამ გაღეშილია. ამისათვის ვიყიდეთ ახალი ბულა?

ორენა წელში მოიხარა და ხალხში უსიტყვოდ შეერია.

— კრიმანჭულა ბაბუა! მაგი ბულა კრიმანჭული ხომ არ გგონია?! თავი ხომ არ მოგძულებია? ჭკუას დაუხმე, ცავ, გონს მოდი, გონს! ცოფიანია, ცოფიანი. მოსაკლავია! — პირველმა ხმას აუმაღლა ბაბუა გაბრიელმა.

— ცოფიანია, ცოფიანი! — გაისმა გუგუნი.

კრიმანჭულა ბუღას დააკვირდა.

— ცოფიანია?! თქვენ მასე ფიქრობთ, ხომ? გაბრიელ ბაბუა, არაა აი ბულა ცოფიანი. ნამდვილად არაა. შარშან ბახმაროში პროფესორის ლექცია მოვისმინე ცოფის შესახებ. მთელი ორი საათი გველაპარაკა. ცოფიანი საქონელი ერთ ადგილზე არ გაჩერდებაო. უაზროდ გაიქცევაო. ვერაფერს ხედავსო. თვალეები ამღვრეული აქვსო. ასე ეწერა გაზეთშიც ამას წინათ. არ წაგიკითხავთ, ხომ? ამ ბუღას კი სარკესავით კრიალა თვალეები აქვს. ვერ ხედავთ, რა ჭკვიანად გვიყურებს? არც გარბის. მოკვლაზე მარდი ხართ, ხომ?.. რატომ მიუშვით ქაჯიე მასთან. ერთმანეთს დაამარცხებენ. აბა, ახლოს მივიდეთ, ეგება გავაშველოთ.

ამ სიტყვებმა თავმჯდომარეს გული შემოუბრუნა, მიტროია დააიმედა, ბაგრატა ფეხის წვერზე შედგა და თვალეებში შეაცქერდა ბუღას. ნისლედას მართლაც სარკესავით კრიალა თვალეები ჰქონდა.

ამ დროს მუქარით სავსე ზმუილი გაისმა და ბუღები, რომლებიც კარგა ხანია საბრძოლველად ემზადებოდნენ, ერთმანეთს დაეჯახნენ.

ორი სხვადასხვა ჯიშის ბულა ებრძოდა ერთმანეთს. ხნიერი, დრომოჭმული, მაღალი, ხმელი, რქებგაშლილი შინდისფერი ქაჯია ცდილობდა თა-

ვისი უფლებების დაცვას. ახალგაზრდა, შედარებით დაბალი და ტანმოც-
რო, მაგრამ წელძარღვიანი, ფეხებწვრილი, რქებმომშვილდული, გაბედუ-
ლი და ფიცხი ნისლედა კი ეცილებოდა მას პირველობას ნაღდოს მეცხო-
ველეობის ფერმაში. შინდისფერს ზურგს უმაგრებდა და ზმუილით ამს-
ნევებდა მთელი ჯოგი, ნისლედას კი არავინ. მარტოდმარტო იყო გადმოხ-
ვეწილი ამ უცხო სოფელში.

პირველი იერიში ფიცხმა ნისლედამ მიიტანა. შინდისფერმა დროზე
ინმარა ხერხი და უღალატა: განზე გაუსხლტა. ნისლედა რქებით ხრეშიან
მიწას დაეჯახა და ჩაიჩოქა. ყრუდ ჩაიბლავლა და მაშინვე წამოხტა, წელში
გაიწვართა, მანძილი აიღო და კვლავ გაექანა. შინდისფერმა ამჯერად ლა-
ლათი ველარ მოასწრო. ნისლედამ იშვიათი სიზუსტით გამოზომა მისი სა-
დგომი ადგილი და თავისი სიქსიქა რქები მეტოქის რქებს შეაჯახა. მათი
რქების ჭხანნი თოფის სროლის ხმას ჰგავდა. ძარღვიანი ფეხების ნაჩლიქა-
რიდან ხრეში ხოშკაკალივით ცვიოდა ირგვლივ. თიხამიწიდან წყლის წვე-
თები ცრემლებივით მოჟონავდა და ტალახს აყენებდა.

ნისლედა თვალითა და რქებით ბურღავდა შინდისფერს. შინდისფერი
მოიღალა, სუნთქვას მოუხშირა, ენა გადმოაგდო და მანაც დორბელი გად-
მოჰყარა. უკანასკნელად სცადა ნისლედას იერიშების მოგერიება, მაგრამ
ძალამ უღალატა. ნისლედამ დრო უხელთა და ფერდში დააჯახა მომშვილ-
დული რქები. დანაკრავში ხორცი კუზივით ამოიბურთა. შინდისფერმა მწა-
რედ დაიბლავლა, კისერი გვერდზე მიიღრიცა და უკან-უკან დაიხია, შემ-
დეგ ზურგი იბრუნა და გაიქცა. გაიქცა დამარცხებულის სირბილით. —
ოთხნაღებ, უკანმოუხედავად, ბლავილ-ზმუილით.

ყოველივე ეს მოხდა რალაც ორიოდე წუთში...

ხალხმა გაიჩოქოლა. მალაზიის სახურავზე ამძვრალმა ბავშვებმა ყვი-
რილი ატეხეს. მწყემსი ალექსა ფეხდაფეხ გამოუდგა შინდისფერს. იგი
წყევლა-კრულვას უგზავნიდა ცოფიანს, რომელმაც ლამის არ დაუფლიჯა
შვილივით გამოზრდილი ქაჯიე. გაქცეულ შინდისფერს აღარ მისდევდნენ
ნაღდოს ძროხები და ხბორები. ისინი ერთ ადგილზე გაქვავებულიყვნენ
და გაკვირვებული ათვალეირებდნენ ახალ ბულას, გამარჯვებულს, ძლი-
ერსა და ძარღვიანს.

გამარჯვებული ნისლედა ერთ ადგილზე გაირინდა. ახალ მოწინააღმ-
დეგეს მოელოდა. აბღღვიალებული თვალეობით ათვალეირებდა საქონელ-
სა და ხალხს, მაგრამ დუეღში გამსვლელი აღარავინ ჩანდა.

გამარჯვებამ ოდნავ დააშოშმინა იგი.

— ხედავთ, რა ღონიერი ბულა ყოფილა?! — დევის ძალა ჰქონია პირ-
დაპირ. ამისთანა ბულა არც ერთ კოლმეურნეობას არ ეყოლება ჩვენს რა-
იონში. ოქროა, ოქრო! დაყურსული ოქრო. ბაჯადლო. ცოფიანიო? ცოფი-

ანი ამდენ ხანს ყველას დაგვკბენდა. აგი კი თანდათან წყნარდება. ხედავთ, ხედავთ, თვალები რაფერ საბრალოდ მოგვაპყრო? ცრემლებიც გადმოღვარა. ყველას გვაკვირდება. უკვირს აქაურობა. რამენაირად მივიღეთ ახლოს. გავკოჭოთ, თვარა გავგვექცევა და სახორცედაც დაგვეკარგება! — წამოიძახა კრიმანჭულამ და ბუღასკენ გაექანა.

— მოიტანეთ ბაწარი! არა... ბაწარი მერე... ახლა ცანდი ჯობია. ცანდი უფრო მაგარია. უნდა დავაბათ. კი იუკადრისებს, მარა არაფერია, შეგვეჩვევა. აბა ცოცხლად, ცოცხლად დატრიალდით, სანამ გავგვექცეოდეს, — გასცა განკარგულება კრიმანჭულამ გზადაგზა.

გამარჯვებული ბუღა თვალის ბრიალით მიაჩერდა მისკენ გაბედულად მიმავალ ქალიშვილს. ასეთ მოწინააღმდეგეს არ მოელოდა იგი.

ორმაგი სილამაზით გამოჩნდა ნაღდოელთა თვალში კრიმანჭულას ენარი ტანი, შაშვისფერი თვალები, მაღალი წელი და ძარღვიანი მკლავები. მის ჩითის სარაფანას აფრასავით აფრიალებდა გადმოსაყარას გორადან წყალწითელას ხეობაში გადმოჭრილი ორპირი, ქარი.

მიტროია სალუქვაძეს გულზე ცეცხლი შემოენთო. ეს იყო მისი „კრიმანჭულე გოგო“, წელან რომ იაგორა ორენამ დაუბედა, „ცოფიანი ბუღა რქაზე წამოიცივამსო“. — იაგორა ენაგრძელას სიტყვები აგია ამისრულდებაო, — შეეშინდა მას.

„კრიმანჭულა, არ გაბედო. ახლოს არ მიეკარო!“ „გოგო, რამ გადაგრიია!“ „ცავ, რქაზე აგიცივამს!“ „ქალუნია, ჭკუას დაუხმე“, — აკრიახდნენ ქალები. ხმას აუწიეს მამაკაცებმაც.

— ვენაცვალე, რა გოგო ყოფილა. გული კი არა, კაყის ნატეხი ჰქონია მკერდში. ყველას გვაჯობა, გვაჭამა სირცხვილი. ქალუნია კი არა, ვაჟუნია უნდა ერქვას მაგას, — ჩაილაპარაკა ჭიჭიკო თავდიშვილმა.

კრიმანჭულა ჯიქურ მიუახლოვდა ბუღას. პატარა ბიჭებმა ცანდის ბაწარიც მოარბენინეს და ქალიშვილს შორიდან გადაუგდეს.

— თუ გამიჭირდეს, მომეხმარეთ იცოდეთ! — მიმართა მან ხალხს და ხელში ცანდის ბაწარი მოითოკა. მერე გამოამარყუჟა და ბუღას ფეხაკრეფით შემოუარა.

— მე ფეხებში გამოვაბამ ცანდს და მოვწევ. შენ კი, იაგორა, როცა დაგიძახო, მივარდი და რქაში ჩააფრინდი. მოკვლაზე კი ხარ მარდი... უეცრად რომ წაგვექცეს, დაიმტვრევა და დამახინჯდება. ნელ-ნელა უნდა დავწვინოთ მიწაზე. მერე რქაზედაც წამოვაცვამთ ბაწარს და ვეღარსად გავგვექცევა.

— კი, ქალუნია, მარა... კი მარა... — გაბზარული ხმით დაეთანხმა ორენა. მის ხმაში შიში უფრო ჩანდა, ვიდრე დახმარების იმედი. — რქაში ჩააფრინდიო, ენა ადვილად იტყვის, არ ჩამახევს დედო შიგანს?... ვაღარე-

ულა აგი გოგო... დაუჯერე ახლა მაგას და თავი შეაკალი გაცოფებულ ბუ-
ლას. არადა, ქალმა რომ მაჯობოს ამ საცოლო ვაჟკაცს, აღარ გამომეყოფა
თავი მეზობლებში. ეებს, თოფი რომ გავუსწორე შუბლზე, მესროლა და შო-
მეკლა. მაინც არაა საამქვეყნიოდ მაგ საწელკავეს საქმე. ამ კვარიახას ხმა
რომ არ გამეგონა, ვესვრიდი და გათავდებოდა ყველაფერი. ანდა გაიქცე-
ოდეს მაინც! ამ ლუსკუმა ტყეში კრავდა თავს. სირცხვილსაც გადავრჩებო-
დი და სიკვდილსაც, — თავისთვის ჩაიბურღლუნა ორენამ.

კრიმანჭულა გვერდიდან წამოეპარა ბულას, კაბის კალთები აიკრიფა,
ჩაიჩოქა და ფეხქვეშ გამომარყულებული ცანდი დაუგდო. მერე ხმამაღლა
შეუძახა: აში... აში, ჰო, აში, ნისლედა, ჰო, ადი, ჰო!.. ჰო!.. ჰო!.. ადი, მასე,
ჰო!

ბულა ჯერ თვალბეჭდებში შეაშტერდა გაბედულ ქალიშვილს, შემდეგ და-
ფეთდა და ამოძრავდა. ფეხები მარყუჟში ჩადგა. კრიმანჭულასაც ეს უნ-
დოდა. მოსწია ცანდი და წისქვილის ბორბალივით დატრიალდა. ბულა ოთ-
ხივე ფეხით მარყუჟში გაეხლართა. კიდევ მოსწია და ნისლედა მოჭრილ
ხესავით შებარბაცდა.

— არქა! რქაში ხელი! რქაში! მიდი, იაგორა, ჰო! მიდი ღროზე, თვა-
რა დაიმტვრევა! მიდი, ჰო! — აყვირდა კრიმანჭულა. ორენამ ორიოდ ნა-
ბიჯის გადადგმა ძლივს გაბედა ბულასაკენ და შიშისაგან გულგახეთქილი
უკან მიაწყდა.

— მიდით! მიდით! ჰო! მიდით ჰო!.. აბა სხვებმა მიდით!.. ბაგრატა... ჭი-
ჭიკო!.. მიდით, ჰეე, — წყალწითელას ხეობაში გაიშალა ქალის გამყივანი
ხმა. — აბა ცანდი მაინც მოქაჩეთ. მე მივალ რქაში.

კოლმეურნეობის თავმჯდომარე ცანდს დასწვდა და შესძახა: — ჰო...
ჰო... აბა, ბიჭებო, მოეხმარეთ ამ ბაღანას! რამ გამოგაშტერათ!

ის იყო კრიმანჭულა ბულას უნდა მივარდნოდა რქაში, რომ მის წინ
მიტროია სალუქვაძის ხმელი და მალალი ფიგურა აღიმართა. მიტროიამ
დაასწრო კრიმანჭულას, ბულას რქაში სწვდა, კისერი მოუვრიხა და აყ-
ვირდა:

— მოსწი, ათარმიზ! მოსწი ცანდი, ჰო! მაგრად მოსწით, ნუ გეში-
ნიათ! — კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ცანდი მოსწია, მაგრამ გამეხე-
ბულ ბულას ძარღვიანი მუხლები ვერ მოუღრიაკა.

კრიმანჭულამ და ბაგრატამ ერთდროულად გააკეთეს გრძელი ნახტო-
მები, თავმჯდომარესთან გაჩნდნენ და ცანდს დაეკიდნენ. ბულა მძიმედ
დაეშვა მოხრეშულ შარაზე და შესაბრალისად დაიბღავლა. იგი უკვე გა-
თოკილი ეგდო ნაღდოელთა წინაშე. მიტროია მაგრად ჩაფრენოდა რქაში.

ქალუნია ისევ მიიჭრა ბულასთან და რქაზე ჭიჭიკო თავღიშვილის მი-
ერ მოტანილი კანაფის წვრილი, მაგრამ მაგარი ბაწარი ჩამოაცვა. ბაწრის
ბოლო ნამეხარ წიფელას გამოაბა და მიტროიას გაუღიმა.

— ისევ შენ, ბაბია, შენ ყოფილხარ გაბედული. შენ რომ არ ჩაფრენოდი რქაში, დაიმტვრეოდა და სახორცედაც აღარ გამოგვადგებოდა.

სალუქვაძეს სახეზე სიხარულმა გადაურბინა. იაგორა ორენა მოავლო და და თვალი მოავლო იქაურობას. ორენა აღარ ჩანდა. ხალხში შემალულიყო. გათოკილი ბულა შეშინებული აკვესებდა მუშტისოდენა თვალებს. სცადა წამოდგომა, მაგრამ ფეხები მაგრად ჰქონდა შეკრული. მის უძირო და მსხვილ თვალებში მსხვილი ცრემლები აკიაფდნენ.

კრიმანჭულამ კარგად შეამოწმა რქაზე წამოცმული ბაწარი, სიფრთხილისათვის კიდევ ერთხელ ჩასკვნა და ფეხზე ცანდი მოხსნა.

ბულა წამოხტა და სხეული გაირეკა. უკვე დაწყნარებულიყო. არც პირიდან სდიოდა ღორბლი, მაგრამ ქელვას მოუმატა.

— წყალი მომიტანეთ! ხომ ხედავთ, საბრალო წყურვილით დამწვარა! — გასცა განკარგულება კრიმანჭულამ. ბაგრატა ბაჯელიძემ თავდიშვილების ჭიდან წყლით სავსე ვედრო მოარბენინა.

— აბა, მიყურეთ. თქვენ ხომ ცოფიანი გგონიათ აგი ბულა? ფეხები გამწვებული აქვს, მარა მაინც არაფერს მეტყვის, ისე დავალევინებ წყალს. საწყალი მკვდარია წყურვილით, იმიტომ ქელავს ასე. საქონელია. ენას ვერ ამოიღებს, მწყურიაო ვერ იტყვის და რა ქნას.

კრიმანჭულამ წყლით სავსე ვედრო აიღო და „მოო-ჰო“, „მოო-ჰოს“ ძახილით ბულას მიუახლოვდა. ნისლედამ ვედროსაკენ გადმოდგა ნაბიჯი.

— კარგად შეხედეთ, აგია ცოფიანი?.. წყურვილით მკვდარია. სირცხვილი შენი, ბაგრატა! ასე რაფერ გამეიბი ძაღლის ხორცი. მესაქონლე კაცს აგი რაფერ დაგემართა? ჩვილი საქონელი არბენიე და წყალი არ დაალევიე. ასე შეიძლება? ახალგაზრდა საქონელი სირბილის დროს ვერ მოიფიქრებს წყლის დალევასო, იტყოდა ბაბუაჩემი. ხედავთ, უწყლობით დამწვარა.

ნისლედამ სულის მოუთქმელად გამოსცალა ვედრო, გაიზმორა და თავი ამაყად აღმართა.

— აბა, მარილი!.. მარილიც მომიტანეთ, მოგვეჩვევა. არაფერი არ უნდა მოაკლოთ ამ ოქროს კაკალივით ბულას. ერთი ნატეხი ქვა-მარილი! — დაიძახა კრიმანჭულამ.

ეგრემც არსენამ ქვა-მარილის დიდი ნატეხი გამოიტანა მალაზიიდან და კრიმანჭულას შორიდან გადასცა. ქალუნამ ტუჩებზე მიადო ნისლედას მარილის ნატეხი. ბულამ ხარბად ალოკა. იგი. მარილის ნატეხი რომ მოათავა, თითებს დაუწყო ლოკვა, შემდეგ მკლავზედაც აუსვა ენა, თავი უფრო მალლა ასწია, სახის ალოკვაც მოუნდომა, მაგრამ ვერ შესწვდა.

კრიმანჭულა გამარჯვებულის ღიმილით იღიმებოდა, ნისლედას ეფერებოდა და ხალხის გასაგონად გაიძახოდა:

— აგია ცოფიანი? აგი? უწყლობით დამწვარი ყოფილა. ამისათვის ყველაფერი უცხოა აქ. ხედავთ, წყალი რომ დალია და მარილი მოლოკა, როგორ მოთვინიერდა? თვალები დაეწმინდა, დაშოშმინდა. აწი აღარაა საშიში.

— ერთი საუკუნის კაცი ვარ და ასეთ კერკეტა გოგოს არ შევხვედრივარ. რა ყოფილა მაგი სოლომონა ყურჩუმელას შვილიშვილი, მაგი ახტაჯი! პა... პა... პა... რა დაათენა თუ ხედავთ, ამას?— ჩიფჩიფებდა ბაბუა გაბრიელი და წალდის ნიღურივით მოკაუჭებულ ცხვირს ნერვულად ისრესდა.

— ვეტექიმი მოდის! — დაიძახა ვილაცამ.

ვეტექიმსაც გაეგო ცოფიანი ბუღას ამბავი და ცერივით დაკიდებული აღმართი ერთი მუხლით ამოათავა. ხალხი გაარღვია და პირდაპირ ბუღასკენ წავიდა.

— შენ დაილოცე, ბაგრატა! რა ბუღა გამოგირჩევია, ნამდვილი საჯიშეა: ნისლისფერი და ტანმომცრო. ასეთს ვეძებდით ჩვენ. ზედგამოჭრილია ჩვენი მთაგორიანი საბალახობისათვის. ადვილად შეინახავს თავს და ბევრსაც მოიწველის ამნაირი ჯიშის საქონელი. ვინ დაუყარა ხმაი ცოფიანიაო? — იკითხა ვეტექიმმა და ნისლედას ზურგზე ხელი მოუტყლაშუნა.

— არ ყოფილა ცოფიანი. მოვტყუვდით... — ხმა ამოიღო თავმჯდომარემ.

— ჰოდა, ათარმიზ... ხალხო!.. დღეს რაიონის ვეტექიმების თათბირზე გვარიანად გაგვამათრახეს გეგმის შეუსრულებლობისათვის. რატომ ახალი ჯიშის ბუღა არ შეისყიდეთო და აი, ბედი კარზე მოგვადგა. აღმასივით ბუღა გვყავს. უნდა მოვსპოთ ბერწიანობა... — ვეტექიმი ორატორივით შლიდა ხელებს.

ნაღდოელებში მოწონების ჩოჩქოლმა გაირბინა. ჩოჩქოლი ხმაურში გადაიზარდა.

კრიმანჭულას თეთრფეროვან სახეზე და შავ უძირო თვალებში სიხარული ჩაღვრილიყო. გაბედულმა ქალიშვილმა სიტყვა ჩამოართვა ვეტექიმს:

— ხალხო! ჯიშინი ბუღა გვყავს. ბებერი ქაჯიე სახელმწიფოს ჩავაბაროთ. გაისად რძის დამზადების გეგმაც გადაჭარბებით უნდა შევასრულოთ, თორემ სირცხვილით რაიონში თავი აღარ გამოგვეყოფა. ნაღდოელთა სიტყვა ყველაფერში ნაღდი უნდა იყოს.

ბუღამ თითქოს გაიგო კრიმანჭულას ნათქვამი, თავი მიაყრდნო და გაინაბა. შემდეგ შებრუნდა და იქვე მდგომ ფერმის საქონელს ამაყად გადახედა. საქონელი მისკენ მიიწევდა.

— სწორი თქვა კრიმანჭულამ!

— მართალია, მართალი!..


ვეტექიმი თავმრმწონედ იღიმებოდა.

მიტროია სალუქვაძე ოდნავ თავდახრილი მიაჩერდა თავის „მოკრი-
მანჭულე გოგოს“.

იავორა ორენა ბუღასთან ცქმუტავდა.

მალაზიის კარებში ჩამდგარმა ეგრემც არსენამ თავი განზე გაიქნია
და მალაზიაში შებრუნდა.

ბაბუა გაბრიელი დიდხანს იდგა წალღზე დაყრდნობილი. რას მო-
ესწრო იგი. რა ხდება მის ირგვლივ... სიზმარია თუ ცხადი... ძველებური
მამაპაპური ჯიშის საქონელებზე ხელს იღებს ნაღდო. ქალიშვილი გადარეულ
ბუღას ამარცხებს... შეიცვალა ხალხი...



მამია შარვაშიძე

ხ რ უ მ ი

— წარღვნა სხალთაში და სარფშიც გაჭირდა?!
ის საით გათავდა, შენ საით დაჭრილხარ?!
სად შეხვდი ფესკიანს? მშვიდობით გაუშვი?
— კაჟი ვარ, კვესი ვარ, მივახალ შავ გულში.
— გიკოცნი შავ ქოჩორს, გიკოცნი მაჭახელს,
საით სურთ გვაჩოჩონ?! წავიდეთ, გვანახე!
შენი თუ არ ეყო, მიიღოს ჩვენიცა,
არავის გავუყოთ მიწა და ჩვენი ცა.
კოდო ხარ დაღლილი, მუხლებში ჩაგიწვევთ,
მაჭარო, დაღვინდი, კვლავ აკვანს დაგიწვევთ...
დაღვინდი აკვნისავ, ხომ ხედავ, წარღვნა,
ევალს მიჰყევ მამისას, ჭრილობამ დაღალა,
ზორუმით, სიმღერით მივუხტეთ ოსმალებს...
— ვაი, ჭოვ, ვიღლები, წყალს მაინც მოგსვამდე.
ჩახმახი მოსწიეთ... და ერთად ვაქუხოთ.
ასე... თქვენს ქორწილზე... მიმტყუნე, ვაჰ, მუხლო!
მტრის სისხლი მომშივდა, მტრის ტყვიამ დამღალა,
მშვიდობით ცოლ-შვილო, ვიყავ და აღარ ვარ...
ეს პაპის მოთქმაა. გვეძახდა: სჭირს, შვილო!
დალოცვილ ბრძენს უთქვამს: — გამაგრდი ჭირშიო!
გავმაგრდით ფხიანად... და გაჰყვა ვიში ქარს,
არ ვიცი, ხმიანად მე ქება ვისი ვთქვა.
ჩამოთოვს?! რა მიჭირს, ჩავძახებ ნაღვერდალს,
ვაზებს ვინ ამიჭრის! მე ჟამმა მქნა ღმერთად.

მწყურია მშვიდობა... და სავსე მარანი,
ომი და შიმშილი არ მიტხრას არავინ.
მწყურია ლოტოსით პირსავსე ვაზები,
ყვავილთა ლოდოსი, ბალი და ვაზები.
მწყურია ტრფიალი, ცრემლები მეყოფა,
ნეფე ვარ მზიანი, ველი ჩემს დედოფალს.
ლამაზიც აქ არის, მოსულა მაყარიც,
ხორუმი ჩქარ-ჩქარი, ჩინჩხლები მაყარე.
მწყურია ჩხავერი, შორი გზა გამოვლე,
იმ ხმაში ჩავდნები, ნაზად რომ გალობენ.
ნუ მიჩენთ ჭრილობებს, ნუ მომკლავთ იჭვებით,
ჩაპბერეთ ჭიბონებს, ხორუმი, ბიჭებო,
ხორუმი, ლამაზნო, თქვენს ფიქრში ჩავდნები.
ჩადრში ვინ დაგაზრობთ, სად არის ჩადრები?!
არ არის, არ არის... ვარდს იმკობს ბაგენი.
საით მყავს ყამარი?! ვერსად მივაგენი.
მოვნახავ და ვეტყვი... მას ვეტყვი ხვამიადს,
მინდორსა დასეტყვილს ლოტოსი გაშლილა,
თავთავი მინდორო, ამალლდი მზის ჭერო!
სხვაი არ ვინდომო...
ხორუმი, ბიჭებო!
ხორუმი, ხორუმი.

ჩემი ფანჯრიდან

სანთლების აღში, რაღაც ბურუსში
ხელაპყრობილნი თვლემენ მლოცველნი,
თვლემს გალიაშიც ჩემი ბულბული
ჟინიანი და მწველი ოცნებით.
ეჰ, ებრალებათ ჯვარზე გაკრული
ქრისტე, კოცნიან... მე კი ვილევო:
ლანდი ბარბაცებს თავდადაფნულის
და ნაწამების დიდ გალილეს.
ცისკრის ვარსკვლავად როგორ ელვარებს.
მისი ღირსება, მისი გენია!
ვთვალეთ რამდენი წელი მღელვარე,
რამდენი ციხე დაგვინგრევია.
წმიდანის ლოყებს სცვივა წინწკლები,
თვლემენ, თვლემენ და თვალებს ხუჭავენ:



ყვითელ-ყვითელი ჰყრია წიწვები,
 ნაძვებს ამოსდით თმები ხუჭუჭა.
 მე ვსუნთქავ ხარბად სურნელს სინედლის
 და ვით ავყვები ცდუნებას ყმაწვილთ:
 ხათრით მამილოს და ხათრით დედის
 მე ფერად-ფერად გვირგვინებს დავწნი.
 ეს შენ არა ხარ, ვარდს ფურცლავ ხატთან,
 ზამბახებს შენ რგავ ნაყარზე, ღორღზე,
 მაშ, ამ ხატებთან რა დაგრჩა ნატვრად?!
 ნუ დამაღონე.
 იქნებ მთვარეზე. პატარა რუა
 ია-იების ჩუმად მლოკავი.
 მოდი, გაფრინდეთ... მოიტა რუკა...
 ხატთან რა გინდა, ღმერთო, მოძკალი.
 საბრალო კაცო, მანდ რას იმუხლებ.
 შენი ცდუნება როგორ მახელებს.
 კოსმონავტებმა უკვე იქუხეს,
 ცისკენ გაფრინდნენ... ერთი გახედე!

ბოგონებს, ღვინოს რომ წუკავენ.

ღვინოს წურავთ და... მღერით,
 ქილიკობთ.
 თქვენს ჭრელ ბადეში არ
 მომახვედროთ.
 ფეხს ნუ ამიშლი, ჩემო ბილიკო,
 „მებაღურებმა“ არ გამახელონ!
 ო, ეს პარხალი ქვევრები მაინც
 რაოდენს სვამენ უხმოდ,
 მორჩილად,
 წმინდა მუჰამედს გასვლია ყავლი,
 ჩვენს ეზოში რომ შემოეჩვია.
 ღვინო არ სვამ, კარგი ბატონო,
 რა დააშავა ჩვენმა ვაზებმა?!

არ მიირთმევდა ყურძენს, ბატონო,
 არ ივახშმებდა ჩვენთან,
 ლაზებთან?!
 არ სურდა წყლიან თვალთა აშიკი,
 არ უშფოთვია განა ტრფიალით?!
 გაშავდეს მისი პირი ჩადრივით
 დიდი ცდუნება, ღალატინი.
 თქვენს მწუხარებას ყავლი
 გასვლია,
 ღვინოს წურავთ და... ვარდით
 პირს იმკობთ,
 „ბადე“ მუჰამედს, მთვარე
 გავსილო,
 აბა, რაი მჭირს მე საქილიკო.



ქსანია მუჟია

რ ა ზ ა უ ი

გაჩერდა მანქანა...

წამოდგა

ჭაბუკი მხრებფართო, ტანსრული.

— ვერ მეტყვიო, რა ქვია ამ

სოფელს? —

კითხულობს ლამაზი ასული.

წესიო, — ვაჟმა თქვა გუგუნით,
თან რიხით იწვდიდა წინ ხელებს:

— გადმოდიო,

მეწვიეთ გოგონა, —

ასეთი წესი გვაქვს წესელებს.

* * *

გოგო მიდის წყაროზე,

თვალი უგავს მზის ციალს,

ყველა კორდი უცინის,

ყველა წყარო მისია.

...რაჭაა

და რაა ჭა,

იქნებ,

აქ არც იციან?

* * *

დეიდა ნინოს ქალობა

მის ეზო-კარსაც ატყვია,

ხეხილნარის და ვარდების

ღიმილი შემოსალტვია.

სუფრა გაშალა ხალისით:

— თქვენ იღლეგრძელეთ,

შვილებო!

სამი ბიჭუნას დედა ვარ,

სათუთად გამოზრდილების,

სამივე ომში გავგზავნე —

სამივეს ვენაცვალე!

და, აგერ, ოცი წელია,

გზისკენ მიჭირავს თვალე!

...შორს გაფრენილმა ოცნებით

შეავსო აზარფეშები,

დალოცა, როგორც ცოცხლები,

შინმოუსვლელი ვაჟები.

* * *

ასეთი ლამაზი თუ იყავ, უწერა,

რად, რად ველოდი ვინმეს

მოწვევას?

მენახა შენი თოვლიც, აპრილიც,

ნაზი სურნელი სისხამ დილისა,

ლურჯი რიონი თაფარაყრილი

და ვარსკვლავებით გაჭედული ცა. რა წყაროები ნაირნაირი!
შენი ვარდების მეწნა გვირგვინა, ...ასეთი ლამაზი თუ იყავ უწერა,
მესუნთქა საღი მზით და ჰაერით. გადმოვიფრენდი მთებსა თუ
რა საოცარი ტყეთა სივრცელე, მწვერვალს...

ს ა ნ ა კ ი რ ო ზ ე

ამ გზას ვენდობი,
ამ ცას ვენდობი,
ამ ზღვას ვენდობი ზვირთებდალოცვილს!
გზად შემომხვდება ერთი ფერდობი
მწვანე ხავერდის ტანისამოსით
და შემომცინებს ისე გულლიად,
ვითომ უჩემოდ ყოფნა უმძიმდა;
ხეებს კი, თითქოს დევის მუხლი აქვთ,
ჟამთა სვლამ ჯანი ვერ გაუცვითა.
დგას და სხივების ჩქერში ბანაობს
ნაძვი, დამწვარი მზით და ოცნებით.
მერე პალმები გაშლის მარაოს,
მიმაცილებენ კვიპაროსები,
აქვე ნებივრად თვლემენ ლოდები,
ტალღების თამაშს არ აჰყოლიან...
დამელოდებო, დამელოდებო, —
ფრთების ფარფატიტ მამცნობს თოლია.





განრიგა ქუთათელაძე

მ ე ე ზ ო ვ ე

ასე ორმრცდაათი წლისა იქნება, არ იცნობთ? არა, აუცილებლად გეცოდინებათ. მომალლო, ხმელ-ხმელი კაცია. იცინის და ყველაფერს თითქოს უღიმისო, გეგონება.

შრ... შრ... ცვივიან აქეთ-იქით ფოთლები, მტვერი... ის კი კვლავ ჰგვის, ასუფთავებს ქუჩას, ხან სად გაიფლავებს მისი გრძელი სილუეტი და ხან სად. ნაცნობ შოფერს გაუღიმებს, კეთილ ღიმილს გააყოლებს ლამაზ გოგოს.

...შრ... შრ... კვლავ მოფრინავენ ფოთლები დაბლა. ტყაპ... ვიწრო-შარვლიანმა ბიჭმა პაპიროსი დააგდო ქუჩაში, თეთრბაფთიანმა გოგომ კონფეტის ქალაღები მიმოფანტა და გაიქცა... მეეზოვის ცოცხი კვლავ ხაზავს რაღაც ფიგურებს ასფალტზე, მტვერი ბოლა-ბოლად მიედინება. მეეზოვეს ბაგე გაეპობა და თეთრი კბილები უწყინარ ღიმილს დააფენს ქუჩას... ხანდახან კი... აბა რა გასაკვირია, სევდით სავსე თუ ცოცხს დაეყრდნობა და გადაპენტილ ტყემალს მიაჩერდება?! აბა რა გასაკვირია, გაზაფხული თუ ააღლევენს და დააფიქრებს?! წლების სრბოლას აყოლილი გულის ხმაური თითქოს ყვავილებს უზიარებს დაფარულ ხეაშიადს.

...მაშინაც ასე იღიმოდა ყვავილები, ასე ცვიოდნენ ალუბლებს ლალისფერი პეპლები, ასე ლამაზად აყვავებულყო სატრფოს კაბაზე ლურჯი იები და თოვლისფერი გვირილები, თეთრად აფეთქებულიყო გაზაფხული და სიცოცხლესა და სიყვარულზე მღეროდა მაშინ მიწაც და ზეცაც. შემდეგ კი... აბოლდა მიწა, აკვამლდა ზეცა, ყუმბარებმა თითქმის ჩაყლაპეს მთელი სითეთრე, შეიწინწკლა თეთრი კაბა, სატრფოს თეთრ კაბაზე სიკვდილის ჩრდილები დავარდნენ...

...ჰოდა, გულდამძიმებულს თეთრმა ტყემლებმა ფიქრები აუხმიანეს...

3 „ლიტერატურული აპარა“, № 3

გზაზე მიმავალი ნაცნობი კაცი შეხედავს მეეზოვეს და გაუღიმებს... ცოცხი კი კვლავ ნაზავს სილუეტებს... ყელში ბურთივით მოებჯინა ბოლბო, თვლებს სხვაგვარი სხივი აშუქებს, გულს კი ტკივილი, ჩუმი ტკივილი დაუძიმებს.

წკაპ... წკაპ... დაცვივდება ასფალტზე ფოთლები, ერთს მაგრად მოუქნევს ცოცხს და აამღერებს...

ჰოდა, ნურც ის გაგიკვირდებათ, რადიოს ხმა რომ ააღეღვებს... „აგრესორები“ — მიძიმედ ესმის დრექტორის ხმა და გული რისხვით უბორცდება. გრძელ თითებს მაგრად ჩასჭიდებს ცოცხს, უნდა მოსპოს ყველა ნაგავი, ჭუჭყი, ზედმეტობა, უნდა, რომ მისი ცოცხის ქვეშ სული დალიოს ყველა მტვერმა, ასე რომ ამძიმებს კაცის ცხოვრებას... უნდა სიცოცხლისა და სიყვარულის ყველა მტერს ერთად მოუყაროს თავი და სანაგვე ყუთში გადაუძახოს, რომ ვერასოდეს შებოლონ გაზაფხულები, არ დაბინდონ სითეთრე, არ დაწინწკლონ თეთრი და ვარდისფერი კაბები...

მჭიდროდ ჩასჭიდებს ხელს ცოცხს და გრძელ ქუჩას აუყვება მისი სილუეტი, კეთილ ღიმილს არ იშურებს თეთრკაბიანი გოგონებისათვის...

ელოლიავება მისი სველი თვალები მარადიულ მშვიდობას და გაზაფხულს...



ლილი ნუსხიკე

შენთვის მინდოდა


ჩემი ხმატკბილი რიონის
აქაფებული ტალღა,
იფნის ტოტებში კენჭებით
აფეთქებული დაღლა,
ბავრატის ტაძრის ჩუქურთმა,
ჩქარი ჩანჩქერის ჩქერი,

ყველაზე დიდი სიმღერა
და აღტაცება ჩემი,
გაზაფხულის მზის ციაგი
და დიდი ცაცხვის ჩეროც,
სულ ყველა შენთვის მინდოდა,
შენთვის მინდოდა, ჩემო!

ს ა თ ა ფ ლ ი ა ზ ე

მალღა-მალღა სათაფლია,
დათაფლული გზა და ფიქრი,
უკვდავება რად არ ჰქვია —
შენთან ყოფნის წამებს ვითვლი.

ნეტარების წყარო ვბოვე,
გული გამაშლევიანო...
სიყვარულმა იცის, თორემ
მე ვინა და შენ ვინაო...



ონალიო კარლოსო

ჩემი და ვისსია

რაღაცაზე ვიყავი ჩაფიქრებული და გაშტერებული მივჩერებოდი მაგიდის კუთხეს; მერე მოქნეული მათრახივით დაკლაკნილი გზის წითელ ზოლს გავხედე და უჩუმრად მოახლოებულ მანქანასა და მტერის მეწამულ ბუქს მოვკარი თვალი.

...მამაჩემისაგან ვიცოდი, რომ ვისსია წვიმიან საღამოს გაპარულა საბლიდან, დედაჩემი კი ირწმუნებოდა, სულ სხვანაირად მოხდაო ყველაფერი. ვისსია საკენკს უყრიდა ქათმებს, როცა ავტომობილის თუხთუხი გავიგონე და მერე თვალის მოვკარი იმის მწვანე კაბასო. ასეა თუ ისე, ერთი ცხადი იყო: ერთ მშვენიერ საღამოს ვისსია თვალსა და ხელს შუა გაქრა და იმისი ასავალ-დასავალი ვეღარ შევიტყვეთ.

მართალია, ვისსია ჩვენი ოჯახიდან გაიქცა, მაგრამ მისი ხსოვნა მუდამ ცოცხლობდა ჩვენს გულში და ჩვენი წარმოდგენით ყველას გვჯობდა; განსაკუთრებით დედა იგონებდა კარგად. რეცხვას რომ დავიწყებდი, დედა თავზე დამადგებოდა და მეტყოდა ხოლმე:

— ვისსია ჯერ კარგად დააკერებდა და მერე გარეცხავდა.

რაღაც შინაგანი ალი სწვავდა ვისსიას და აკი წავიდა კიდევაც ამ ალის გასანელებლად.

ვერ შეატყობდით, რა მოსწონდა და რა არა, უთქმელი იყო და მთელ დღეს შრომაში ატარებდა.

ხანდახან, საღამოობით, მამაჩემი ჩამავალი მზის სხივებით ოქროსფერად დაფერილ გორაკებს მიაჩერდებოდა და გვეუბნებოდა: „ამ დროს ვისსიას კურდღლის ცოცხას ბუჩქნარით დაფარულ წყაროს პირზე წასვლა უყვარდა და, ვიდრე ჰორიზონტზე ნათურები არ აკიაფდებოდა, იქიდან ფეხს არ მოიცვლიდა; იდგა და გაჰყურებდა სივრცეს. წყაროდან ნა-

თურები ყვითლად მოციმციმე ციციანთელებს მიაგავდნენ. ვისსიამ კარგად იცოდა, რომ ეს ციციანთელები ქალაქის შუქი იყო“.

იმ ხანებში მე, ალბათ, იატაკზე დავხოხავდი, იქნებ ჯერ ფორთხვაც მიჭირდა... ვისსია კი სახლში ტრიალებდა და ყველაფერი მისი ახალგაზრდული სიცოცხლით იყო აღვსილი; კედელზე რომ ბუზებისაგან დასვრილი ღვთისმშობელი ჰკიდია, ისიც ვისსიას ნახელავია... აკი ვთქვი, ვისსია ერთ შშვენეიერ სალამოს სახლიდან გაიქცა-მეთქი და ჩემი ძმა პედრო ცხენდაცხენ გამოუდგა ავტომობილს; პირუტყვს კინაღამ სული ამოხადა ჭენებით, მაგრამ სახლში მაინც ხელცარიელი დაბრუნდა, ატირებული და სახეაჭარხლებული. რა ვიცი, ხშირად კი მეუბნებიან, ვისსიას ჩამოგავხარო, იმასავით გიშრისფერი თმები გაქვსო, მეც სარკის წინ ვტრიალებ და, მგონი, მართლაც კარგი თმები უნდა მქონდეს.

ერთხელ ვისსიასაგან წერილი მივიღეთ. ორიოდ სიტყვა წაეჯღაბნა; კონვერტს რომ ვხსნიდით, ვისსიას სურათი გადმოვარდა. მზეთუნახავივით სახე და მარწყვივით ტუჩები უღიმოდა. არ მახსოვს ვისსია როგორი იყო უწინ, ახლა კი, მგონი, ყველას გვკობდა. დედამ თქვა, ჩემს შვილს თვალქვემოთ ლაქები და ასეთი გამოხედვა არასოდეს ჰქონიაო, ფოტო ხელიდან გაავლო და ატირდა. იატაკიდან სურათი ავიღე და დიდხანს ვათვალიერე: ვისსიას ფეხსაცმლის მაღალი ქუსლები ქვიშაში ჩაფლობოდა, უკან აღევებული ზღვა მოჩანდა. გიშრისფერი თმების კულულებს ქარი უწეწავდა... სურათში ვიღაც მოკლეშარვლიანი კაცებიც იყვნენ. ერთი იმათგანი ვისსიას ზურგს უკან იდგა და გამოცლილი ბოთლი ეჭირა ჩემი დის თავს ზემოთ. მსუქანი კაცი იყო, იცინოდა. გარუჯულ ბრტყელ სახეს და მელოტ თავს მზეზე ლაპლაპი გაჰქონდა. მამამ თქვა, ვისსიას სახეს ნუ დამანახებთო, მაგრამ მერე პედროს ამოაჭრევიანა და თავისი საათის სახურავქვეშ ჩააკრა. ვერ მივხვდი, რა ამბავი იყო ვისსიას თავს. სურათზე სწორედ ისეთი გახლდათ, როგორიც ნამდვილი ქალი უნდა იყოს... და არ უნდა იყოს! გულში მე მაინც მიყვარდა ვისსია და ერთხელ, როცა ოთხ დღეს მძვინვარებდა წვიმა და ქარი, ვიფიქრე, ის რომ აქ ყოფილიყო, ტაროსსაც კი დაიურვებდა და დაამშვიდებდა-მეთქი. ერთხელ კიდევ ასეთი რამ დამემართა: „ღმერთი“ მინდოდა მეთქვა და „ვისსია“ არა ვთქვი!

ბიძაჩემი, რომელიც დროდადრო გვინახულებდა ხოლმე, ამბობდა, ყველაფერი აგუატეს ნაყენის* ბრალიაო და თან მრავალმნიშვნელოვნად გადახედავდა ხოლმე დედაჩემს. ბიძას გაკრიკლებული ჩექმები ეცვა, დიდძალი მიწისა და შაქრის ლერწმის პატრონი იყო. ვისსიაზე კარგი არასო-

* გადმოცემის თანახმად, ვინც აგუატეს ფოთლებისაგან დაყენებულ სასმელს დალევს, სიყვარული დაეუფლება.

დეს დასცდებოდა. ერთხელ მამაჩემმა უთხრა კიდევაც, სულ არ მაინტერესებს, რას ფიქრობ ჩემს შვილზე, სამუდამოდ შეუშვი ეს ყურში და თავი ნუ მომაბეზრე ყბედობითო. საქმე იქამდე მივიდა, რომ მამამ სახლში დან გააგდო მოყვარე. იმ ღამეს იმათ აურზაურზე გამომეღვიძა და დედასა და წოლთან მოვიდა და დამამშვიდა: „არაფერია, იძინე, ბოლო კეთილიაო“. მე ვერ გავიგე, რას ნიშნავდა „კეთილი ბოლო“. ეს კია, ბიძაჩემს იმ დღიდან ჩვენს სახლში ფეხი აღარ დაუდგამს. ზოგჯერ მაჩეტეროები* ჩამოივლიდნენ ხოლმე ჩვენს სოფელში, დედა გზაზე გადიოდა და ეკითხებოდა: „ქვეყანა ფეხით გაქვთ შემოვლილი, სადმე მხიარული შავგვრემანია გოგონა ხომ არ შეგხვედრიათ, სქელი, მელოტი ქმარი ჰყავსო“. მაგრამ იმის მნახველი კაცი არ ჩანდა; ეუბნებოდნენ, ჩვენ სოფლის ხალხი ვართ, სოფელ-სოფელ დავიარებით, თქვენი ვისსია კი ქმართან ერთად, ალბათ, რომელიდაც ქალაქში ცხოვრობსო. ერთხელ ვილაც მაჩეტერომ რაღაც გაიხსენა და დედას აქეთ დაუწყო გამოკითხვა. დედა თანხმობის ნიშნად თავს უქნევდა. მაშინ იმ კაცმა თქვა:

— ასეთი ქალი კი ვნახე, მაგრამ ის უქმრო იყო!

დედაჩემის სახეს რომ შეხედა, ალბათ, უხერხულად იგრძნო თავი, თვალი მოარიდა, ნიკაპი მოიქექა და სასწრაფოდ დასძინა:

— რა ვიცი, სენიორა, მე რომ ვნახე, იქნებ, მაშინ ქმარი სხვაგან იყო!

დედა უხმოდ შემობრუნდა სახლში. იმ დღის მერე არავინ გაუჩერებია გზაზე.

მას შემდეგ წლები გავიდა, მე წამოვიზარდე და სულ იმას ვნატრობდი, ნეტა ვისსიას დავემსგავსო-მეთქი. სადილობის შემდეგ მამაჩემი როგორც კი ჩაიძინებდა, ჯიბეში შეუმჩნეველად ჩავუყოფდი ხელს, საათს ამოვაცილიდი, ვისსიას სურათს ვუცქერდი და ჩემს თავს ვადარებდი.


კარგა ხანმა განვლო მას შემდეგ, ლერწმის მოსავალი ათჯერ მაინც ავიღეთ.** პედროს სიერაში უკვე პატარა, საკუთარი ნაკვეთი ჰქონდა და ორი ბიჭუნა ჰყავდა; შვილები მინდორში ფეხდაფეხ დასდევდნენ მამას და ხარებს ერეკებოდნენ...

მე მაგიდას ვუჯექი და უცებ, გზისკენ რომ გავიხედე, ხტუნვა-ხტუნვით მომავალი მანქანა და მეწამული მტვრის ბუქი დავინახე.

გულმა მიგრძნო, რომ ის უნდა ყოფილიყო. თალხებში ჩაცმული ვისსია შორიდანვე ვიცანი. გაჭირვებით გადმოვიდა მანქანიდან, მძლოლს რაღაც გაუწოდა და მანქანა გაბრუნდა. ვისსია ღობეს მიეყრდნო, იდგა და სახლს უყურებდა.

* მაჩეტერო — შაქრის პლანტაციების დაქირავებული უმიწო გლეხები (ნაწარმოებია სიტყვისაგან „მაჩეტო“ — დანა).

** ლერწმის მოსავალს წელიწადში ორჯერ იღებენ.



— ვისსია! დედა, ვისსია დაგვიბრუნდა! — ვიკივლე მე.

დედა სარეცხს ფენდა, სველი ზეწარი ხელიდან გაუვარდა. სახლიდან მამის ათრთოლებული ხმა მოისმა:

— რას ამბობ, მართლა?!

ვისსიას შესაგებებლად მივრბოდი და თან ხარბად ვუყურებდი. თვალე-ბი ღრმად ჩაცვივნოდა, თმები გახუნებოდა და დაწვებზე ცრემლი სდიოდა. გაჭირვებით გამიღიმა, გულში ჩამიკრა, თითები თმაში შემეცურა და დაღ-ლილი ხმით მკითხა:

— რა დაგარქვეს?

— როსა. — გულს ისეთი ბაგაბუგი გაჰქონდა, საკუთარი ხმა ვერ გავიგე.

დედაჩემმა რომ მოირბინა, მაშინლა შევატყვეთ: ფეხზე ძლივს იდგა. მხარში ამოვუდექით და ისე შევიყვანეთ სახლში. მამა გამოჩენას არ აპირებდა, მაგრამ როცა დედამ შეატყობინა, ვისსია ცუდ დღეშიაო, გამოვიდა და წარბებქვეშიდან მიაჩერდა შვილს. შევამჩნიე, ვისსიას ფეხთით მოკეცილმა დედამ როგორი მუდარით შეხედა ქმარს. მამამ ხმადაბლა ჩაილაპარაკა:


— რას იზამ, ეტყობა ასეთი ყოფილა ჩვენი ბედ-იღბალი.

მეტი ველარ ავიტანე. სირბილით გამოვიჰქერ სახლიდან და ბალახში პირქვე ჩავემხე, არ მინდოდა ვინმეს შეემჩნია, ცრემლად რომ ვიდვრებოდი...

მალე აღდგომა დადგება და სამრეკლოზე ზარებს დარეკავენ. დედაჩემი წელში მოიხარა და სახე ღრმა ნაოჭებით დაეფარა. პედრო ჩვენი ნაკვეთის გაყიდვას აპირებს, გვეუბნება, ჩემთან გადაგიყვანთო. მამა ჯერჯერობით უარზეა: არც მასე ვარ დაჩაჩანაკებულიო. კარების თავზე ვისსიას ბავშვობის სურათი ჰკიდია, სურათის ქვეშ თიხის ქოთანი დგას და, როგორც ყოველთვის, თეთრი ყვავილებითაა სავსე.

მე კი სარკესთან აღარ ვტრიალებ, აღარც იმას ვნატრობ, რომ ვინმეს ჩამოგავდე.

თარგმნა პ. ჩარკვიანმა.





დაუვიწყარი დღეები

საბჭოთა კავშირის დიდ სამამულო ომში მტერზე საბოლოო გამარჯვების მოპოვებაში დიდ რუს და სხვა მოძმე ხალხთა შეილებთან ერთად თავისი წვლილი შეიტანეს ქართველმა მეომრებმა, მთელმა ქართველმა ხალხმა. ამის საუკეთესო და მკაფიო მაგალითია ანაპის წითელდროშოვანი 414-ე ქართული დივიზიის პირადი შემადგენლობის თავდადებული ბრძოლები.

თერგის ნაპირები, ჩრდილოეთ კავკასია, კალაბატკა, ანაპა, ტამანი, ქერჩი, სიმფეროპოლი, სევასტოპოლი — აი ის ბრძოლით განვლილი გზები, სადაც გამოვლინდა ქართველ მებრძოლთა ვაჟკაცობისა და სამშობლოსათვის თავგანწირვის ბრწყინვალე მაგალითები.

1941 წლის ნოემბერსა და დეკემბერში ჰიტლერელებმა ორგზის იერიში მოიტანეს სევასტოპოლზე. 17 დეკემბერს, დილაადრიან მათ კვლავ შემოუტიეს ქალაქს. გაიმა-

რთა სამკვდრო - სასიცოცხლო ბრძოლა. სევასტოპოლის დამცველები ამჯერადაც არ თმობდნენ პოზიციებს. მტრის ვარაუდი — სამ დღეში იერიშით აეღო სევასტოპოლი კრახით დამთავრდა.

საბჭოთა მეომრები, რომელთა რიგებში ათასობით ქართველი იყო, 250 დღის განმავლობაში გმირულად იცავდნენ სევასტოპოლს.

საქვეყნოდ გაითქვეს სახელი სევასტოპოლის დამცველებმა — საბჭოთა კავშირის გმირებმა ივანე პიანზინმა, ნოე ადამიამ, ახალგაზრდა მეტყვიამფრქვევემ ნინო ონილოვამ და სხვებმა. 1942 წლის ივლისის დამდეგს, ყირიმსა და, კერძოდ, სევასტოპოლის მისადგომებთან მტრის ჭარბი ძალების მოწოლის გამო ჩვენმა ჯარებმა დატოვეს ქალაქი.

გერმანელი ფაშისტი დამპყრობლები და მათი სატელიტები ზემოობდნენ დროებით წარმატებას

ყირიმში. ავაზაკებმა მარტო ქერჩში შვიდი ათასზე მეტი საბჭოთა მოქალაქე დახვრიტეს. აჯიმუშკანის კატაკომბებში ხუთი ათასზე მეტი დაჭრილი და ავადმყოფი მეომარი, ადგილობრივი მცხოვრები — ბავშვები, ქალები და მოხუცები მხეცურად ამოახრჩვეს გაზით. გადაწვეს მრავალი სოფელი, დაანგრიეს საზოგადოებრივი შენობები.

მზიური ყირიმის ცაზე შავი ღრუბლები ჩამოწვა, გაუბედურებული საბჭოთა ადამიანების ბოლმას საზღვარი არ ჰქონდა. ბრძოლა ყირიმისა და სევასტოპოლისათვის ერთი წუთითაც არ შეწყვეტილა.

ყირიმისათვის ერთ-ერთი ბრძოლის ღროს მტრის გარემოცვაში მოქცეულმა სამასმა ქართველმა მეომარმა მაიორ პეტრე ვალის მეთაურობით გადაწყვიტა პარტიზანებად გასულიყვნენ ყირიმის ტყეებში და მოსვენება არ მიეცათ ფაშისტებისათვის. ისინი დღისითა და ღამით ანადგურებდნენ გერმანელთა ეშვლონებს, ანგრევდნენ კომუნიკაციებს, სპობდნენ ჯარის ნაწილებს.

1944 წლის 8 აპრილს საბჭოთა ჯარები შეიჭრნენ ყირიმში. არტილერიის ზალპებმა, საავიაციო და სატანკო ნაწილების იერიშებმა ქვა-ქვაზე დაადუღეს მტრის ბანაკი. მალე ყირიმი თითქმის მთლიანად გაიწმინდა ბარბაროსთაგან.

ჯერი მიღვა სევასტოპოლზე. რკინა-ბეტონის სიმაგრეებში ჩამჯდარი მტრის წინააღმდეგ იერიში დაიწყო 1944 წლის პირველ მაისს. საბჭოთა ჯარები სამი მზრიდან უტევდნენ ფაშისტებს. სხვა ნაწილებთან ერთად ტამანისა და ქერჩის ბრძოლებში სახელმოხვეტილი 414-ე ქართული დივიზიის მეომრები ქალაქს მიადგნენ სამხრეთ-დასავლეთით, საპუნგორას მხრიდან. ეს მთა გადაჭიმულია შვიდრვა კილომეტრზე და წარმოადგენს სევასტოპოლის გასაღებს.

7 მაისს დილით, საარტილერიო ცეცხლის გახსნის შემდეგ, ანაპის სახელობის წითელდროშოვანმა დივიზიამ იერიში მიიტანა მოწინააღმდეგის პოზიციებზე. ქართველმა მეომრებმა ტანკისტების, არტილერიისა და ავიაციის დახმარებით გაანადგურეს მტერი.

კოლმეურნეობა „ბოლშევიკის“ რაიონში სამი დღე და ღამე გრძელდებოდა სისხლისმღვრელი ბრძოლები. ამ ბრძოლებში თავი ისახელეს შალვა დოლიძის, პავლე სარალიძის, გიორგი ლომიძის, აბდულ წულუკიძის, ამბერკი ლორიას ქვეგანაყოფთა მეომრებმა.

1944 წლის 10 მაისს საბჭოთა ჯარებმა საბოლოოდ გაარღვიეს უკრაინის მე-4 ფრონტის გერმანელთა ძლიერ გამაგრებული ზღუდე და იერიშით აიღეს სევასტოპოლი.

სევასტოპოლისათვის ბრძოლებში გერმანელებმა სამასი ათასი კაცი დაკარგეს.

სამშობლომ ღირსეულად დაფასა ქართველ მეომართა დამსახურება ყირიმისათვის ბრძოლებში. დივიზია დაჯილდოვდა წითელი დროშის ორდენით, ორ პოლკს ლეგენდარული ქალაქის — სევასტოპოლის სახელი მიენიჭა.

ბევრი ქართველი მეომარი გმირული სიკვდილით დაეცა სევასტოპოლისათვის ბრძოლაში. მათი ხსოვნის უკვდავსაყოფად სევასტოპოლის მისადგომებთან, სადაც 1941-1942 წლებში და 1944 წლის 8-9 მაისს სისხლისმღვრელი ბრძოლები მიმდინარეობდა, ძმათა სასაფლაოზე აღმართულია ობელისკი. იქ განისვენებს აჭარის სახელოვანი შვილი კაპიტანი აბდულ წულუკიძე, რომელმაც თავისი ლამაზი სიცოცხლე მამულის თავისუფლებას შეწირა. სევასტოპოლის საიერიშო ბრძოლებში დაეცნენ აგრეთვე აჭარის წარგზავნილები — კაპიტანი მიხეილ ჯორბენაძე, უფროსი ლეიტენანტი მოსე ჩხარტიშვილი და სხვები.

გენერალ-ლეიტენანტ პ. ჩანჩიბაძის გვარდიული კორპუსის გვარდიელები, ერთ-ერთი პირველნი შეიჭრნენ ნახანძრალ სევასტოპოლში 1944 წლის 9 მაისს და გამარჯვების დროშა აღმართეს გმირი ქალაქის ნანგრევებზე. ჩანჩიბაძეს წილად ხვდა ყოფილიყო გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა ტყვეობიდან განთავისუფლებული სევასტოპოლის პირველი სამხედრო კომენდანტი.

კავკასიონის მისადგომებთან, ყუბანში, ნოვოროსიისკში, ტამანში, ყირიმსა და უკრაინის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში თავი ისახელა მამაცმა და ნიჭიერმა მხედართუფროსმა, მე-18 არმიის სარდალმა გენერალ-პოლკოვნიკმა კ. ლესელიძემ. მან გამოამყდავნა ჯარების ხელმძღვანელობის შესანიშნავი უნარი.

სამშობლოსათვის, მამულისათვის, წინ! — მოუწოდებდა ხოლმე მებრძოლებს გადამწყვეტი ბრძოლების დროს პოლკის სამხედრო კომისარი ამბერკი ლორია. ის მუდამ მებრძოლებთან იყო და იზიარებდა მათ ჭირ-ვარამს. სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაუმართეს მტრის ჭარბ ძალებს ათეულის მეთაურებმა — სერჟანტებმა სერგო ჩხაიძემ და ვლადიმერ პაპიძემ და ბრწყინვალედაც გაიმარჯვეს. სარდლობის დავალებათა შესრულების დროს მამაცობისა და გმირობის გამოჩენისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1945 წლის 24 მარტის ბრძანებულებით მათ საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭათ.

ხ. ბეჟანიძე, კ. ჩანკვეტაძე, ი. ყურაშვილი, ვ. თოიძე, დ. დოლიძე, ვ. მშვიდლობაძე, ბ. გიორგაძე, ი. დიასამიძე, ჯ. წითელაძე, შ. ხანნელიძე, ი. რუსია, მ. კუკულაძე, ვ. ს. სალუქვაძე, რ. ჩეხიში, კ. ჩხაიძე, ა. ვერულიძე, შ. მოისწრაფიშვილი, ა. ვარშანიძე, ბ. შარაშიძე, მ. სიხარულიძე, ჯ. გოგიტიძე, ვ. გოგეშვილი და სხვა მრავალი, რომ-

მლებიც ამჟამად აჭარის სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში მუშაობენ, მამაცურად იბრძოდნენ ყირიმში და მთავრობის ბევრი ჯილდოც დაიმსახურეს.

1944 წლის 10 მაისს, ღამის პირველ საათზე, ჩვენი სამშობლოს სახელით მოსკოვმა 324 ქვემეხის ოცდაათხი საარტილერიო ზალპით სალუტი მისცა უკრაინის მე-4 ფრონტის მამაც ჯარებს, რომლებმაც დაიკავეს სევასტოპოლი. მტრის ჯარებისაგან გაიწმინდა ყირიმი. გამარჯვებას ზეიმობდა იგი. საბჭოთა ადამიანებმა შვეებით ამოისუნთქეს.

1944 წლის 10 მაისის დილა წითელი დროშების ფრიალში გაუთენდა სევასტოპოლს.

როცა ყირიმის ეპოპეის მონაწილე ადამიანებს უსმენ, ან მათი პი-

რადი საქმეების გაფერმკრთალე-ბულ ფურცლებს გადაშლი, ვინ მოთვლის რამდენი მძიმე სურათი დაგიდგება თვალწინ, რამდენი გმირი მებრძოლი გაგახსენდება.

სწრაფად მიფრინავენ წლები... თანდათან გვშორდება მეორე მსოფლიო ომის—რბევისა და ნგრევის, აწიოკებისა და ცრემლების წლები. ყველა ამას ახალი თაობა ეცნობა წიგნების ფურცლებზე, ხოლო ბევრმა ჩვენგანმა თვითონ ვიწვნიეთ ომის საშინელება... და დღეს გაუბზარავი ხმით ძალუმად გავიძახით: ნურასოდეს, ნურასოდეს განმეორებულიყოს მსგავსი შავი დღეები, მშვიდობა სუფევდეს ყველგან, ყველა ხალხისათვის ბრწყინავდეს მზე. არასოდეს მოღრუბლულიყოს კაშკაშა მზით განათებული ჩვენი მშობლიური ცა.

იანონ ცეცხვამ.

თადარიგის მაიორი, ყირიმისა და სევასტოპოლის ბრძოლების მონაწილე.





ქართული შექსპირიანა

შილნიამ შექსპირის დაბადების 400 წლისთავის გამო

ინგლისის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში არცერთ გამოჩენილ პიროვნებას საქვეყნოდ ისე არ გაუთქვამს სახელი, როგორც უილიამ შექსპირს, ხალხის წილიდან გამოსულ უბრალო სტეტფორდელ მოქალაქეს, შემდგომ სახელგანთქმულ დრამატურგს.

შექსპირის ღრმა რეალისტურ შემოქმედებას ახასიათებს თავისი ეროვნული განუმეორებელი სახე, მაგრამ იგი დიდი ხანია შორს გასცდა ვიწრო ეროვნულ ჩარჩოებს. შექსპირი ინგლისელია იმდენად, რამდენადაც ინგლისში დაიბადა და ცხოვრობდა, ინგლისის სინამდვილით სულდგმულობდა და ამ ქვეყანაზე წერდა. მაგრამ შექსპირი კაცობრიობის ღვიძლი შვილია იმდენად, რამდენადაც მისი ნაწარმოებები დიდი ხანია მსოფლიოს ხალხთა საკუთრებად იქცა.

ქართველმა ხალხმა პირველი გაცნობისთანავე შეიყვარა შექსპირი, მხატვრული სიტყვის ეს დიდოსტატი, დიდი მოაზროვნე და ჰუმანისტი.

1841 წელს პირველად ითარგმნა შექსპირი ქართულ ენაზე. ეს იყო ცნობილი ტრაგედია „რომეო და ჯულიეტა“. იგი ფრანგულიდან ქართულ ენაზე გადმოიღო დიმიტრი ყიფიანმა მანანა ორბელიანის შთაგონებით. ამ თარგმანთან დაკავშირე-

ბით ნიკოლოზ ბარათაშვილი, შექსპირის ნიკის დიდი პატივისმცემელი, გრიგოლ ორბელიანს წერდა: „ჩვენმა ლიტერატურამ კარგი თარგმანი შეიძინა, დიმიტრი ყიფიანმა თარგმნა შექსპირის ტრაგედია „რომეო და ჯულიეტა“.

„რომეო და ჯულიეტა“ უთარგმნაია ალექსანდრე ყაზბეგსაც, მაგრამ ჩვენამდე ამ თარგმანის მხოლოდ ნაწყვეტებმა მოაღწია ხელნაწერთა სახით. შემდეგ კი, 1858 წელს, ლავრენტი არდაზიანმა პირველად თარგმნა ქართულ ენაზე „ჰამლეტი“. თარგმანი შესრულებული იყო რუსული ენიდან. დიმიტრი ყიფიანისა და ლავრენტი არდაზიანის კვლადაკვალ შექსპირის ნაწარმოებთა თარგმნას ხელი მიპყვეს ა. ფურცელაძემ, ვ. გუნიამ, კ. მესხმა და სხვ. ითარგმნა „მეფე ლირი“, „ვენეციელი ვაჭარი“, „იულიუს კეისარი“, „ოტელო“, „ვინძორელი ცელქი ქალები“ და სხვ. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ შექსპირის ტრაგედიების ეს თარგმანები შესრულებულია არა ორიგინალიდან, არამედ სხვა ენებიდან და თანაც მათი მხატვრული ღირსება დაბალია.

საქართველოში შექსპირის ნაწარმოებთა ჭეშმარიტად ოსტატურ თარგმნას საფუძველი ჩაუყარა ილია ჭავჭავაძემ. ილია სტუდენტობიდანვე გატაცებული ყოფი-

ლა შექსპირით. პეტერბურგში ყოფნისას იგი ადფრთოვანებით ადევნებდა თვალყურს იქ საგასტროლოდ ჩასული ზანგი მსახიობის ოლრიჯის წარმატებებს. უნახავს ეს გენიალური ტრაგიკოსი „მეფე ლირში“, ადფრთოვანებულა მისი თამაშით. პეტერბურგშივე ილია შესდგომია „მეფე ლირის“ თარგმნას. ამასთან დაკავშირებით მას ინგლისური ენის შესწავლაც კი დაუწყია. შემდეგ ილიასა და ივანე მაჩაბელს, როგორც ინგლისური ენის კარგ მცოდნეს, ერთად უთარგმნიათ „მეფე ლირი“. რუსეთიდან თბილისში დაბრუნებულმა ილიამ მოაწყო „მეფე ლირის“ საჯარო კითხვა, რასაც დიდი წარმატება ხვდა წილად. თბილისშივე დაუდგამს მას ცოცხალი სურათები „მეფე ლირიდან“. მეფე ლირი თვით ილია ყოფილა. ილია ჭავჭავაძე ვრცელ წერილსაც ამზადებდა, რომელშიც იგი უნდა შეხებოდა შექსპირის ჰამლეტსა და რუსთველის ტარიელს.

როგორც ცნობილია, შექსპირის ტრაგედია დაწერილია ათმარცვლიანი თეთრი ლექსით, ეგრეთწოდებული იამბიკური პენტამეტრით. ილია ჭავჭავაძემ და ივანე მაჩაბელმა მას ბრწყინვალე შესატყვისი მოუწახეს და დაამკვიდრეს ქართულ ლიტერატურაში თოთხმეტმარცვლიანი თეთრი ლექსის სახით.

ამრიგად, შექსპირის ტრაგედიების ლექსად თარგმნის წამომწყებია ილია, ხოლო ეს საქმე დიდებულად დაავიჯვინა ივანე მაჩაბელმა. ილია ჭავჭავაძეს განზრახული ჰქონდა განეგრძო შექსპირის ტრაგედიების თარგმნა, მაგრამ მან ივანე მაჩაბლის სახით შესანიშნავი მთარგმნელი დაინახა და შექსპირის ნაწარმოებთა თარგმნაც მას მიანდო.

ივანე მაჩაბლის მთარგმნელობითი მოღვაწეობა მთელი მოვლენა იყო ქართულ ლიტერატურაში. ილია ჭავჭავაძესთან ერთად „მეფე ლირის“ თარგმნის შემდეგ მაჩაბელი დამოუკიდებლად შესდგომია მუშაობას და 1886-1898 წლებში თარგმნა „ჰამლეტი“, „ოტელო“, „მაკბეტი“,

„რიჩარდ მესამე“, „იულიუს კეისარი“, „ანტონიოს და კლეოპატრა“ და „კორიოლანოსი“.

ქართული ლიტერატურის ისტორიაში ივანე მაჩაბელი შევიდა როგორც შექსპირის ტრაგედიების კლასიკური თარგმანების შემქმნელი. შექსპირის მაჩაბლისეული თარგმანები ერთ-ერთი საუკეთესოა მსოფლიო ლიტერატურაში. ჯერ კიდევ ილია ჭავჭავაძე წერდა: „არც ერთი რუსული თარგმანი შექსპირისა ქართულს არ შეედრება“. ივანე მაჩაბელი დიდი კეთილსინდისიერებითა და ღრმა ცოდნით თარგმნიდა ინგლისელი ტრაგიკოსის ნაწარმოებებს. მას სწორად ამოუკითხავს ისეთი ბუნდოვანი ადგილებიც, რომლებიც დღესაც კი ძნელამოსახსენებლად ითვლება. ივანე მაჩაბლის თარგმანები ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებენ, თითქოს ჩვენს წინაშე ქართულად მოლაპარაკე შექსპირი იდგეს.

ქართულიდან ინგლისურ ენაზე ჩვენი მწერლებისა და პოეტების მთარგმნელი, ცნობილი ორიენტალისტი ოლივერ უორდროპი 1886 წელს ყირიმიდან გამოგზავნილ წერილში ივანე მაჩაბელს წერდა:

„თქვენი თარგმანი „იულიუს ცეზარისა“ საამაყო რამ არის. იგი ერთსა და იმავე დროს არის დადასტურება თქვენო უაღრესი ნიჭიერებისა და თქვენი ენის საოცარი სიმდიდრისა. მე წამიკითხავს ფრანგული, გერმანული, რუსული და ბულგარული ევრსიები ამ პიესისა. მაგრამ არც ერთი იმათგანი არ არის ისე ერთგულად შესრულებული, როგორც თქვენი. თქვენ ისეთი რამ შექმენით, რომლითაც შთამომავლობა აღტაცებული იქნება“. ამას ამბობდა თვით ინგლისელი, ამავე დროს ქართული ენის მცოდნე ადამიანი, რომელსაც მართლაც ობიექტურად შეეძლო მაჩაბლისეული თარგმანების შეფასება!

შექსპირის მაჩაბლისეული თარგმანები ისეთი დიდი მოვლენა იყო ქართველი ხალხის კულტურულ ცხოვრებაში, რომ „ჰამლეტის“ წარმოდგენის შემდეგ

მთარგმნელს ოვაცია გაუმართეს და ხელ-
ში აყვანილი ქუჩებზე ატარეს.

ივანე მაჩაბელმა შექსპირის თარგმნის
ბრწყინვალე ტრადიცია დაგვიტოვა. მის
შემდეგ შექსპირის თარგმნას შეუდგნენ
შ. დადიანი, ს. შანშიაშვილი, კ. გამსახურ-
დია, ვ. ჭელიძე და სხვები. ამას წინათ
შექსპირის „სონეტები“ ქართულ ენაზე
ჩინებულად თარგმნა გივი გაჩეჩილაძემ.

შექსპირის რეალისტურმა შემოქმედე-
ბამ თავიდანვე მიიპყრო ყურადღება ჩვე-
ნი გამოჩენილი მწერლებისა, რომლებიც
ხშირად მიუთითებდნენ დიდი ინგლისე-
ლი დრამატურგის ნაწარმოებებზე, რო-
გორც საკაცობრიო მნიშვნელობის მოვ-
ლენაზე. მაღალ შეფასებას აძლევდნენ
შექსპირის შემოქმედებას ილია ჭავჭავა-
ძე, აკაკი წერეთელი, ალექსანდრე ყაზბე-
გი და სხვები. ვაჟა-ფშაველა წერდა: „ყო-
ველი მამულიშვილი თავის სამშობლოს
უნდა ემსახუროს მთელი თავისი ძალდო-
ნით. თანამომამეთა სარგებლობაზე უნდა
ფიქრობდეს და, რამდენადაც გონიერუ-
ლი იქნება მისი შრომა, რამდენადაც სა-
სარგებლო გამოდგება მშობელი ქვეყნი-
სათვის მისი ღვაწლი, იმდენადვე სასარ-
გებლო იქნება მთელი კაცობრიობისათ-
ვის... შექსპირი ინგლისელია, ინგლისში
მუშაობდა და ცხოვრობდა, მაგრამ მისი
ნაწერებით მთელი კაცობრიობა ტკბება
დღესაც“. თავის ლიტერატურულ წერი-
ლებში ვაჟა-ფშაველა არაერთხელ ეხე-
ბოდა შექსპირის ნაწარმოებებს, როგორც
ხალხური წილიდან აღმოცენებულ ქმნი-
ლებებს; რომლებშიც იგი ხედავდა მთელი
კაცობრიობის „საჭიროების დაკმაყოფი-
ლებას“.

შექსპირის დრამატურგიულმა მემკ-
ვიდრობამ კეთილმოყოფელი ზეგავლენა
იქონია ქართული დრამატურგიის განვი-
თარებაზე. შექსპირი ქართველი მწერლე-
ბისათვის დრამად რეალისტური, დრამა-
ტული ხელოვნების ნიმუში გახდა. ისევე,
როგორც სხვა ქვეყნების დრამატურგებ-
მა, მათ შემოქმედებითად გამოიყენეს
შექსპირის რეალისტური მიღწევები. მა-

გალითად, როგორც აღნიშნავენ, ანტ. ფუ-
რცელაძის ისტორიული პიესა „დიდი მო-
ურავი“ თავისი არქიტექტონიკითა და
კომპოზიციით შექმნილია შექსპირის
„ქრონიკების“ მსგავსად. იგივე შეიძლება
იტყვას ყაზბეგის პიესაზე „წამება ქეთე-
ვან დედოფლისა“. შექსპირისეული რე-
ალიზმის ძალა იგრძნობა აკაკი წერეთლის
„თამარ ცბიერსა“ და „პატარა კახში“.
წმინდა შექსპირისეულია ხასიათების გა-
მოკვეთის ხერხი ვაჟა-ფშაველას ტრაგე-
დიაში „მოკვეთილი“. XX საუკუნის ქა-
რთველი დრამატურგებიც შემოქმედები-
თად იყენებდნენ შექსპირის მემკვიდრე-
ობას. ამ მხრივ აღსანიშნავია შ. დადი-
ანის ორი ისტორიული პიესა „გეგეპკო-
რი“ და „ვარამი“.

გასული საუკუნის მეორე ნახევრიდან
შექსპირის ტრაგედიები დიდი წარმატე-
ბით იღგმება ქართული თეატრის სცენა-
ზე. 1873 წელს სოფელ ბანძაში სცენის-
მოყვარულებს წარმოუდგენიათ „ვენეცი-
ელი ვაჭარი“, ხოლო 1878 წელს იგივე
პიესა „შეილოკის“ სახელწოდებით და-
იდგა თბილისში. შექსპირის „ჰამლეტი“
პირველად წარმოადგინეს 1883 წელს
ა. ფურცელაძის თარგმანით, ხოლო 1887
წელს ივანე მაჩაბლის მიერ თარგმნილი
„ჰამლეტი“ წარმოდგენილ იქნა ლადო
მესხიშვილის საბენეფისოდ. 1883 წელს
კოტე ყიფიანის საბენეფისოდ დაიდგა
„შეფე ლირი“. 1885 წელს ვალერიან გუ-
ნიას სადებიუტოდ პირველად დაიდგა
„ოტელო“ ვ. გუნიასავე თარგმანით და
გათამაშებულ იქნა მხოლოდ ერთი სცე-
ნა (მეხუთე მოქმედებიდან). 1911 წელს
წარმოადგინეს მაჩაბლის მიერ ნათარგმნი
„შეფე ლირი“, ხოლო „ვინძორელი ცეცქი
ქალები“ კ. მარჯანიშვილის რეჟისორობით
დაიდგა 1924 წელს. ქართული თეატრის
ისტორიაში მეტად მნიშვნელოვან მოვლე-
ნას წარმოადგენდა კ. მარჯანიშვილის მი-
ერ დადგმული „ჰამლეტი“, რომელშიც
დანიელი უფლისწულის როლი შესანიშ-
ნავად განსახიერა უშანგი ჩხეიძემ. სა-
ქართველოს თეატრალურ ცხოვრებაში

ღრმა კვალი დატოვა აგრეთვე ისეთმა დადგმებმა, როგორცაა შექსპირის „ოტელო“, „ანტონიოს და კლეოპატრა“, „რიჩარდ მესამე“. ამ საქმეში თავისი წვლილი შეიტანა ბათუმის თეატრმაც, რომელმაც განსახიერა შექსპირის ორი ტრაგედია „ჰამლეტი“ და „ოტელო“.

საბჭოთა კავშირში შექსპირის პიესები ოცდაორ ენაზე იდგმება. მათ შორის ერთ-ერთი პირველი ადგილი უჭირავს შექსპირის პიესათა დადგმებს ქართული თეატრის სცენაზე. შექსპირის ტრაგიკულ გმირთა როლების ისეთი ბრწყინვალე შემსრულებლები, როგორც არიან ა. ხორავა, ა. ვასაძე, ვ. გოძიაშვილი, ვ. ანჯაფარიძე და სხვები, მართლაც რომ დაამშვენებდნენ მსოფლიოს რომელიც ვენბავთ თეატრის სცენას ოტელოს, იაგოს, რიჩარდისა და კლეოპატრას როლებში.

შექსპირის მრავალი ნაწარმოები კინოფირზეც აღიბეჭდა, ზოგიერთზე მუსიკა დაიწერა — სიმფონიის, ოპერის ან ბალეტის საგანი გახდა. ამ საქმეში დიდი წვლილი შეიტანა ქართველმა ხალხმაც. ვახტანგ ჭაბუკიანის მიერ დადგმულ ბალეტს „ოტელო“, რომლის შესანიშნავი მუსიკა ეკუთვნის კომპოზიტორ ა. მაჭავარიანს, მსოფლიო რეზონანსი აქვს. იგივე ბალეტი ქართულ კინოსტუდიაში კინოფირზე აღიბეჭდა და ამით მაყურებელთა ფართო მასას საშუალება მიეცა გასცნობოდა დიდი ინგლისელი დრამატურგის

ერთ-ერთ შესანიშნავ ნაწარმოებს, ქართველ ხელოვანთა მიერ მუსიკის ენაზე გადატანილს და განსახიერებულს კლასიკურლი რი ცეკვით.


საბჭოთა პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება მიექცა აგრეთვე შექსპირის მემკვიდრეობის მეცნიერულ შესწავლას. ამ მხრივ აღსანიშნავია აწ განსვენებულ პროფესორ ერეკლე ტატიშვილის დაუღალავი მუშაობა შექსპირის პოპულარიზაციის საქმეში. ბევრი ქართველი შექსპიროლოგი უშუალოდ პროფ. ე. ტატიშვილის მითითებითა და დახმარებით შეუდგა შექსპირის შესწავლასა და თარგმნას.

დიდი ღვაწლი დასდეს ქართულ შექსპირიანას პოეტმა-აკადემიკოსებმა იოსებ გრიშაშვილმა და გიორგი ლეონიძემ, მახაბლისეული თარგმანების გამომცემელმა გივი გაჩეჩილაძემ, შექსპირის შემოქმედების მკვლევარებმა ვახტანგ ჭელიძემ, ნიკო ყიასაშვილმა და სხვ. საბჭოთა შექსპიროლოგებთან ერთად ქართველი შექსპიროლოგებიც ღრმად მეცნიერულად, მარქსისტულად ამუშავებენ შექსპირის მხატვრულ მემკვიდრეობას.

შექსპირის დღეებთან დაკავშირებით ქართული შექსპირიანა მძლავრ აღმავლობას განიცდის და მალე მკითხველები მიიღებენ ქართველ მეცნიერთა ახალ წიგნებს, რომლებიც მიეძღვნება ამ გენიალური დრამატურგის შემოქმედებას.

3. ჯავზარიძე





გამოჩენილი ქართული პოეზი

პაოლო იაშვილის დაბადების 70 წლისთავის გამო

პაოლო იაშვილის მშობლიური სოფელი არგვეთი სულ რამდენიმე კილომეტრით შორავს დიდი აკაკის სხვიტორს და თითქოს მოსალოდნელი იყო, რომ ამ ორ პოეტს საზიარო იდეურ-ესთეტიკური კრებო ექნებოდა, მაგრამ პირიქით მოხდა.

1915 წელს „ცისფერყანწელთა“ ორდენი რომ დააარსა ქუთაისში, ამ ორდენის მანიფესტში სრულიად ახალგაზრდა პოეტმა — ოცდაორი წლის პაოლო იაშვილმა საჭიროდ ჩათვალა იერში მიეტანა აკაკი წერეთლისა და საერთოდ გასული საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ პოეზიაზე. მან გადაჭრით უარყო ილიასა და აკაკის რეალიზმი, პოეზიის ხალხურობა და უტილიტარიზმის პრინციპი.

რა თქმა უნდა, სიმბოლისტი პოეტი და „ცისფერყანწელთა“ ლიტერატურული კორპორაციის დამაარსებელი სხვანაირად ვერ მოიქცეოდა, მაგრამ აკაკის პოეზიის ხელადებითი იგნორაცია ეწინააღმდეგებოდა თვით პაოლო იაშვილის, როგორც ადამიანისა და შემოქმედის, ბუნებას. მისი ლექსები უფრო ახლო იდგა აკაკის პოეზიასთან, ვიდრე არტურ რემბოს ან ბალმონტის ლექსებთან.

ეს შინაგანი წინააღმდეგობა პირველმა შენიშნა და ჩვეული სიცხადით ჩამოაყა-

ლიბა. ქართული ლიტერატურული კრიტიკის გამოჩენილმა კლასიკოსმა გერონტი ქიქოძემ. ქართველ სიმბოლისტთა ორდენი რომ შექმნაო, წერდა კრიტიკოსი სტატიაში „პაოლო იაშვილი“, მან „უწინარეს ყოვლისა, ძველი პოეტური თაობის ცენტრალურ ფიგურას აკაკი წერეთელს შეუტია. ეს გასაგები იყო ახალი ორდენის ინტერესების თვალსაზრისით, მაგრამ ძნელი ასახსნელი იყო პაოლო იაშვილის ადამიანური და პოეტური ბუნების თვალსაზრისით: ის უფრო აკაკი წერეთლის ანდერძის დამცველად გამოდგებოდა, ვიდრე მის დამრღვევლად“.

ასევე არაორგანულად მიიჩნევს სიმბოლისმს პაოლო იაშვილისათვის პოეტიკადემიკოსი ირაკლი აბაშიძე. „ბუნებით ცოცხალი, გულღია და სისხლჭარბი პაოლო იაშვილი, — წერს იგი, — თავის ამხანაგებთან შედარებით ყოველთვის ნაკლებად წააგავდა დაცემულობის გამომხატველ დეკადენტს. მისი წინარევოლუციური ლექსებიც ნაკლებად ატარებენ უკიდურესი ინდივიდუალიზმის, კოსმოპოლიტური ესთეტიზმისა და ცხოვრების უარყოფელობის კვალს. ეს ლექსები, პირიქით, სავსენი არიან სიცოცხლით, სამშობლოსა და მშობლიური ხალხისადმი უსაზღვრო სიყვარულით“.

ერთი სიტყვით, როგორც სამართლიანად ამბობდა გერონტი ქიქოძე, პაოლო იაშვილი „სიმბოლისტური და დეკადენსტური პოეზიის სკოლას უფრო თავით მიემხრო, ვიდრე გულით“. მართლაც, პაოლო იაშვილისათვის სიმბოლიზმი თავიდანვე არ ყოფილა ორგანული, მისი ლაღი, ეპიკურული სული არასოდეს შეთვისებია მისტიციზმისა და თვითმკვლელობის აპოლოგიას. იგი მუდამ ისწრაფოდა რეალური, ხილვადი ცხოვრებით ტკბობისაკენ და, თუ პოეტი მაინც აღმოჩნდა ამ დეკადენტური სკოლის დამაარსებელთა შორის, ამას თავისი ობიექტური მიზეზი ჰქონდა.

როგორც ცნობილია, პაოლო იაშვილი სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა ჩვენი საუკუნის ათიანი წლების დამდეგს, ე. ი. იმ დროს, როცა მეტისმეტად მოძრავდნენ ილიასა და აკაკის ეპიგონები, რომლებიც ნებით თუ უნებლიეთ ნერგავდნენ მიმბაძველურ სულისკვეთებას და ამუხრუჭებდნენ პოეტური სიტყვის განახლების ბუნებრივ პროცესს, უკან ეწეოდნენ ქართულ პოეზიას. თავის ლიტერატურულ მეგობრებთან ერთად პაოლო იაშვილი გრძნობდა, რომ საჭირო იყო ეპიგონთა მოძალების, ეპიგონური ზვირთის უკუგდება, მაგრამ როგორ და რა გზით?

და აი სწორედ აქ წაიბოროძიეს პაოლო იაშვილმა და სხვა „ცისფერყანწელებმა“. ჯერ ერთი, მათ ცეცხლი მიმართეს არა ეპიგონობის, არამედ თვით ილია-აკაკის წინააღმდეგ და უარყვეს მათი მოქალაქეობრივი მოტივებით გამსჭვალული პოეზია, რამდენადაც ფიქრობდნენ, რომ მთავარი დამნაშავე პოეტური სიტყვის დაკნინებაში იყო რეალიზმი და უტილიტარიზმი, ანუ როგორც თვითონ წერდნენ, „გარემოების მესაყვირობა“. მეორეც, მათ ეგონათ, რომ ქართული პოეზიის განახლება შეიძლებოდა მხოლოდ უცხოური პოეტური კულტურის, კერძოდ, სიმბოლიზმის გადმონერგვით.

ეს იყო ღრმა შეცდომა. სიმბოლიზმი, როგორც მოსალოდნელი იყო, არ აღმოჩნდა

ნდა ის ძალა, რომლითაც შესაძლებელი იქნებოდა ახალი გზების გაკავება ქართულ პოეზიაში. ამის გამო ქართული ლექსის განმაახლებელთა სახელი დაიმკვიდრეს გალაკტიონ ტაბიძემ, იოსებ გრიშაშვილმა და სხვებმა, რომლებმაც ხელადებით კი არ უარყვეს ეროვნული პოეტური ტრადიციები, არამედ შემოქმედებითად აითვისეს და შემდგომ განავითარეს ისინი მსოფლიო პოეზიის უკეთეს მიღწევათა გავალისწინებით. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, თითქოს პაოლო იაშვილსა და „ცისფერყანწელებს“ არაფერი გაეკეთებინოთ ქართული ლექსის განვითარებისათვის. უდაოა, რომ ამ საქმეში მათ მაინც მიუძღვით გარკვეული წვლილი. ჩვენ მართო იმის ხაზგასმა გვსურს, რომ საშუალებამ, რომელიც „ცისფერყანწელებმა“ აირჩიეს ნოვატორული ძიებისათვის, არ გაამართლა და მათ მხოლოდ ნაწილობრივ მიაღწიეს მიზანს.

მეორე მხრივ, სწორედ იმის გამო, რომ პაოლო იაშვილისათვის სიმბოლიზმი უფრო საშუალება იყო, ვიდრე მიზანი, იგი შედარებით ადვილად გაათავისუფლდა სიმბოლისტური ესთეტიკის ტყვეობისაგან და ქართველ მწერალთაგან ერთ-ერთი პირველი დადგა რევოლუციონერი საბჭოთა პოეტის პოზიციაზე. ჯერ კიდევ 1921 წელს, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე, პოეტი აღფრთოვანებით მიესალმა თავისუფალ სამშობლოს და ლექსში „ახალ საქართველოს“ განაცხადა: „დავაგვირგვინოთ ჩვენ მომავალი წითელ რუსეთის დაძმობილებით“.

მთელი შემდგომი პრაქტიკული პოეტურ-საზოგადოებრივი საქმიანობით პაოლო იაშვილმა ცხადყო, რომ ეს სიტყვები, ეს მისაღმება არ ყოფილა ლიტონი დეკლარაცია, რომელსაც წარმოთქვამენ, მაგრამ არ ასრულებენ. პოეტი მხარში ამოუდგა ახალი ცხოვრების მშენებელ ხალხს და გატაცებით უმღერა მის გმირულ საქმეებს, გმირულ შემართებას ძველის წინააღმდეგ ბრძოლაში.

პაოლო იაშვილის პოეტური მემკვიდრეობა არ არის დიდი. პოეტ-აკადემიკოსი. აბაშიძის თქმით, „პაოლო იაშვილი თითქოს მოხუცებას უცდიდა, რომ ბუნებით ნამდვილ ეპიკურელს, ცხოვრების ყველა სიამით გულმოჭრებულს მარტო პოეზიისათვის მხოლოდ მაშინ მიეცა თავი“. ასეთი შთაბეჭდილება მართლაც შეიძლება შეგვექმნას, მაგრამ პოეტური მარტივობისათვის თავის არიდება, ვფიქრობთ, მაინც ერთი მომენტი და მას აუცილებლად უნდა დაემატოს ხალხის წინაშე ხელოვანის მაღალი პასუხისმგებლობის შეგნება.

ლექსებში, რომლებიც პაოლო იაშვილმა პოეზიას, როგორც ხელოვნებას, მიუძღვნა, ძლიერ მკაფიოდ ჩანს არა მარტო ტკივილი, რასაც შემოქმედი განიცდის ლექსის დაბადების დროს, არამედ იმის შეგნებაც, რომ პოეტი გამორჩეული ადამიანია საზოგადოებაში („დადის ქალაქში ბევრის მსგავსი ჩემი სხეული და ხალხი ამბობს: „ეს კაცია ლექსის მწერალი“) და, მამასადამე, მას ევალება გამართლოს ეს ყურადღება, ეს დაფასება.

„გაგიჟება სჯობს, თუ გაათავდა სიტყვის მადანი“, წერდა პაოლო იაშვილი ერთ-ერთ ლექსში და ამიტომაც ასე ზოგავდა „სიტყვის მადანს“, არ სურდა გაეფლანგა იგი ზერელე, ან უგულო ნაწარმოებთა შესაქმნელად. მას სჯეროდა, რომ „კალმის წვერი — ბულბულის ნისკარტი“ მარტო მაშინ უნდა აახშიანო, როცა იგი მარტო ბულბულის სტვენას გამოსცემს. რა საჭიროა ქვეყნად გაჩნდეს ლექსები, რომელთა დაწერას არ მოუთხოვია უძილობა, ღამის ტეხა და შთავიწინებით დასწრებული სულის უზარმაზარი ტანჯვა? ხომ ნიშანდობლივია, რომ პაოლო იაშვილს თითქმის არ დარჩენია უგულო, გაუმართავი და ზერელე ლექსები?

პაოლო იაშვილი ბუნებით პოეტი იყო — ცხოვრებაშიც და შემოქმედებაშიც. სამართლიანად ამბობდა მისი ახლო მეგობარი კრიტიკოსი გერონტი ქიქოძე: „პაოლო იაშვილი ძველი დროის რაფსო-

დებს და ტრუბადურებს ჰგავდა: მისი პოეტური ნიჭის დაფასება არ შეიძლება მარტოდენ მისი დაბეჭდილი ლექსების მიხედვით. ეს იყო იმპროვიზაციის, ჯადოსანი ქარი, რომელიც უწინარეს შემთხვევაში აუღიბორიის სმენას ხიბლავდა. მას ვერავინ შეედრებოდა დიდ სადღესასწაულო სუფრაზე, მისი სიტყვები შინაარსიანი და გონებამახვილი იყო ერთსა და იმავე დროს, აქ ის თითქოს თავისთავს სჭარბობდა“.

პაოლო იაშვილის პოეზიის მთავარი მოტივი პატრიოტიზმი იყო, რომელსაც ორგანულად ერწყმოდა ხალხთა მეგობრობისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის იდეა. მას ყველაფერი აინტერესებდა — არა მარტო ის, რაც ჩვენს ქვეყანაში ხდებოდა, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. სხვა ქართველ პოეტებთან ერთად იგი მსურვალედ გამოეხმაურა და მხარი დაუჭირა ესპანელი ხალხის გმირულ ბრძოლას ფრანკისტ მემამონეთა და გერმანელი და იტალიელი ფაშისტები ინტერვენტების წინააღმდეგ. ლექსში „წინ, ესპანეთის გმირულ ხალხო!“ პაოლო იაშვილი თავისუფლებისათვის მებრძოლთა მოუწოდებდა არ შემდრკალიყვენ მტრის წინაშე, გადაეტანათ ყოველგვარი ვაჭირვება და ეზეიმით გამარჯვება. „ხვალ სიხარული, დღეს გამარჯვება! აი ქართველი მგოსნის ოცნება“, აცხადებდა იგი. ამ ლექსით პოეტმა გამოხატა საბჭოთა ხალხის პროლეტარული ინტერნაციონალიზმის გრძნობა და ცხადყო სულიერი ინტერესების ფართო დიაპაზონი.

არსებითად ფაშიზმისა და ახალი ომის გამჩალებელთა წინააღმდეგ იყო მიმართული პაოლო იაშვილის ერთ-ერთი საუკეთესო ლექსი „ანდრე ჟიდს — მოღალატეს“, რომელშიც მან დაწყევლა და შეაჩვენა ეს ორპირი, გაიძვერა ფრანგი ლიტერატორი და პოლიტიკანი. „დღეს ის კაცი ხარ, მადრიდის ბავშვებს რომ ანადგურებთ დღისით და ღამით“, ზიზღით მიმართავდა პოეტი ანდრე ჟიდს და გადაჭრით გამოხდა როგორც მის ვერა-

გულ საქციელს, ისე საერთაშორისო ფა-
შისტურ რეაქციას.

ხალხთა მეგობრობისა და პროლეტარუ-
ლი ინტერნაციონალიზმის გრძნობა პაო-
ლო იაშვილმა იმითაც გამოხატა, რომ
დიდი დრო და ენერგია შეაღია მთარგმ-
ნელობით მოღვაწეობას. მან ქართულად
თარგმნა ცნობილი ინგლისელი მწერლის
ოსკარ უაილდის უაღრესად პოეტური
პიესა „სალომე“, რომელიც გამოჩენილმა
საბჭოთა რეჟისორმა სანდრო ახმეტელმა
დადგა რუსთველის სახელობის თეატრ-
ში 1923 წელს. მანვე თარგმნა პუშკინის,
მაიაკოვსკის, ბალმონტის, სევერიანინის,
სოსიურას, ვაგიფის, ემილ ვერჰარნისა
და ფრანგი სიმბოლისტების შარლ ბოდ-
ლერისა და არტურ რემბოს ცალკეული
ლექსები.

მათგან განსაკუთრებით გამოირჩევა
უბადლო მხატვრული ოსტატობით შეს-
რულებული პუშკინის ლექსებისა და პო-
ემების თარგმანები. ქართველი პოეტი
არა მარტო ზუსტად იცავდა დედნის სუ-
ლისკვეთებას და ინტონაციას, არამედ
ფონეტიკურ მსგავსებასაც კი აღწევდა,
რითაც განაცვიფრა პოეზიის რუსი თაყ-
ვანისმცემლები. სანიმუშოდ მარტო ერთ
მაგალითს მოვიტანთ. პუშკინს აქვს ლექ-
სი „ზამთრის საღამო“, რომელიც ასე იწ-
ყება: „ბურია მგლოიუ...“ პაოლო იაშვილ-
მა მას შესანიშნავი პოეტური შესატყვისი
მოუძებნა ქართულ ენაზე: „ქარმა გლო-
ვით...“ ვისაც კი უცდია პოეტური ნაწარ-
მოების თარგმნა, დაგვეთანხმება, თუ რა
ძნელია და რა უდიდეს ნიჭს მოითხოვს
ამგვარი ფონეტიკური შესატყვისობის მი-
ზენება.

ლექსების მთელი ციკლი მიუძღვნა პა-
ოლო იაშვილმა ახალ კოლხიდას, საბჭო-
თა ადამიანის შემოქმედებით შრომას,
რომელიც სახეს უცვლიდა ბუნებას და
ნაჭობარ მხარეს ბაღნარად აქცევდა. მან
გატაცებით უმღერა „კოლხიდის პირველ
მოსახლეს“, ადამიანს, რომლის მეზობ-
ლობითაც თაობები იტრაბახებდნენ. პო-
ეტს აღაფრთოვანებდა თბომავალი „საქა-

რველო“, ფოთის ნავსადგურში რომ შე-
მოდიოდა ხალხთა მეგობრობის სიმბო-
ლოდ. იგი ამაყობდა იმით, რომ საბჭოთა
ადამიანებმა დაიმორჩილეს ზვიადი რიო-
ნი და აიძულეს ეს მრისხანე მდინარე
ახალი კალაპოტით ევლო. პოეტი ყველ-
გან ხედავდა ცხოვრების დუდილს —
ფოთში თუ მალთაყვაში, ესმოდა მისი
მაჯისცემა და შთაგონებით წერდა:

„ცხოვრებაში ყოველთვის
აღბათ გვემახსოვრება
კაცისათვის ნამდვილი
სიამის სამყოფელი,
ეს ლენინის ამაგით
დადგენილი ცხოვრება,
ღვას მის სადიდებელად
გაჩენილი სოფელი“.

პოეტი უმღეროდა „ლენინის ამაგით
დადგენილ ცხოვრებასაც“ და ხვალისდელ
დღესაც, იმ პერსპექტივას, რაც ხალხის
წინაშე ისახებოდა, როგორც უახლოესი
საბრძოლო ამოცანა. ეს კარგად ჩანს ლე-
ქსში „სამგორისათვის“. მიიღო თუ არა
მთავრობამ დადგენილება სამგორის სა-
რწყავი სისტემის მშენებლობის შესახებ,
პაოლო იაშვილი დაუყოვნებლივ გამოეხ-
მაურა ამ სასიხარულო ფაქტს. მან დახა-
ტა ოდესღაც აყვავებული, მაგრამ დროთა
ბრუნებაში სანახევროდ გაუდაბნობული
სამგორის ველის დაუვიწყარი სურათი,
რომელიც გვხიბლავს რეალისტური ფერ-
წერითა და გამომსახველობის ძალით,
მხატვრული სახის სიზუსტითა და აფო-
რისტულობით:

„შენ დაგიჯაბნეს დღით ეკალმა,
ღამით ტურებმა,
ყოველი კაცი შენ უდაბნოს ბერი
გგონია,
და ისტორიის საშინელი უბედურება
შენს გამხმარ მკერდში განაჩენად
ჩაგიკონია“.

ასეთი საშინელი იყო განაჩენი, რომე-
ლიც შეაბნელმა ისტორიამ გამოუტანა
სამგორის ველს, მაგრამ მოვიდა ახალი
ძალა — თავისუფალი ქართველი ხალხი

და ეს უსამართლო განაჩენი ერთბაშად
გააუქმა, გადაწყვიტა რა გადამხმარი ტრა-
მალი კვლავ ბაღნარად ექცია, და პოეტს
ღრმად სწამდა, რომ ასეც იქნებოდა:

„უკვე გადაწყდა! გაცოცხლდება
შენი მთა-ველი,
აღსდექი, მიწავ, უზვიანი მოგვეცი
კვება,
სამი წლის შემდეგ თვითეული
შენი მტკაველი
ყანებს და ბაღებს, მდიდარ ბოსტნებს
დაუთმონ ქვებმა!“

გავიდა ხანი და სამგორის ველზე სი-
ცოცხლემ დაისადგურა, გადახრუკულ
მინდვრებზე ბაღ-ბოსტნები აიჭოჩრა, ჯე-
ჯილი აბიბინდა და ვაზი აყვავილდა, მაგ-
რამ ვაი, რომ პოეტი ამას ვეღარ შეეხწ-
რო. პაოლო იაშვილის დიდი პოეტური
სიცოცხლე მოულოდნელად შეწყდა, შე-
წყდა შემოქმედებითი სიმწიფისა და გა-
ფურჩქნის პერიოდში. იგი გახდა პი-
როვნების კულტის დროს გამეფებული


თვითნებობის მსხვერპლი. პოეტი აიძუ-
ლეს თვითონ გამოთხოვებოდა სიცოცხ-
ლეს, რომელსაც მთელი არსებით ეტრ-
ფოდა და რომელიც ისე მოუშხამეს, რომ
ბოლოს და ბოლოს მას სიკვდილი ამჯო-
ბინა.

მთელ თავის ცხოვრებასა და მოღვაწე-
ობაში პაოლო იაშვილი აღმერთებდა ვაჟ-
კაცურ საწყისს, მას ერთადერთს შეტრ-
ფოდა და შეხაროდა.

„როგორც აფრის ტკაცუნი,
ზოვარდნილი ზღვიდან,
ისეთი ვაჟკაცური
გაქანება მინდა“.

წერდა პოეტი ერთ-ერთ ლექსში და
სასიხარულოა, რომ პაოლო იაშვილის
პოეზია კვლავ დაუბრუნდა მშობელ
ხალხს, რომელსაც იგი უსამართლოდ ჩა-
მოართვეს; სასიხარულოა, რომ ჩვენს სა-
ყვარელ პოეზიაში კვლავ გაისმის პაო-
ლოს ლექსების აფრათა ვაჟკაცური ტკა-
ცუნი.

6. გუგუნიავა.



ზაგილო პრინციპი კომუნისმის მშენებელი ახალი აღმშენებლის პარტია

კომუნისმის აშენება, მისი მაღალი პრინციპების განხორციელება გულისხმობს არა მარტო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნასა და პროდუქციის სიუხვეს, არამედ ამასთან ერთად ადამიანთა აღზრდას კომუნისტური სულისკვეთებით, მათში ისეთი სულიერი თვისებების დაწერვასა და განვითარებას, როგორცაა შრომისმოყვარეობა, ორგანიზებულობა და დისციპლინა, საერთო-სახალხო დოვლათის განუხრელი ზრდისათვის ზრუნვა, პირად ინტერესებზე მაღლა საზოგადოებრივი ინტერესების დაყენება და ა. შ. მარქსიზმმა პირველად გვიჩვენა, თუ როგორ შეიძლება და როგორ უნდა აშენდეს სოციალიზმი და კომუნისმი ადამიანთა ფართო მასების ხელით და მშენებლობის პროცესში როგორ უნდა მოხდეს მათი ხელახლა აღზრდა. ლენინის აზრით, სწორედ კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში მილიონობით მშრომელის ჩაბმა წარმოადგენს კომუნისმის აშენების შესაძლებლობისა და წარმატების გარანტიას.

კომუნისმის ძირითადი პრინციპი „თვითეულისაგან — უნარის მიხედვით, თვითეულს — მოთხოვნილების მიხედვით“ გულისხმობს არა მარტო მატერიალურ

და კულტურულ სიკეთეთა სიუხვეს, არამედ შრომის გადაქცევას საზოგადოების ყველა წევრის პირველ-სასიცოცხლო მოთხოვნილებად. მხოლოდ მაშინ, როცა ყველა ადამიანი მიეჩვენა იშრომოს თავისი უნარის მიხედვით და როცა მათი შრომა უაღრესად მაღალნაყოფიერი გახდება, შესაძლებელი აღმოჩნდება განაწილება მოთხოვნების მიხედვით. მასშასადამე, ახალი ადამიანის აღზრდის აუცილებლობა გამოინარეობს კომუნისმის საზოგადოებრივ ურთიერთობის ხასიათიდან.

საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში, თვლიდა რა კომუნისტურ შაბათობას საზოგადოებრივი ცხოვრების თვისობრივად მაღლ მოვლენად, ლენინი ამბობდა, რომ კომუნისმის ჩვენ ვუწოდებთ ისეთ წინაპირობებს, როცა ადამიანები მიეჩვენენ საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულებას იძულების განსაკუთრებული ანარქის გარეშე. თავისთავად ცხადია, კომუნისტური საზოგადოების ეკონომიკური და სოციალური ცხოვრება წარმოუფენელია, თუ ადამიანში დაძლეული არ არის ძველი ჩვევები, რომლებიც მემკვიდრეობით გადმოვიდნენ კლასობრივი საზოგადოებიდან, და თუ მათში არ

აღზარდეთ ახალი ადამიანის თვისებები.

ადამიანზე იდეური ზემოქმედების, მისი კომუნისტური სულისკვეთებით აღზარდის მნიშვნელოვანი საშუალებაა დარწმუნება. იგი და მხოლოდ იგი წარმოადგენს მასების ხელახალი აღზარდის მთავარ მეთოდს, რომელიც ემყარება მეცნიერულ მსოფლმხედველობას, სიმართლეს, ჭეშმარიტ ფაქტებსა და დებულებებს. ღრმა იდეურობა ის დიადი ძალაა, რომელიც რაზემაც საბჭოთა საზოგადოებას და წარმოადგენს მისი ძალისა და ძლიერების საფუძველს. შევგნებულნი, გამარჯვებაში მტკიცედ დარწმუნებული ადამიანი, კომუნიზმის მშენებლობის რა უბანზეც არ მუშაობდეს, თავის მოღვაწეობას ყოველთვის დაუმორჩილებს საერთო-სახალხო ინტერესებს.

„ახალგაზრდობის კავშირის წევრად ყოფნა ნიშნავს, — ამბობდა ვ. ი. ლენინი კომკავშირის მესამე ყრილობაზე, — საქმე ისე წარმართო, რომ მთელი შენი შრომა, მთელი შენი ძალ-ღონე საზოგადო საქმეს მოახმარო. აი ამაში მდგომარეობს კომუნისტური აღზრდა. მხოლოდ ამნაირი მუშაობით იქცევა ნამდვილ კომუნისტად ახალგაზრდა კაცი თუ ქალი. მხოლოდ იმ შემთხვევაში ხდება ისინი კომუნისტებად, თუ ამ მუშაობით შეძლებენ პრაქტიკულ წარმატებათა მიღწევას“ (თხზ., ტ. 31, გვ. 357).

კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის პროცესში სულ უფრო იზრდება ზნეობრივი საწყისების როლი და ფართოვდება ამ ფაქტორის მოქმედების სფერო. საბჭოთა ადამიანის შეგნებაში კომუნისტური მორალის დანერგვა ხორციელდება თვით კომუნიზმის მშენებლობის ცოცხალი პრაქტიკის პროცესში. აი ამიტომ პარტიამ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო საბჭოთა ადამიანის შრომით აღზრდას, იდეოლოგიური მუშაობის მთავარ ღერძად მიიჩნია საზოგადოების საკეთილდღეო შრომისადმი სიყვარულის აღზრდა, ადამიანთა შრომითი წრთობა.

შრომა ყოველთვის იყო და იქნება ადამიანთა არსებობისა და განვითარების, ბედნიერების, სიმდიდრისა და გვირგვინის წყარო, პიროვნების კომუნისტური აღზარდის, ყოველმხრივი განვითარების საფუძველი. შრომაშია კაცობრიობის უკვდავება. ყოველგვარი შრომა საზოგადოების სასარგებლოდ — როგორც ფიზიკური, ისე გონებრივი პატივსაცემი და საპატიოა. ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პირველ წლებში ვ. ი. ლენინი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ისტორიას ახლა დამოუკიდებლად ქმნის მილიონობით ადამიანი და წერდა: „ჩვენ, ბოლშევიკების პარტიამ, რუსეთი და ვა რ წ მ უ ნ ე ტ, რუსეთი ჩვენ ბ რ ძ ო ლ ი თ წ ა ვ ა რ თ ვ ი თ მდიდრებს ღარიბებისათვის, ექსპლოატატორებს — მშრომელთათვის. ახლა ჩვენ რუსეთი უნდა ვ მ ა რ თ ო თ“ (თხზ., ტ. 27, გვ. 283). შემდეგ დიდი ბელადი მოგვიწოდებდა უღმობელი ბრძოლისაკენ წვრილბუჩქუაზიული მოშვეტულობის წინააღმდეგ, მოითხოვდა უსასტიკესი დისციპლინის დაცვას შრომაში. „წესიერად და კეთილსინდისიერად აწარმოე ფულის ანგარიში, — გვასწავლიდა ვ. ი. ლენინი, — ხელმომჭირნედ გაუძეხ მეურნეობას, ნუ იზარმაცებ, ნუ იქურდებ, დაიცავი უსასტიკესი დისციპლინა შრომაში, — სწორედ ასეთი ლოზუნგები, რომელთაც რევოლუციური პროლეტარები სამართლიანად იგდებდნენ სასაცილოდ მაშინ, როდესაც ბურჟუაზია ამგვარი სიტყვით ფარავდა თავის, როგორც ექსპლოატატორთა კლასის, ბატონობას, — ხდება ახლა, ბურჟუაზიის დამხობის შემდეგ, მომენტის მორიგ და მთავარ ლოზუნგებად“ (თხზ., ტ. 27, გვ. 285).

ახორციელებს რა დიდი ლენინის ანდერძს, საბჭოთა ადამიანი თვალის ჩინივით უფრთხილდება საზოგადოებრივ სოციალისტურ საკუთრებას, ამრავლებს მას თავისი შრომით. მან კარგად იცის, რომ საზოგადოებრივი საკუთრება „სხვისი“ კი არ არის, არამედ მისია, რადგანაც აქტიურ მონაწილეობას იღებს მის შექმნაში.

საზოგადოებრივ საკუთრებას უადრესად დიდი მორალურ-აღმზრდელი ფუნქცია აქვს. თუ კერძო საკუთრება ასახიჩრებს, ამახიჩვებს ადამიანებს, რყვნის მათ შეგნებას, ეგოისტებად და მომხვეჭელებად აქცევს მათ, სოციალისტური საკუთრება, პირიქით, ერთ ძმურ კოლექტივად აერთიანებს ადამიანებს, რომელთაც ესმით, რომ თვითეულის ბედნიერება შესაძლებელია მხოლოდ ყველას ბედნიერებისა და კეთილდღეობის საფუძველზე.

საბჭოთა ხელისუფლების არსებობის ორმოცდაექვსი წლის მანძილზე ძირითად შეიცვალა საზოგადოებრივი ცხოვრების მატერიალური პირობები. მოსობილია ექსპლუატატორული კლასები და ბაზა, რომელიც წარმოშობდა ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლუატაციას და სოციალურ უთანასწორობას. საბჭოთა სოციალისტურმა წყობილებამ აქტიური შემოქმედებითი ცხოვრებისათვის აღადგინა მილიონობით ადამიანი. ამ დიდ გამარჯვებათა კანონზომიერი შედეგია კულტურული რევოლუციის განხორციელება ჩვენს ქვეყანაში.

ასეთ ვითარებაში დარწმუნება იმის საუკეთესო გზაა, რომ უკლებლივ ყველას პრაქტიკულად შევავანებინოთ შრომის გადამწყვეტი მნიშვნელობა კომუნისტების გამარჯვებაში. ახლა, როცა პარტიამ დღის წესრიგში დააყენა სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის ამოცანა, საჭიროა სოფლის თვითეული მშრომელი პრაქტიკულად, ცოცხალი მაგალითებით დავარწმუნოთ ინტენსიფიკაციის სიკეთეში, რასაც მოჰყვება ახალი შემოქმედებითი აზვითება. ახალი ადამიანის ფორმირების პროცესზე, ცხადია, გავლენას მოახდენს ეკონომიური ურთიერთობის ისეთი მხარეც, როგორცაა პროდუქტების განაწილება სოციალიზმის პრინციპის შესაბამისად, რომელიც სტიმულს აძლევს წარმოების განვითარებას, ქმნის მშრომელის პირად მატერიალურ დაინტერესებას და შრომის ნაყოფიერების განუწყვეტელი ამაღლების პირობას.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაცია იმას ნიშნავს, რომ თვითეულ ჰექტარზე მივიღოთ მეტე პროდუქცია, ფართოდ გამოვიყენოთ მექანიზაცია, ქიმიზაცია, მორწყვა და ამ გზით გავადიდოთ შრომის ნაყოფიერება, შევამციროთ პროდუქციის თვითღირებულება, შრომისა და საშუალებების ნაკლები დანახარჯით მივიღოთ მეტი მარცვალი, ხორცი, რძე და სხვა პროდუქტები. ამ გრანდიოზული ამოცანის განხორციელებისათვის, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყოველმხრივი ინტენსიფიკაციისათვის სპეციალური მოითხოვს მთელი ჩვენი ხალხის გამორულ შემოქმედებით შრომას.

ჯერ კიდევ სკვპ ცენტრალური კომიტეტის 1963 წლის ივნისის პლენუმმა თავის დადგენილებაში ჩასწერა: „პარტიის, საბჭოების, პროფკავშირების, კომკავშირის იდეოლოგიური მუშაობის დედა-აზრს უნდა შეადგენდეს, რომ თვითეულ საბჭოთა ადამიანს ჩაუნერგონ სიყვარული და პატივისცემა საზოგადოებრივად სასარგებლო შრომისადმი. თვითეულ მშრომელს უნდა ჩავუნერგოთ იმის ნათელი გაგება, რომ შრომის უმაღლესი ნაყოფიერების უზრუნველყოფა საყოველთაო-სახალხო ამოცანაა, კომუნისტების აზვითების მთავარი პირობა“ („კომუნისტი“, 1963, 22 ივნისი).

სოციალისტურ საზოგადოებაში შრომის ნაყოფიერების ამაღლებისათვის ზრუნვა ნიშნავს საბჭოთა ადამიანში ინიციატივის, შემოქმედებითი, მძიებელი გონების გაღვიძებას. უამისოდ შეუძლებელია შრომის ნაყოფიერების ამაღლება, ტექნიკისაგან ყოველივე იმის მიღება, რისი მოცემაც მას შეუძლია, შეუძლებელია თვით ტექნიკის განვითარებაც. კომუნისტური შეგნებულობის განვითარება და დიდი აღმზრდელი მუშაობა წარმოადგენს ჩვენი სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის ერთ-ერთ პირობას. შემთხვევითი როდია, რომ სადაც კოლექტივი შეხმატბილებულად, მეგობრულად შრომობს, იქ მაღალია ადამიანთა შრომითი და პოლიტიკური აქტიურობა.



კომუნისტური შეგნებულობის აღზრდის დარგში პარტია პირველხარისხოვან ამოცანად აყენებს მშრომელთა მასებში მეცნიერული მსოფლმხედველობის შეტანას, რაც კომუნისტების გამარჯვების ერთ-ერთი მთავარი პირობაა. მარქსიზმ-ლენინიზმი საბჭოთა ადამიანებს განუმარტავს მათი საქმიანობის ისტორიულ მნიშვნელობას, საზოგადოებრივი ურთიერთობის არსს, საზოგადოების განვითარების, კომუნისტების მშენებლობის კანონებს. მარქსისტულ-ლენინური თეორიის დაუფლების გარეშე შეუძლებელია საზოგადოებრივი განვითარების გზების ბოლომდე გაგება და, მაშასადამე, კომუნისტების გამარჯვებაც.

თანამედროვე პირობებში კომუნისტების შესანიშნავი სკოლა სახალხო შეჯიბრება. (ადამიანი შრომაში აქსრვს მთელ თავის უნარს და ამავე დროს ავითარებს და ამდიდრებს მას. კომუნისტური შრომის კოლექტივები, მეურნეობები, რაიონები, ქალაქები და კომუნისტური დამკვრელი ბრიგადების მოძრაობა — აი აქ მიიღო შემდგომი შემოქმედებითი განვითარება სოციალისტური შეჯიბრების ძირითადმა პრინციპებმა. შრომაში ურთიერთდახმარება და მხარდაჭერა, ჩამორჩენილების მოწინავეთა დონეზე აყვანა უზრუნველ-

ყოფს მძლავრ აღმავლობას კომუნისტების ბრძოლაში.

კომუნისტების გაშლილი მშენებლობის პერიოდში უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ თვითეულ ადამიანს ესმოდეს თავისი შრომის მჭიდრო კავშირი საზოგადოების ძირითად ამოცანებთან. იგი უნდა აზროვნებდეს არა მარტო თავისი თავის ან თავისი ბრიგადის მასშტაბით, არამედ პარტიული და სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით აფასებდეს მიმდინარე ამოცანებს, წარმატებებსა და ნაკლოვანებებს. მხოლოდ ასეთ ადამიანებს შეუძლიათ პრაქტიკულად გადაჭრან სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციისა თუ საერთოდ მთელი სახალხო მეურნეობისა და კულტურის შეუქნელებელი ამადლების პრობლემები. ეჭვი არ არის, სახელოვანი ლენინური პარტიის იდეოლოგიური და ორგანიზატორული მოღვაწეობის წყალობით უკლებლივ ყველა საბჭოთა ადამიანი შეიცნობს ჩვენი საზოგადოების განვითარების გზებს, თუ რა ახალი მიჯნა უნდა იქნას აღებულ კოლექტიური შრომით და გონებით საზოგადოებრივი ცხოვრების ყოველ დარგში და ყველაფერს გააკეთებს პარტიის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის.



ნაგორი ინჟინერი

აზერბაიჯანელი და ქართველი ხალხების მემორიუმის ისტორიის

რუსეთთან აზერბაიჯანის უმართავის 150 წლისთავის გამო

დიდი ზემოთ აღნიშნავს წელს აზერ-
ბაიჯანელი ხალხი რუსეთთან აზერბაიჯანის
შეერთების 150 წლისთავს.

რუსეთთან შეერთების შემდეგ, მე-19
საუკუნის 40-იან-50-იან წლებში, ამიერ-
კავკასიაში დამკვიდრებას იწყებს წარმო-
ების კაპიტალისტური წესი, ხოლო 70-იან
წლებში რუსეთის მომძღვრებული კა-
პიტალიზმი ამიერკავკასიაშიც ეძებდა ფა-
რთო გასაქანს. მაგრამ უვზობა შესაძ-
ლებლობას უზღუდავდა მეტროპოლიის
ბურჟუაზიას გაეწია ამიერკავკასიის ბუ-
ნებრივ სიმდიდრეთა (განსაკუთრებით
ნავთის) ინტენსიური ექსპლოატაცია.

მდგომარეობიდან ერთადერთი გამო-
სავალი შავი და კასპიის ზღვების რეი-
ნიგზით დაკავშირება იყო, რაც უზრუნ-
ველყოფდა სამხედრო და ეკონომიურ ბა-
ტონობას ამიერკავკასიაზე.

„ურკინიგზოდ ამიერკავკასია იმპერი-
ასთან (იგულისხმება რუსეთის იმპე-
რია — ნ. ი.) მხოლოდ გეოგრაფიულ რუ-
კაზე იყო დაკავშირებული“, წერდა
ფ. ენგელსი.

1871 წელს რუსეთის ხაზინამ უცხო-
ეთის აქციების დახმარებით დაიწყო რეი-
ნიგზის გაყვანა ამიერკავკასიაში. ბათუმი-

სამტრედიის რეინიგზის მოწყობლობა და
თბილისის შეერთება ბაქოსთან დამთავრ-
და 1883 წელს.

ბაქო-ბათუმის რეინიგზის გაყვანის შე-
მდეგ ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობე-
ბი და მდებარეობა უმალესი ხარისხის
ნავსადგურად ბათუმის გადაქცევის უტ-
ყუარ იმედებს იძლეოდა. მას ერთადერთს
შეეძლო ბაქოს ნავთის ექსპორტის წარ-
მატებით რეალიზაცია.

ეს იმედები ბათუმმა გაამართლა. მისი
საშუალებით ბაქოს ნავთი მსოფლიო ბა-
ზარზე გავიდა. ამავე დროს ბათუმის
გზით ბაქო იღებდა ნავთობის მრეწველო-
ბისათვის საჭირო საიმპორტო დანადგა-
რებსა და მოწყობილობებს.

განსაკუთრებით ფართოდ განვითარდა
ნავთობის მრეწველობა მას შემდეგ, რაც
მწყობრში ჩაღვა 885-კილომეტრიანი
ნავთსადენი, რომელიც დიდხანს ითვლე-
ბოდა მსოფლიოში უდიდესად (მაშინ
მხოლოდ ამერიკის შეერთებულ შტატებს
ქონდათ ასეილომეტრიანი ნავთსადენი).

ბაქო-ბათუმის ნავთობის მრეწველობამ,
ერთი მხრივ, მიიზიდა მსხვილი ბიზნესმე-
ნები, ხოლო მეორე მხრივ, ლუკმა-პურის
მაძიებელი ამიერკავკასიის მშრომელი

მოსახლეობა: აზერბაიჯანელები, ქართველები, სომხები, რუსები. ამ გარემოებათა გააძლიერა და გაზარდა სამრეწველო პროლეტარიატი, რომელიც სათავეში ჩაუდგა მასების რევოლუციურ მოძრაობას და კეთილისმყოფელი გავლენა მოახდინა ამიერკავკასიის ხალხთა მეგობრობაზე.

იმის შედეგად, რომ შედარებით ჩამორჩენილი რუსეთის ნავთის მრეწველობამ მოწინავე ადგილი დაიკავა მსოფლიოში, პეტროგრადისა და მოსკოვის სამრეწველო პროლეტარიატს თვითმპყრობელობის წინააღმდეგ რევოლუციურ ბრძოლაში გვერდით ამოუდგა ამიერკავკასიის პროლეტარიატი და მის გარშემო დარაზმული სოციალური და ეროვნული ჩაგვრით განაწამები ქართველი, აზერბაიჯანელი და სომეხი ხალხები, რომელთაც სათავეში ედგა რსდმპ ერთ-ერთი საუკეთესო რაზმი — ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაცია.

რეაქციისა და პირველი მსოფლიო ომის პერიოდში კავკასიის ნავთის მრეწველობა დაეცა. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ ამიერკავკასიაში გაბატონებულმა ნაციონალისტურმა პარტიებმა დიდი ზიანი მიაყენეს ამიერკავკასიის ხალხთა და, კერძოდ, აზერბაიჯანელი და ქართველი ხალხების მეგობრობას. მუსავატელები საქართველოს წინააღმდეგ ასისიანებდნენ თურქებს, ქართველი მენშევიკები კი აზერბაიჯანის წინააღმდეგ ინგლისელებს აქეზებდნენ. დაქვეითდა მათ შორის ეკონომიური კავშირი. ნავთსადენმა შეწყვიტა მუშაობა. განადგურდა ბაქოსა და ბათუმის ნავთის მრეწველობა, დაეცა ვაჭრობა. აღდგენითი სამუშაოები დაიწყო მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ.

1921 წლის მარტში პარტიის X ყრილობას ტრიბუნიდან ვ. ი. ლენინმა ყრილობის დელეგატებს მიმართა: „წაიკითხეთ თუ არა გაზეთში, რომ იხსნება ბაქო-თბილისის ნავთსადენი? თქვენ მალე წაიკითხავთ, რომ ასეთი ნავთსადენი გაყვანილია ბათუმამდე. ეს გზას გავციხსნის

მსოფლიო ბაზრისაკენ“ (თხზ., ტ. 32, გვ. 329).

მართლაც, რამდენიმე თვის შემდეგ აჭარის რევკომის პირველმა საოლქო კომუნდერენციამ მიიღო მილოცვა ბაქოდან: „ბაქოს პროლეტარიატი ულოცავს ბათუმის ძმურ პროლეტარიატს ბაქო-ბათუმს შორის ნავთსადენის გახსნას“.

კვლავ განახლდა აზერბაიჯანელი და ქართველი ხალხების ძმური ურთიერთობა. იგი ახლებურად წარიმართა ჩამოყალიბების პროცესში მყოფი სოციალისტური ერების უმაგალითო თანამშრომლობის სულისკვეთებით.

შიდაწვისძრავიანი მანქანების ფართოდ გავრცელებასთან დაკავშირებით საერთაშორისო ბაზარი დიდ მოთხოვნილებას აყენებს ბენზინზე, მანქანის ზეთზე, მანქანის ზეთზე და ნავთობის სხვა პროდუქტებზე. ნავთის ექსპორტი იმ დროისათვის ყველაზე საუკეთესო საშუალება იყო ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ლენინური კურსის განხორციელებისათვის, ერთობ საჭირო და აუცილებელი სახსრების, ნაღდი ვალუტის მიღებისათვის.

1923 წელს შრომისა და თავდაცვის საბჭომ, რომლის მუღმივი თავმჯდომარე იყო ლენინი, მითითება მისცა სათანადო ორგანოებს გამოენახათ სახსრები და დაეპროექტებინათ ბაქო-ბათუმის ახალი ათდიუმისანი დიამეტრის ნავთობმილსადენი, ხოლო ძველი ნავთსადენი გადაეკეთებინათ ნავთობმილსადენად. მათ უნდა უზრუნველყყოთ ნავთობის ნედლეულით ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი უახლესი დანადგარები, რომელთა მშენებლობაც იმავე მითითებით იყო გათვალისწინებული.

დაფინანსების საშუალებათა უქონლობამ ამ საკითხის პრაქტიკულად გადაჭრა გადადო 1927 წლის გაზაფხულამდე.

ბათუმის ქარხნებისა და ნავთობსადენის მშენებლობა მიანდეს დიდი გამოცდილების მქონე, იმ დროისათვის კარგად დაფინანსებულ ორგანიზაციას „აზნავთს“.

ბაქოში მომუშავე აზერბაიჯანელი და რუსი მენავთობეები იყვნენ ბათუმის ნავთობგადასამუშავებელი ქარხნის მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების პირველი ხელმძღვანელები და მასწავლებლები.

ბაქოდან ნავთობის სპეციალისტებს, ოსტატებს, მუშებს ბათუმში იწვევდნენ, ხოლო ბათუმიდან მოწინავე უნარიან ქართველ მშენებელ მუშებს ბაქოში გზავნიდნენ ნავთობის საქმის შესასწავლად კურსებზე, ტექნიკუმებში, ნავთობის აკადემიაში.

ბათუმის პირველი ნავთობგადასამუშავებელი დანადგარი — კუბური ბატარეა დაპროექტებულ იქნა აზერბაიჯანელი და რუსი მენავთობე სპეციალისტების გ. ს. სურაბეკოვის, გ. ი. ემინოვის, პროფ. პ. პ. ლუკინის, აზნავთის მთავარი ინჟინრის ა. ა. ბულგაკოვის მიერ.¹

კუბური ბატარეის ამუშავებას უშუალოდ ხელმძღვანელობდა „აზნავთის“ მმართველის მოადგილე მ. ასადულა. მან აქ ჩამოიყვანა ბაქოში სწავლამიღებული და პრაქტიკავალილი ინჟინრები გ. სტეპანიანი, ნ. ჩერტოვი და სხვები, რომლებმაც ხანგრძლივი და ნაყოფიერი შრომა ქარხნის კოლექტივის კეთილდღეობასა და წარმატებას ბოლომდე მოახმარეს.

ბაქოში მიიღეს სპეციალობა ქარხნის მშენებელმა ყოფილმა მუშებმა: ქარხნის ამჟამინდელმა დირექტორმა ს. დოლიძემ, ქარხნის მთავარმა ტექნოლოგმა ვ. ქირიამ, დანადგარის ყოფილმა მუშამ, ამჟამად მთავარმა ინჟინერმა მ. ბეჟანიძემ, მთავარი ინჟინრის მოადგილემ ა. ჯიჯავაძემ, ბაქოელი სპეციალისტების მიერ გახსნილი ბათუმის ნავთის ტექნიკუმის უფროსადმთავრებულებმა: ქარხნის დირექტორის მოადგილემ მეფარიშვილმა,

პროფკომის თავმჯდომარემ ნ. პრინოლდომ, სამქროს უფროსმა ლ. აღამანაშვილმა და სხვებმა.


ბაქოშივე მიიღეს განათლება ქარხნის ორდენოსანმა მუშაკებმა, ამჟამად პენსიონერებმა: ხ. სარჯველაძემ, მ. ფალავამ, გ. ხასოიანმა, ს. ჩანტლაძემ, ფ. გაზალოვმა და სხვებმა.

1939 წელს ბათუმის ნავთობგადასამუშავებელ ქარხანაში ბაქოდან სამუშაოდ გამოგზავნეს აზერბაიჯანელი ინჟინერი გულამ ჰუსეინოვი. მან ისე შეიყვარა ქართველი ხალხი და ბათუმის ქარხანა, რომ გადაწყვიტა სამუდამოდ აქ დარჩენილიყო. დღეს იგი დიდი ავტორიტეტით სარგებლობს საწარმოსა და შენავთობეთა დაბაში.

გ. ჰუსეინოვი იგონებს, რომ ბათუმის ქარხანაში მას დახვდა ბევრი აზერბაიჯანელი სპეციალისტი, რომლებიც ქარხნის დამონტაჟების დღიდან აქ იყვნენ, მათ შორის ბაჯერის დანადგარის უფროსი მ. აზიზი, № 2 სამქროს ინჟინერი რ. რუსტამშადე, რ. სალიმშადე და სხვები. ისინი პენსიაში გავიდნენ და აზერბაიჯანში დაბრუნდნენ, ან ჯარში გაიწვიეს და უკან აღარ დაბრუნებულან. ჰუსეინოვი ამაყოფს, რომ მისი თანამემამულეები ქართველებს შორის კარგი ავტორიტეტით სარგებლობდნენ. ქართველი მუშები მათ თავის მასწავლებლად თვლიდნენ.

ამჟამად ქართველი და აზერბაიჯანელი ხალხების მეგობრობის ახალი ფურცელი გადაიშალა. მიმდინარეობს გეოლოგიური ძიებანი და იწყება დაპროექტება მძლავრი ნავთობმილსადენისა, რომელიც ბათუმს მიაწვდის ბაქოსა და თურქმენეთის დიდძალ ნავთს. ამ ნავთის ნაწილი გადაუმუშავებლად გაიგზავნება მსოფლიო ბაზარზე, ხოლო ნაწილი ბათუმის დიდი ქიმიის ქალაქად გადაქცევის მოხმარდება.

1 აჭარის ცსა, ფონდი 133, ნაწ. I, საქმე 55, გვ. 38.



მიხაილ ივანოვიჩი

„ვეფხისტყაოსნის“ უნაკლები თარგმანისათვის

მეთორმეტე საუკუნის ქართული კლასიკური ლიტერატურის შედევრის, მსოფლიო ლიტერატურის გენიალური ქმნილების შოთა რუსთაველის ეპოპეასთან დაკავშირებულ ყველა ახალ ცნობას, თუნდ უმცირესსაც, გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება. თუ ქართველები სამართლიანად ამაყობენ თავისი დიდი შვილის, ამ დიდი ხელოვანის ნაშრომით, მისი თარგმანიც ერთგვარად გააბრწყინებს ყველა ერის კულტურას. ჩვენც, უნგრელებიც, სწორედ ამით ვამაყობთ და ვართ უფრო მდიდრებიც, რომ მოგვეპოვება „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანი და მას კეთილხელობით მშობლიურ ენაზე.

ყოველივე ეს უკვე ცნობილია რუსთველოლოგიაში. ცნობილია აგრეთვე ბელა ვიკარისა (1916 წ.) და შანდორ გეორგის (1954 წ.) სრული პოეტური თარგმანები (რომ არაფერი ვთქვათ დიდი მხატვრის მ. ზიჩის ღვაწლის შესახებ).

ახლა ჩვენ განზრახული გვაქვს ვილაპარაკოთ „ვეფხისტყაოსნის“ პირველი მთარგმნელის ბელა ვიკარის შესახებ, შემთხვევით ნაპოვნ მის წერილთან დაკავშირებით.

* დაწერილია ქართულ ენაზე „ლიტერატურული აპარისათვის“.

მართალია, რუსთველოლოგიაში მაინც და მაინც უცნობი არაა, თუ როგორ შეასრულა ვიკარმა ეს საქმე, როგორ გაეცნო იგი რუსთაველის „ვეფხისტყაოსანს“ მიხაილ ზიჩისთან, რომ მას ვიღაც ქართველები მიეშველნენ და სხვ., მაგრამ ჩვენს ხელთაა ვიკარის 1942 წელს გამოქვეყნებული მოკლე წერილი, რომელიც ახალ საინტერესო ცნობებს შეიცავს. წერილის სიტყვა-სიტყვითი, სრული თარგმანი არაა საჭირო. ეს არის პოეტური ნიჭით დაჯილდოებული მწერლის მოთხრობა თავისი მუშაობის შესახებ, არსებითად „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანზე.

წერილის დასაწყისში ვიკარი გვაცნობს ზიჩისთან თავისი შეხვედრის ამბავს პეტერბურგში და შემდეგ განაგრძობს: „ზიჩიმ სრულიად მოულოდნელი წინადადება მომცა, თითქოს ხსენებულ მარცხის (ზიჩიმ ხელი ვერ მოჰკიდა „კალევალას“ ილუსტრაციას — მ. ი.) საკომპენსაციოდ“.

„მაშინ გამოვიდა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ დედანი. მშვენიერი საიუბილეო გამოცემა იყო, ქართული ორნამენტული, ზიჩის ერთი ფერადი სურათითა და 26 გრავეურით. ერთი ცალი მეც მივიღე. ზიჩიმ შემავლთანა წიგნი მეთარგმნა უნგრულად. ყველაზე კარგი ჩემი ილუსტრაციებიაო, — მითხრა მან.

მსი უმაღლესობის ნებართვით თვეების განმავლობაში ვცხოვრობდი საქართველოში და იქ გადათარგმნეო ჩემთვის რუსულად მთელი წიგნი. ქართველი თავადები და მანდილოსნები იყვნენ ჩემი მოძულეობი ყველა სურათისათვის. ფრიად ლამაზი სატრფიალო ამბავიაო.

ძალიან გამიკვირდა. უცხო საჩუქარიც ძვირფასი იყო, რადგან ეს საიუბილეო გამოცემა არ იყიდებოდა. ერთი სახალხო გამოცემა, რომელიც მერე შევიძინე, გავრცელებული იყო საქართველოში. სწორედ ხალხისათვის გამოუშვეს და ფრიად იკითხებოდა საქართველოში.

ზიჩიმ მითხრა, თითქოს ჩვენი ეროვნული მუზეუმისთვისაც გამოუგზავნიათ ერთი ცალი, მაგრამ როგორც დავრწმუნდი, იქ უკვალოდ დაკარგულა. მე ჩემი ეგზემპლარი უნგრეთის აკადემიის ბიბლიოთეკას გადავიცი.

თუმცა თავიდანვე აშკარა გახდა ჩემთვის, რომ უცნობ ენაზე, დამწერლობაზე და ხალხზე საუბარი, დავპირდი წიგნის თარგმნას. ფეიქრობდი, ღვთის წყალობით როგორმე მაინც დავამთავრებ „კალევალას“ თარგმნას და მერე დავიწყებ რუსთაველის შედეგზე მუშაობას-მეთქი.

ასეც მოხდა. ჯერ კიდევ ომისწინა წლებში შევიძინე გერმანელ დირის ქართული გრამატიკა ოსკარ აშბოთის წინასიტყვაობით გერმანულ ენაზე. დავიწყე სწავლა. საკმაო წარმატებასაც მივალწიე. ასე, რომ ერთგვარი თვითდარწმუნებით ავიღე ხელში რუსთაველის შედეგრი, მაგრამ არაფერი გამომივიდა. ერთიორი სიტყვა-ლა თუ გავიგე მხოლოდ. დავრწმუნდი, რომ ჩემი გრამატიკა მართლაც ქართული ენის სახელმძღვანელოა, მაგრამ ეს ენა არა ჰგავს არც ერთ მანამდე ჩემთვის ცნობილ ევროპულ ენას“.

ამის შემდეგ ვიკარს რამდენიმე ქართული სიტყვა და „მამაო ჩვენოს“ პირველი ტაეპი მოაქვს, მცდარ შედარებას აკეთებს ზოგიერთ ქართულ და უნგრულ

სიტყვას ან გამოთქმას შორის და მერე განაგრძობს:

„ჩემი წინა მეცადინეობის საფუძველზე დავასკვენი, რომ მე რუსთაველის ძველი ენა კი არა, რომელზეც XII საუკუნეში საუბრობდნენ, არამედ ახალი ქართული ვისწავლე! ეს კი ნაკლებად გამომადგებოდა ჩვენი „მიცვალებულთა ლოცვის“ (უნგრული ლიტერატურის პირველი ორიგინალური ძეგლია — მ. ი.) დროინდელი ეპოსის თარგმნისას. ქართული ხომ უფრო მეტად შეიცვალა უნგრულთან შედარებით“.

შემდეგ ვიკარი წერს:

„ჩემმა თარგმნითმა ავანტიურამ ამ დროს კრიტიკულ მომენტს მიაღწია. რა მექნა, რომ ჩემი სიტყვა ზიჩისადმი და თავისი თავისადმი ლიტონ სიტყვად არ დამრჩენოდა?“

ბარათი გაფუგზავნე ჩვენს კონსულატს თბილისში, რათა ჩემს ხარჯზე მოენახა ქართველი პოეტი, ვინც იცნობს რუსთაველის ნაშრომს და იცის რომელიმე ევროპული ენაც, რათა თარგმნაში მომშველებოდა.

პასუხი უარყოფითი იყო, მსურველი არ აღმოჩნდა“.

ვიკარმა, როგორც თვითონ წერს, თავისი მეგობრისაგან შეიტყო, რომ თბილისში ამ დროს ძლიერი ყოფილა ესპერანტო მოძრაობა. ამიტომ თბილისის ესპერანტოს კლუბისათვის გაუგზავნია ბარათი თხოვნით. „მაღე მივიღე პასუხი, — წერს იგი. — ერთი მარჯვე ახალგაზრდა მწერალი, სახელად გიორგი ცისკარაული (ვიკარი სწორად გადმოგვცემს ამ გვარის უნგრულ შესატყვისს — ი. მ.), რომელიც ესპერანტო ლიტერატურაში „ტიფლისანოს“ სახელით იყო ცნობილი, პირველი ქართველი ადამიანი ჩვენს სამშობლოში გვესტუმრა“.

მასთან ერთად თვეების განმავლობაში მუშაობდა ვიკარი. „ვეფხისტყაოსანი“ გადაიტანეს ესპერანტო ენაზე. „მამინ ჯერ კიდევ არ ვიცოდი, — წერს ვიკარი, — რომ ყოფილა ამ ეპოსის გერმ-

ნული და ინგლისური თარგმანები. შემდეგ დავრწმუნდი, რომ ორივე მთარგმნელი თავისუფლად მოჰკიდებია რუსთაველის შემონაქმედს, რომელიც კლასიკური მარგალიტია არა მხოლოდ ქართული, არამედ მსოფლიო ლიტერატურისაც. ყველა სხვა ერის პოეტური შემოქმედების კლასიკური განძი... ამიტომ ვიკარს გადაუწყვეტია რაც შეიძლებოდა კეთილსინდისიერად შეესრულებინა მისი უნგრული თარგმანი.

„ამასობაში, — წერს შემდეგ ვიკარი, — ჩემი ენის მასწავლებელმა ისწავლა უნგრული. პარლამენტის თანამშრომლებისათვის ესპერანტოს შემსწავლელი კურსი გავხსენით. [ცისკარაულმა] დიდ წარმატებას მიაღწია. თავისუფალ დროს, დასვენების და კვირა დღეებში იგი მუშათა წრეებში დადიოდა და ლექციებს კითხულობდა ეთიკურ თემებზე. პური კი არა, სულია მთავარიო — ეგ იყო მისი იდეა. მუშებმა მოთმინებით უსმინეს სიმპათიურ ახალგაზრდას, რომელიც ცდილობდა ჩამოეშორებინა ისინი მატერიალისტური დოგმებისაგან, მაგრამ არ მიბადეს“.

წერილის დასასრულს ვიკარი მოგვითხრობს, რომ ამ დროს უკვე მარტოდაც შეეძლო საქმის დამთავრება, ექსპრესული ხისტყაონის“ თარგმნა. იგი შეგვიხატავს თავის შეხვედრებზე ქართველ სამხედრო ტყვეებთან მაშინდელ ავსტრია-უნგრეთის იმპერიის სხვადასხვა კუთხეში, რომ მას ესტუმრა ქართველ ემიგრანტ სტუდენტთა დელეგაცია და ვილაც ემიგრანტი ებისკოპოსი სტუდენტთა ბუდაპეშტის საერთაშორისო კონგრესის დროს და ასეთ შემთხვევებში ქართულად საუბრობდნენ.

* * *

და, ბოლოს, გვსურს მოგაწოდოთ ერთი ბიბლიოგრაფიული ცნობა, რომელიც ქართულ რუსთაველოლოგიურ ლიტერატურაში ჯერჯერობით უცნობია. ეს გაზღავთ პირველი რეცენზია ვიკარის თარგმანზე, რომელიც უდიდეს უნგრელ პოეტს მიხაილ ბაბიჩს ეკუთვნის და რომელიც მაშინდელ ცნობილ ლიტერატურულ ჟურნალში „დასავლეთი“ გამოქვეყნდა 1919 წელს.

ქ. ბუდაპეშტი.



შოთა ქარიძე

აკაკის ერთი დექანისა და პოლემიკის გამო

1879 წელს „ივერიაში“ დაიბეჭდა აკაკი წერეთლის ალეგორიულ-დიდაქტიკური ლექსი „უ—ს“. მასში დიდი პოეტი ჩვეული სატირიკული სიმწვავეთ ამოთრახებს ისეთ საზოგადო სენს, როგორცა სხვისი შრომის დაუფასებლობა-უგულებელყოფა და საკუთარის განდიდება.

აკაკის ამ ლექსს გამოეხმაურა ანტონ ფურცელაძე, იგი პირადული მოტივით გაუდენთილ და ერთ-ერთი კონკრეტული პიროვნების წინააღმდეგ დაწერილ ნაწარმოებად ჩასთვალა და ამის გამო სპეციალური წერილით „აკაკი წერეთელს“ მიმართა დიდ პოეტს.

„ეს ლექსი, — წერდა ა. ფურცელაძე, — უფრო გარკვევით ჰსახავს იმ ხასიათს, რომელიც მიიღო უფრო და უფრო თქვენმა კალამმა; ესე იგი, იმის მაგიერ, რომ თქვენს მახვილ ენას... ჰხმარობდეთ საზოგადო ცუდ მოვლინებებზე, საზოგადო სენზედ, თქვენ სწერთ და სჯიჯგნით ბრალიან-უბრალეთ ყველას, ვინც კი თქვენ პირადათ არ ვიამებათ“ („დროება“, 1879 წ., № 207, ხაზგასმა ჩემია — შ. ქ.).

ეს მძიმე ბრალდება იყო. აკაკი თვითონ აღიარებდა, რომ მწარე ენა ჰქონდა და მტერ-მოყვრობა არ ესმოდა, მაგრამ მხოლოდ საზოგადო საქმეში, ანტონ ფურცელაძემ კი ბრალი დასდო, აღამიანებთან ურთიერთობაში არა საქვეყნო-საზოგადო,

არამედ პირადული ინტერესები, პირადული სიმპათია-ანტიპათია გამოძრავებსო. აკაკიმ, ცხადია, ეს პირად შეურაცხყოფად მიიღო და მეტად მკაცრი, სასტიკი პასუხი გასცა ოპონენტს. იგი ეკითხებოდა ა. ფურცელაძეს:

„არ შეიძლება, რომ გადაიკითხოთ რაც მე მიტყვამს და მიწერია ამ ოცის წლის განმავლობაში და მიჩვენოთ ის ადგილი, სადაც მე პირადობით, მიდგომით, საზოგადო საქმესთან დამოუკიდებლად, ვისმეს კერძობას შევხებოდე და გამელანძლოს მხოლოდ მისთვის, რომ მე მისი ან ცხვირი, ან სხვა რამე არ მომწონებოდა — ისე, როგორც თქვენ ბრძანებთ?“ (თხზ., ტ. XI, 1960 წ., გვ. 463-464).

შემდეგ აკაკიმ თვითონ შეუბრუნა კეხი თავის პოლემისტს და პირიქით გაამტყუნა იგი. ამას მოჰყვა ა. ფურცელაძის „პასუხი“ („დროება“, 1879 წ., № 249), მეტისმეტად უხეში და, ნუ მოვერიდებით ამ სიტყვას, უზრდელიც კი. საზოგადოება პირდაპირ აღაშფოთა ა. ფურცელაძის ასეთმა „პასუხმა“ და „დროებაში“ ზედიზედ იბეჭდებოდა მკითხველთა მოკლე-მოკლე შენიშვნები, რომელთა ავტორები მოითხოვდნენ პოლემიკის დაუყოვნებლივ შეწყვეტას და მკაცრად გმობდნენ ა. ფურცელაძის საქციელს. ერთი სიტყვით, თავისი უხეში და უტაქტო გა-

მოხდომით ხალხის უსაყვარლესი პოეტის წინააღმდეგ ა. ფურცელაძემ დიდად აგონო არა აკაიის, არამედ თავის თავს.

სხვათა შორის, აკაიისა და ანტონ ფურცელაძის პოლემიკას გამოეხმაურა ილია ჭავჭავაძე თავის „ორ-ხმიან საახალწლო ოპერეტში“, რომელშიც მისივე ლექსის ვარიაციით აი რას ათქმევინებს აკაიის:

„დავებრდი, დავჩაჩანაჯდი,
წვერი შემექნა ჰალარა...
ტყუილს ვინ სჩივის? მართალიც
ჩემი არ სჭერათ, აღარა.
ანტონმაც მე წინ გამიგდო,
გული დასერა, დაჰლარა...
რაცა ხარ იმას გამხელო,
დაჰკრა ბუკი და ნალარა.
მოვიმკვდარუნე მე თავი,
ვთქვი: აწ იტყვიან რასაო?
ვნახოთ, — რა ძაძას ჩაიცმენ
როცა რომ მნახვენ მკვდარსაო?
ან ვით მაქებ-მადიდებენ,
მე ქართველთ ერთგულ ყმასაო?
ან რას ეტყვიან პასუხად
მაგ ჩვენს კოჭლს ანტონასაო?“¹

რამდენადაც ხალხის აზრი, ხალხის პასუხი უკვე ცნობილი იყო, როცა „ოპერეტის“ ეს სტრიქონები იწერებოდა, ა. ფურცელაძემ ერთხელ კიდევ იწვინია ილია ჭავჭავაძის სატირული ისრის სიმწვავე.

ამ პოლემიკასთან დაკავშირებით საინტერესოა გაიკვეს საკითხი: ვინ იყო ის პიროვნება, რომლის წინააღმდეგ დაწერილ ლექსად მიიჩნია ა. ფურცელაძემ აკაიის სატირა „უ—ს“?

აკაიი წერეთლის ბიოგრაფი, განსვენებული ლევან ასათიანი ამის თაობაზე წერდა: „ანტონ ფურცელაძემ ეს სატირა გარკვეულ პიროვნების წინააღმდეგ მიმართულ ნაწარმოებათ ჩასთვალა და უსაყვედურა ავტორს ამის გამო სპეციალურ წერილით „დროებაში“ („ცხოვრება აკაიი წერეთლისა“, 1940 წ., გვ. 310). ე. ი.

მკვლევარი არ ასახელებდა, თუ ვინ ჰყავდა მხედველობაში ა. ფურცელაძეს, როცა აკაიის ედავებოდა და ბრალს სდებდა მიკერძობებაში, ახალგაზრდობის უპატონო მემულობაში. ასევე არაა მითითებული ამ პიროვნების ვინაობა აკაიი წერეთლის თხზულებათა არც პირველი ტომისა (რომელშიც დაიბეჭდა აკაიის ლექსი „უ—ს“) და არც XI ტომის (რომელშიც დაიბეჭდა აკაიის პასუხი ა. ფურცელაძის წერილზე) რედაქციულ შენიშვნებში.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ აკაიი — ა. ფურცელაძის ამ პოლემიკას ჯეროვან ყურადღებას არ უთმობენ, რამდენადაც მასში პირადული მოტივების მოქარბებას ხედავენ. სამწუხაროდ, ასეც არის, პირადული ანტიპათია აქ მართლაც გამოვლინდა, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ თავის პასუხში აკაიიმ აღძრა სულ ცოტა ორი დიდად მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი პრობლემა: ერთი, როგორ უნდა გვესმოდეს სიტყვა „ახალი თაობა“, „ახალგაზრდობა“ და, მეორე, როგორ უნდა ვეკიდებოდეთ გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეთა შრომას.

ა. ფურცელაძე გამოცდილი პოლემისტი იყო და, რა თქმა უნდა, ცდილობდა მკითხველის სიმპათია მოეპოვებინა, განსაკუთრებით ახალგაზრდობისა და ამიტომაც დასდო აკაიის ბრალი, თითქოს იგი თავის ლექსში „უ—ს“ დასცინოდა ერთ-ერთ ახალგაზრდა მოღვაწეს, ე. ი. პატივს არ სცემდა ახალ თაობას, ახალგაზრდობას და პირადული მოტივებით ხელმძღვანელობდა საერთო საქმეში. აკაიიმ გადაჭრით უარყო ორივე ეს ბრალდება, განსაკუთრებით ახალგაზრდობის უპატივცემულობა: „რაც უნდა გეთქვა, როგორც უნდა შემხებოდი, — წერდა იგი თავის „პასუხში“, — არას ვეტყოდი სამაგიეროს, ჩემო ანტონ, რომ ერთი ცილი არ შემოგეწამებია ჩემთვის: „ისე დაეჩვიეო ლანძღვას, რომ ახალ-გაზდობასაც აღარ ზოგამო!“ აქ აღარ შემეძლო გავჩერებულიყავ...“ (თხზ., ტ. XI, 1960 წ., გვ. 467). შემდეგ მან განმარტა,

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. I, 1954 წ., გვ. 118.

რომ ახალი თაობა წლოვანებით არ უნდა გაიჩეს. შეიძლება კაცი ჭაღარა იყოს და ახალ თაობას ეკუთვნოდეს, ასაკით ახალგაზრდა კი არა. თქვენი შეხედულებით კი, მიმართავდა აკაკი ა. ფურცელაძეს, „ვისაც ჭაღარა ურევია, აღარ არის ის სახსენებელი, აღარ-ეკუთვნის „ახალ-თაობას“ და ვისაც კი ჯერ თმა არ გათეთრებია, ის უთუოდ „ახალ-თაობის“ კაცია და იმაზედ ქების მეტი აღარა გაიხედება-რა და სხვ...“ (იქვე).

აკაკიმ ადვილად დაუმტკიცა ა. ფურცელაძეს, რომ ლექსი „უ—ს“ არ გამოადგებოდა ახალგაზრდობის მასთან დასაპირისპირებლად. მართლაც, მასში არაფერია ისეთი, რომელიც გვაფიქრებინებდეს, რომ ლექსის პერსონაჟში უთუოდ ახალგაზრდა იგულისხმებოდეს. მაგრამ ალეგორიულ „ვირს“ ხომ უნდა ჰყოლოდა პროტოტიპი, ვინმეს ხომ უნდა მიეცა ბიძგი დიდი პოეტისათვის ამ ლექსის შესაქმნელად და მასში მხილებული საზოგადო სენის გასაკიცხავად? ვინ იყო ეს კონკრეტული პიროვნება?

ახლახან პროფ. გ. ჯიბლაძემ ამ კონკრეტულ პიროვნებად მიიჩნია თვითონ ა. ფურცელაძე. „1879 წელს აკაკიმ დაწერა ლექსი— „უ—ს“, რომლითაც ანტონ ფურცელაძემ შეურაცხყოფა იგრძნო (ანტონი კოჭლი იყო, ხოლო აკაკის ლექსში ალეგორიულად გამოყვანილი ჰყავდა ვირი, რომელიც „ფეხებარევიტ, თავქინდრული მოდის თავდაღმა“, ჰგონია, მარტო ის არის მშრომელი, არ ესმის, რომ იგივე ტვირთს, თუ ბედაური აიკიდებს, არც კი იგრძნობს, ხოლო „ვირის საელელ გზას გაივლის თორმეტჯერ ჩქარა“).¹

ამ მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებს ზოგიერთი სხვა ფაქტიც.

1879 წელს, ივნისში „დროება“ გამოაქვეყნა აკაკის სტატია „მცირე რამე შენიშვნები“, რომელშიც სინანულით აღ-

ნიშნა, რომ „ვორონცოვის დროის მწერლების“ — ერისთავების, ანტონოვებისა და სხვათაგან განსხვავებით, რომლებმაც ბოლომდე შეინარჩუნეს ის ნიჭი, რაც ჰქონდათ, „ახლანდელ მწერლებს... მალე ულაცდებთ“ იგი და წინსვლის მაგიერ დაბლა ეშვებიანო. ამის მაგალითად აკაკი ასახელებდა ჭალადიდულს (ქოჩიაძეს), ფაზელს (მ. გურიელს), მეველეს (დ. მიქელაძეს) და, ბოლოს, წერდა: „მაგრამ რაღა ამათხედ ვსთქვა, რომ ანტონ ფურცელაძემაც წმიდა გიორგის უღელი მოხსნა თავის მწერლობას და არაყის სუნი აუღინა“ (თხზ., ტ. XI, 1960 წ., გვ. 437-438). მაშასადამე, მისი ნიჭი, აკაკის მტკიცებით, აღმა კი არ წავიდა, დაღმა დაეშვა, გალაცდა. თავისთავად უკვე ეს შენიშვნა საწყენი იყო, მაგრამ თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ აკაკის ლექსში ვირი ზრა მარტო „თავდაღმა“, არამედ „ფეხებარევიტაც“ მოდის, გასაგებია ა. ფურცელაძის წყენა და სულიერი მდგომარეობა.

გარდა ამ დეტალებისა, ლექსის საერთო სულისკვეთება ცხადყოფს, რომ აკაკის მხედველობაში მართლაც ა. ფურცელაძე ჰყავდა.

ცნობილია, რომ ა. ფურცელაძე ხშირად გამოთქვამდა საყვედურს, ჩემს ღვაწლს, ჩემს დამსახურებას არად აგდებენო, ამავე დროს თვითონ არცთუ იშვიათად ნიპილისტურად ეკიდებოდა ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, ნ. ნიკოლაძის, გ. წერეთლის, ს. მესხისა და ზოგიერთი სხვა მოღვაწის შემოქმედებას. კიდევ მეტი, მან არ დაინდო არც პუშკინი და არც ლერმონტოვი, თვით დიდებული შექსპირიც კი.

ამის გამო უფრო გვიან აკაკიმ მწარედ დასცინა ა. ფურცელაძეს. სტატიაში „სახუმარო გასართობი“ იგი წერდა: „მრავალ-ფერი და ნაყოფიერია მაგისი ღვაწლი: ქერელ ბუქას სახელით დაიწყო წერა კრიტიკისა და რამოდენიმე წლით წინა უსწრო ჩერნიშევსკის, დობროლიუბოვს და პისარევს, მაგრამ ვინ დაუჯე-

¹ გ. ჯიბლაძე, „კრიტიკული ეტიუდები“, IV, 1963 წ., გვ. 242.

რა?.. ბექას მაგიერად, კინობით ბაქია დაუძახეს!.. მოწმეები ჰყავს და მათ რიცხვში ერთი ნოტარიუსიც, რომ დარვინზე აღრე იქადაგა ის, რითაც დარვინმა შემდეგში თავი ისახელა და გაითქვა!.. დაამტკიცა შექსპირის უნიჭობა, მისი დრამების ობროდობა და სამინუსოთ თვითონ დაწერა დრამები: „ავაზაკები“ და „დიდი მოურავი“, უარჰყო რომანისტები და სამაგალითოდ მისცა მათ „მაცი ხვითა“, წინა უსწრო ჩერნიშევსკის რომანს მისის სოციალურის რომანით „სამის თავ-გადასავლით“. და ბოლოს, თავის თავზედაც დაწერა: „ვთი მართალთა“. შექმნა ისტორია ისტორიისა, „ბაგრატიონთა ღიდება“ გამოლტა, რუსთველს „თამარ ღაზნელით“ თავში ჩაუკაუნა და სხვანი და სხვანი. რომელი ერთი უნდა მოვთვალთ?.. (თხზ., ტ. XIII, 1961 წ., გვ. 164). რა თქმა უნდა, აკაკი აქ აჭარბებს, მაგრამ სწორად მიუთითებს ა. ფურცელაძის ნაკლზე: ზოგჯერ მას მართლაც ახასიათებდა გადაჭარბება; სხვისი ნაშრომის აბუჩად აგდება და ამიტომაც დაიგდო ნიპილისტის სახელი.

განსაკუთრებით ხშირად ესხმოდა თავს ა. ფურცელაძე ილია ჭავჭავაძეს და აკაკისადმი მიმართულ წერილშიც არ დაივიწყა იგი: დიდი ქართველი პოეტი ამის გამო თავის პოლემისტს ასე მიმართავდა:

„აქ ერთი ჭეშმარიტება უნდა გითხრა, ჩემო მეგობარო: როდესაც რამე საგანი ანუ ნივთი შესანიშნავ მაღალ ადგილზე სძევს, მაშინ იმას ყველა ხელავს ძალაუფლებურად, შორეულიც და ახლობელიც, თუმც ის საგანი ანუ ნივთი არც ფერს იცვლის და არც ზორცს თავის-თავათ, სულ ერთი და იგივეა, მაგრამ ყველას კი სხვადა-სხვა ნაირად ეჩვენება: ზოგს შავი ჰგონია, ზოგს თეთრი, ზოგს დიდი, ზოგს პატარა და სხვანი და სხვანი. ეს იმის ბრალია, რომ ყველას ერთნაირი მხედველობა არა აქვს; ზოგს მეტათ უჭრის თვალს და ზოგს ნაკლებ, ზოგი ერთი მხრიდამ უყურებს და ზოგი მეორედამ. კაციც სწორეთ ასეა: როცა ის ამოღლდე-

ბა, ყველა იმას მიჩერებია, უნდათ თუ არა. მაინც თვალში ეჩრებათ. ზოგი ერთის მხრით უყურებს და ზოგი მეორე მხრით; ზოგი მარტო ზურგსა მხედავს, ზოგი თავს, ზოგი ფეხს, ზოგი რას და ზოგი რას, — ერთის სიტყვით, იმ მხარეს, საიდანაც უყურებს. და რომ მაშინ თვითოეულმა მათგანმა დაიჯინოს, რომ იმ კაცს მის მეტი, რაც მე მინახავს, არა აქვს-რაო: ზოგმა სთქვას, მარტო ფეხები აქვსო, ზოგმა — მარტო თავი, ზოგმა — მარტო ზურგიო და სხვანი და სხვანი, იმ მაღლა ასულის კაცის რა ბრალი იქნება?! ვისაც უნდა, რომ მართალი და შეუძმცდარი ჰაზრი იქონიოს, უნდა ავიდეს იქვე, სადაც ის კაცი სდგას, აათვალიერა-ათვალიეროს ის კაცი, ასწონოს, გაზომოს და მერე დააფასოს, თორემ ისე ჰაზრის გამოთქმა და ლანძღვა-გმობა ან თავხედობა იქნება და ან სიბრყვე“... (თხზ., ტ. XI, 1960 წ., გვ. 466-467).

ამავე წერილში აკაკი აცხადებს, რომ ა. ფურცელაძე ერთი იმათგანია, ვინც ცალმხრივად, მიკერძოებით და, მაშასადამე, არასწორად აფასებს ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობას. „თქვენ კი, არათუ აღარ სწყალობთ აღრინდულათ, — მიმართავს აკაკი ა. ფურცელაძეს, — გინდათ, რომ ქვესკნელში ჩააძვრინოთ და ან ღედამიწასთან გაასწოროთ. და რისი ბრალია ეს, თუ არ პირადობის და ან ტვინ-თხელობის? ცხადია, რომ თქვენ ან მაშინ სტყუოდით და სცდებოდით, და ან ახლა!.. მაგრამ რომ არ სტყუდებით? მარჯვნივაც მართალს ეძახით თქვენს თავსა და მარცხნივაც... მე კი ყოველთვის მტყუანი გამოვდივარ თქვენის სიტყვით და მესაყვედურებით, რომ ილია ჭავჭავაძეს მისთვის ექომაგები მიდგომით, რომ გვერდში გიდგასო და სხვანი“ (თხზ., ტ. XI, 1960 წ., გვ. 465).

ერთი სიტყვით, აკაკი ამტკიცებს, რომ აღამიანმა სხვა თავისი არშინით არ უნდა გაზომოს. მას უნდა შეეძლოს ობიექტურად, მიუკერძოებლად შეაფასოს სხვისი ნაშრომ-ნაღვაწლი, თავისას არა

წამატოს რა და სხვისას არ ჩამოაქლოს,
თორემ სასაცილო გახდება. ამავე აზრს
ავითარებდა აკაკი სატირულ ლექსში
„უ—ს“:

„საბრალო ვირო! ქუაძვირო! ვინ
გაკვირო?
ყურბანტურობა და ყროყინი შენი
წესია!..
მაგით ნუ ფიქრობ ბედაური
გააშავებრო!
ყველა მას მომკის, რაც რომ
თვითონ დაუთესია!
და, თუ ვერ მიხვდი უბრალო აზრს
მაგ დიდის თავით,
რატომ არ გესმის, აბა, რად გაქვს
დიდი ყურები?
„ვირები რაგინდ ტვირთ-ქვეშ
მოჰკვდენ, ისრისონ ზვავეთ,
მაინც არ ეთქმისთ უბედურებს
ბედაურები!“¹

ამ დახასიათებაში შეუძლებელია თავისი თავი არ შეეცნო ა. ფურცელაძეს, რომელსაც ხშირად ეუბნებოდნენ მსგავს საყვედურს. ამას დაემატა კრიტიკული სტატია „მცირე რამ შენიშვნები“ და პოლემიკაც გაჩაღდა.

მაგრამ თუ ასეა, რატომ სხვის ზურგს ამოეფარა ა. ფურცელაძე? იგი ძლიერ გაბედული და პირდაპირი, პირში მთქმელი იყო და რატომ პირდაპირ არ აღიარა, ვის გულისხმობდა აკაკი თავის ლექსში?

¹ ა. წერეთელი, თხზ., ტ. I, 1950 წ., 33-387.

ცხადია, მისთვის ძლიერ უხერხული იყო საჯაროდ განეცხადებინა, აკაკიმ ეს ლექსი ჩემზე დაწერა, მასში ჩემი თავი შევიცანიო, ის ვირი, რომელიც პოეტმა გაკიცხა, მე გახლავართო. აი ამიტომ ა. ფურცელაძემ ვითომ სხვისი დაცვა იკისრა და აკაკის სწვდა, საზოგადო საქმეში პირადული ინტერესებით ხელმძღვანელობ, ახალგაზრდა მოღვაწეებს სდევნი და შენი მახვილი ენით ჰგესლავო.

პოლემისტის ეს ხერხი მეტისმეტად მარტივი იყო და აკაკიმ, რა თქმა უნდა, ადვილად გამოიცნო იგი. საპასუხო წერილში ამის თაობაზე დიდი ქართველი პოეტი დაუფარავი ირონიით მიმართავდა ა. ფურცელაძეს: „შენ მითითებ ვილაც ახალ-გაზღაზედ, მაგრამ დარწმუნდი, რომ ეგ ვილაც არის, მე სახეში არა მყოლია და თუ მართლა მაგისთანა საქებია, როგორც შენ ამბობ, როგორ არა გრცხვენია, რომ ჩემი „ვირი“ მაგის სარკეთ გავიხდია და ისევე შენვე ექომაგები?... მაგრამ აქ სწორეთ რაღაც დიპლომატობა უნდა იყოს, რომელსაც მე ჯერ ვერ მივმხდარვარ“... (თხზ., ტ. XI, 1960 წ., გვ. 470, ხაზგასმა ჩემია — შ. ქ.).

რაც იყო ეს „დიპლომატობა“, ჩვენ უკვე ვთქვით — ანტონ ფურცელაძე სხვა პიროვნებას ამოეფარა, რათა საკუთარი თავი დაეცვა. ასეთი მარტივი „დიპლომატია“, აკაკისათვის გამოცანა არ შეიძლებოდა ყოფილიყო და, თუ მაინც წერს, ვერ მიმხდარვარო, ამით მხოლოდ დასცინის თავის ოპონენტს, თან გადაკვრით აგრძნობინებს, ვიცი, ქარი საიდან ქრისო.



კავლე ჯორჯენაძე

ბრძოლა ჩეხოსლავიკური ესპანეთის დასაცავად და საზღვარგარეთული ღიზიერება

1936 წლის 18 ივლისს ესპანეთში დაიწყო ფაშისტური ამბოხება ახალგაზრდა რესპუბლიკის წინააღმდეგ, ამბოხება, რომელიც გახდა ესპანელი ხალხის დიდი ტრაგედიის დასაწყისი. ფაშისტურ პუტჩთან ერთად დაიწყო იტალია-გერმანიის ინტერვენცია და, თუ არა მუსოლინი და პიტლერი, ესპანელ კაუდილოს ფრანკოსა და მისი ხროვის დღეები დათვლილი იყო.

ესპანეთში ფაშისტ გენერალთა ამბოხებამ და იტალია-გერმანიის ინტერვენციამ ალაშფოთა მთელი მსოფლიო. ბრძოლა ესპანელ ფაშისტთა და იტალია-გერმანიის გაერთიანებული ფაშისტური ძალების წინააღმდეგ ადგილობრივი მნიშვნელობის სამოქალაქო ომი როდი იყო. „ომი ესპანეთში გაცილდა ეროვნულ ფარგლებს და მიიღო უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობა“, ამბობდა დოლორეს იბარური.

სწორედ ესპანეთში შეერკინენ პირველად ფაშიზმს კაცობრიობის პროგრესული ძალები. ყველა მთავრობათა შორის მხოლოდ საბჭოთა მთავრობამ დაგმო ფაშისტური ავანტიურა და ყოველმხრივ უწყობდა ხელს რესპუბლიკას. ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობები, ხელმძღვანე-

ლობდნენ რა ე. წ. „ჩაუტრევლობის“ პოლიტიკით, სინამდვილეში გზას უხსნიდნენ, ხელს უწყობდნენ ფაშიზმის გამარჯვებას ესპანეთში, რათა შემდეგ პიტლერელთა ურდოები მიესიათ საბჭოთა ქვეყნისათვის.

ყველა საღად მოაზროვნე ადამიანისათვის ნათელი იყო, რომ ომი ესპანეთში წარმოადგენდა იმ დიდი ომის დასაწყისს, რომელსაც ამზადებდა ფაშიზმი მსოფლიოს ხალხების წინააღმდეგ.

„ომი, რომელიც ემუქრება მთელ მსოფლიოს, უკვე დაიწყო ესპანეთში, სადაც ყველა დიდი კაპიტალისტური სახელმწიფო ხელს უწყობს, მხარს უჭერს გენერალ ფრანკოს“, — ასე აფრთხილებდა მსოფლიოს კეთილი ნების ყველა ადამიანს ცნობილი ინგლისელი მწერალი და დრამატურგი ბერნარდ შოუ.

სიკვდილისა და ნგრევის ბოროტ სულელებად მოეცლინენ ესპანეთს სამშობლოს მოღალატენი — ფალანგისტები და გადამთიელი ინტერვენტები, შავ და ყავისფერბლუზიანები, რომელთაც მილიონზე მეტი ესპანელი იმსხვერპლეს.

დედამიწის ყველა კუთხეში გაისმა მოწოდება: „ესპანეთის რესპუბლიკა საფრთხეშია! საფრთხე მოვლის მსოფლიოს მშვიდობას!..“

მებრძოლი ესპანეთის დასაცავად ხმა აღიმალღეს ჰაინრიხ მანმა და მარტინ ანდერსენ ნექსემ, ალექსეი ტოლსტოიმ და ჯავაპარლალ ნერუმ, თეოდორ დრაიზერმა და ანა ზეგერსმა.

ყველა კონტინენტის ორმოცდაათობმეტი ქვეყნის ხალხებმა მეგობრობისა და დანხარების ხელი გაუწოდეს მებრძოლ ესპანეთს. მადრიდისა თუ ბარსელონის, ვალენსიისა თუ კორდოვის ფრონტებზე ესპანელ რესპუბლიკელებთან ერთად იარაღით ხელში ეკვეთნენ კბილებამდე შეიარაღებულ ფაშისტურ ძალებს რუსები და გერმანელები, ინგლისელები და ფრანგები, ამერიკელები და ბრაზილიელები, პოლონელები და ებრაელები, ავსტრიელები და იტალიელები, უნგრელები და ბერძნები, შვეიცარიელები და ჩეხები. ლეგენდარული ინტერნაციონალური ბრიგადები — კარლ მარქსისა თუ ტელმანის, ჯუზეპე ვარიბალდისა თუ აბრამ ლინკოლნის, მიცკევიჩისა თუ შევჩენკოს, ჩაპაევისა თუ ბარბიუსის, დომბროვსკისა თუ დიმიტროვის სახელობის ბატალიონები, გორკის სახელობის ესკადრილია ესპანელ ხალხთან ერთად კედლად აღიმართა ფაშისტური მახვილის წინ.

ამ ინტერნაციონალურ ბრიგადათა სული და გული იყო სხვადასხვა ქვეყნიდან ჩასული მწერლები და პოეტები. მათ კარგად იცოდნენ, რომ მსოფლიოს მშვიდობისა და დემოკრატიის ბედი წყდებოდა ესპანეთში, რომ ესპანეთის „თავისუფლებისათვის ბრძოლა უფრო გვაძალღებს და გვაკეთილშობილებს“ (პ. მანი). მათ კარგად ესმოდათ, რომ დაუყოვნებლივ უნდა გასრესილიყო ფაშისტური ქვეწარმავალი, ესპანეთში უნდა დაეხშოთ მისთვის გზა. ამიტომაც მიაშურეს აღმოდებულ ესპანეთს და ვინ იარაღით ხელში, ვინ კიდევ სიტყვითა და კალმით დადგა თავისუფლებისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში. ზოგმა თავისი ცხოვრებისა და ბრძოლის მაგალითით, ზოგმა კიდევ თავისი გმირული სიკვდილით ერთხელ კიდევ ცხადყვეს, რომ

ხელოვანთა მთელმა ლაშქარმა მიატოვა სპილოს ძვლის კოშკები და ზიზღით უკუაგდო უბრალო მკურებლის, აღმწერის როლი. მადრიდში გერმანელმა მწერალმა, რესპუბლიკური არმიის პოლკონიკმა ლუდვიგ რენმა განაცხადა, რომ „ესპანეთის თავისუფლებისათვის მებრძოლ მწერალთა როლი მდგომარეობს არა იმაში, რომ წერონ ისტორია, არამედ იმაში, რომ შექმნან იგი“.

„ფაშისტები — ეს ავაზაკთა მიერ წარმოქმნილი სიცრუეა, და მწერალი, რომელიც ურიგდება ფაშისტს, უნაყოფობის წისკვერპლად იქცევა“, — ამბობდა გამოჩენილი ამერიკელი მწერალი ერნესტ ჰემინგუეი ამერიკელ მწერალთა მეორე კონგრესზე.

მარად უქვანობი დიდებით შეიმოსა ცნობილი უნგრელი მწერალი მათე ზალკა (გენერალ პაულ ლუჯაჩიად წოდებული), ავტორი განთქმული რომანისა „დობერდო“. გამოცდილმა სტრატეგმა და ნიჭიერმა მხედართმთავარმა, რუსეთის სამოქალაქო ომის მონაწილე მათე ზალკამ ესპანელი ხალხის უღრმესი სიყვარული და საყოველთაო აღიარება დაიმსახურა. მისი მეთაურობით იბრძოდნენ პოლონელი მალაროელები და იტალიელი ქვისმთელნი, უნგრელები და პარიზელი მუშები, ებრაელები და ბელგიელი სტუდენტები. ლეგენდარული გენერალი პაულ ლუჯაჩი შიშის ზარს სცემდა ესპანელ და იტალიელ ფაშისტებს. „გენერალ პოპულერ“ („ხალხის გენერალი“) სიყვარულით ეძახდნენ მას ესპანელი გლეხები და მუშები. 1937 წლის 11 ივნისს დაიღუპა იგი ქ. უესკთან. მთელი მსოფლიო დიდი მწუხარებით შეხვდა საყვარელი მწერლისა და გმირი გენერლის დაღუპვის ამბავს. გენერალ პაულ ლუჯაჩის დაკრძალვის დღე რესპუბლიკურ ესპანეთში სახალხო გლოვის დღედ იქცა. ესპანელმა ხალხმა იგი თავის ეროვნულ გმირად გამოაცხადა. თეთრი ქვისაგან გალილიო ძეგლი აუგო მას მადრიდში ესპანელმა ხალხმა. არ დასცალდა მათე ზალკას განუხორციელებინა თა-

ვისი ჩანაფიქრი — დაეწერა წიგნი მე-
ბრძოლ ესპანელ ხალხზე.

ესპანეთში ომის დაწყების პირველსა-
ვე დღეებიდან ცნობილი გერმანელი მწე-
რალი ჰაინრიხ მანი დაუნდობლად იბრ-
ძოდა ფაშისტ მემბროხეთა და მათ მფარ-
ველთა წინააღმდეგ. მას კარგად ესმოდა,
თუ რას მოასწავებდა ესპანეთში ფაშიზ-
მის გამარჯვება. მთელი მსოფლიოს წინა-
შე იგი დაუნდობლად ამხილებდა ფაშისტ
ინტერვენტთა სისხლიან ბოროტმოქმე-
დებას, ფაშისტი ჯალათების მხეცობას,
რომლებიც დაუნდობლად ელექტდნენ
ესპანეთის მშვიდობიან მოსახლეობას,
„უღაბნოს მკვდარ ზონად“ აქცევდნენ
ქვეყანას.

ეხებოდა რა ესპანეთში თავისუფლები-
სა და დემოკრატიისათვის მებრძოლ მწე-
რლებს, პ. მანი წერდა:

„...ხალხი მწერალთა მეგობარია. და გა-
ნა გასაკვირია, რომ მწერლებიც მთელი
არსებით ერთგული არიან ხალხის საქ-
მისა და რომ ისინი თავიანთ სისხლს
ღვრიან ესპანეთში?“

პ. მანი გერმანელ ხალხს განუმარტავ-
და, რომ ესპანეთის თავისუფლებისათვის
ბრძოლის წარმატებით დაგვირგვინება
თვით გერმანელ ხალხსაც იხსნიდა ჰიტ-
ლერის დიქტატურისაგან. ამიტომაც მო-
უწოდებდა იგი თანამემამულეებს დაემ-
ხოთ ფაშისტური ტირანია და შეუღრქ-
ლად ებრძოლათ ესპანეთში გერმანიის
ინტერვენციის შესაწყვეტად. „თავისუ-
ფალი ესპანეთის დამონება ნიშნავს თქვე-
ნივე საკუთარი მონური მდგომარეობის
უსასრულო გაგრძელებას“, მიმართავდა
იგი გერმანელ ხალხს.

დიდალი გერმანელი ანტიფაშისტი და-
იძრა ესპანეთისაკენ საერთო მტრის წი-
ნააღმდეგ და ტელმანის სახელობის ბა-
ტალიონში მედგრად იბრძოდნენ ესპანე-
თის თავისუფლებისათვის. მათ შორის
იყო თხუთმეტი მოწინავე მწერალი და
და პოეტი: ბატალიონის კომისრები ვი-
ლი ბრედელი და ბოდო უზე, რესპუბ-
ლიკური არმიის პოლკოვნიკი ლუდვიგ
რენი, ელუარდ კლაუდიუსი, გუსტავ რეგ-

ლერი, ა. კანტაროვიჩი, რუდოლფ ლეონ-
ჰარდი, ერის ვაინერტი, ულრიხ ფუქსი.

ერის ვაინერტი და ეგონ ერეინ კიშო
გამოდინდნენ მებრძოლთა წინაშე თავუ-
სი ნაწარმოებების კითხვით და მათვე დი-
დი წვლილი შეიტანეს რესპუბლიკური
არმიის პრესის შექმნაში.

მეთერთმეტე ინტერნაციონალური ბრი-
გადის მებრძოლი ცნობილი გერმანელი
მსახიობი, მომღერალი და პოეტი ერნსტ
ბუში არ ზოგავდა თავის ნიჭსა და ძალას
ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. თავი-
სი მებრძოლი სიმღერებით აღაფრთოვა-
ნებდა იგი რესპუბლიკური ესპანეთის
დამცველებს, რადიოს საშუალებით
პიტლერული ჯარის ნაწილებში ეწეოდა
ახსნა-განმარტებით მუშაობას. ერნსტ
ბუშმა ფრონტებზე გულდასმით შეაგ-
როვა რევოლუციური სიმღერები და წი-
გნად გამოსცა ალკაშემორტყმულ მად-
რიდსა და ბარსელონაში.

„დასცხეთ დაფდაფებს! იერიშზე
წავიდეთ ყველა,
დიადი დროშით დავამსხვრიოთ
ხუნდები ძველი!
მალე ნისლიდან წარმოდგება მზე
მიმზიდველი!
წინ მეგობრებო! გამარჯვება ჩვენია,
ჩვენი!“

(თარგმანი ა. ჭკადუასი)

ამბობდა თავის სიმღერაში „ტელმანის
ბატალიონი“ ერნსტ ბუში.

ესპანეთის თავისუფლებისათვის ბრძო-
ლაში დაიღუპა გერმანელი პოეტი ულ-
რიხ (ვალტერ) ფუქსი.

1937 წლის ზაფხულში მებრძოლ ესპა-
ნეთს ეწვია ანა ზეგერსიცი. უშუაური მწე-
რალი ქალი-ანტიფაშისტი დადიოდა
ფრონტებზე, ესაუბრებოდა მებრძოლ
რესპუბლიკელებს, გამოდიოდა მიტინ-
გებსა და ლიტერატურულ საღამოებზე.
იგი მონაწილეობას იღებდა ანტიფაშის-
ტური გაზეთის „გერმანელი მწერალი“
გამოცემაში, რომელიც იბეჭდებოდა ეს-
პანეთში და არალეგალურად იგზავნებო-
და პიტლერულ გერმანიაში. მადრიდში

ჩილის კონსულის — ცნობილი ჩილიელი პოეტის პაბლო ნერუდას სახლში ანა ზეგერის ხშირად ხვდებოდა ესპანელ რევოლუციონერ მწერლებს და გულითადი საუბრები ჰქონდა მათთან.

ესპანეთში გატარებული წლები მეტად ნაყოფიერი გამოდგა გერმანელი მწერლებისა და პოეტებისათვის. ბოდო უზე ბრძოლებს შორის შესვენების დროს წერდა სტატიებსა და ნარკვევებს ესპანელი ხალხის გამირულ ბრძოლებზე, გერმანელ ანტიფაშისტთა გამირობაზე. ესპანეთშივე განაგრძობდა იგი ჯერ კიდევ პარიზში დაწყებულ რომანს „ლეიტენანტი ბერტრამი“ (1943), რომლის მასალას უშუალოდ გარემომცველი სინამდვილიდან იღებდა. თავისი პირველი დიდი ნაწარმოები — რომანი „მწვეანე ზეთისხილის ხეები და შიშველი მთები“ (1944) ეღუარდ კლაუდიუსმა შექმნა იმ შთაბეჭდილებათა საფუძველზე, რომლებიც მან მიიღო ესპანეთში ყოფნის დროს. ესპანელი ხალხის გამირულმა სახემ თავისი გამოხატულება უკვე ერის ვიწროებისა და იოჰანეს ბეკერის პოეზიაში, აგრეთვე ვილი ბრედელის მოთხრობებში — „შეხვედრა ებროზე“, „ბარსელონა“.

1937 წელს შექმნა ბერთოლდ ბრეჰტმა მხატვრული თვალსაზრისით თავისი ერთ-ერთი საუკეთესო პიესა „ძალუა კარარის თოფები“, რომელსაც დრამატურგმა საფუძვლად დაუდო ესპანელი ხალხის გამირული ბრძოლის ეპიზოდი. პიესის გამირი ქალი ძალუა კარარი მას შემდეგ, რაც ფაშისტებმა მოუკლეს ქმარი და ვაჟი, მეორე ვაჟთან ერთად თვითონ ჩაება ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

დიდი ამერიკელი მწერალი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე თეოდორ დრაიზერი ერთ-ერთი პირველი იყო იმ მწერალთა შორის, რომელთაც თავიანთი წიგნები შეიტანეს რესპუბლიკური ესპანეთის დაცვის ფონდში. 1938 წლის 15 ივნისს დრაიზერი წერდა ჟურნალ „ეროპაში“, თუ რატომ იბრძოდა იგი ფრანკოსა და საერთოდ ფაშიზმის წინააღმდეგ:

„მე ფრანკოსა და საერთოდ ფაშიზმის წინააღმდეგი ვარ. ჩემი აზრით, ფაშიზმი ნიშნავს ინტელექტუალური თავისუფლების დაკარგვას, ძლიერ მილიტარისტულ რეპრესიულ რეჟიმს“. მშვიდობის დაცვის პარიზის კონგრესის თავმჯდომარეობის დროს დრაიზერმა წარმოთქვა მგზნებარე სიტყვა რესპუბლიკური ესპანეთის დასაცავად.

1938 წლის ზაფხულში ესპანელ რესპუბლიკელთა ჯგუფის მიწვევით დრაიზერი გაემგზავრა მეგრძოლ ესპანეთში. მაღრიდში დრაიზერმა განაცხადა:

„ის, რაც აქ ვნახე, არავითარ შემთხვევაში არ მინელებს იმ მძვინვარებასა და გაბოროტებას, რომელთაც ეს ორი წელია დაუსადაგურებია ჩემში. მე ვთვლი, რომ ინგლისის, გერმანიის, საფრანგეთისა და შეერთებული შტატების ქცევა საზიზლარია. მათი საქციელი ჩემში სიძულვილს იწვევს...“

იმავე წელს დრაიზერმა გამოაქვეყნა წიგნი „გამგზავრება მეგრძოლ ესპანეთში“, რომელშიც გადაჭრით დაგმო ფაშიზმი. ესპანეთიდან ამერიკაში დაბრუნებულმა დრაიზერმა პრეზიდენტ რუზველტს წარუდგინა მის მიერ დამუშავებული პროექტი რესპუბლიკური ესპანეთისადმი დახმარებისა. იგი, რა თქმა უნდა, უყურადღებოდ დარჩა, მაგრამ მწერალმა იმას მაინც მიაღწია, რომ მეგრძოლ ესპანეთს ამერიკიდან გაეგზავნა სურსათ-სანოვაგითა და მედიკამენტებით დატვირთული რამდენიმე გემი.

მეორე გამოჩენილმა ამერიკელმა მწერალმა, სამართლიანობისა და ჰუმანიზმისათვის დაუღალავმა მეგრძოლმა ერნესტ ჰემინგუემ საკუთარი ლიტერატურული ჰონორარით შეისყიდა სანიტარულ ავტომობილთა მთელი კოლონა, გადაუგზავნა იგი ესპანეთის რესპუბლიკას და ბრძოლების ქარცეცხლს დაჩვეული თვითონაც იქითკენ გაეშურა სამხედრო კორესპონდენტად, თუმცა შეძლებისდაგვარად პირადი წვლილიც შეჰქონდა რესპუბლიკური არმიის სანიტარულ მომსახურებაშიც. 1937-1938 წლებში ჰე-

მინგუეი ოთხჯერ იყო მებრძოლ ესპანეთში, ხანგრძლივად ცხოვრობდა ალყაშემორტყმულ მადრიდში, დადიოდა გვალახარის, ხარამის, ტერუელის ფრონტებზე, მდინარე ებროზე. იგი აღფრთოვანებული იყო ესპანეთში მებრძოლ ლიტერატორთა მათე ზალკას, რაფე ფოქსის, ლუდვიგ რენისა და სხვა მწერალთა გმირობით. ესპანეთში ჰემინგუემ შექმნა კინოსცენარი „ესპანეთის მიწა“ და 1937 წელს კინორეჟისორ იორის ივენსთან ერთად გადაიღო დოკუმენტური ფილმი, რომელიც ამერიკაში წაიღო, აჩვენა პრეზიდენტ რუზველტს, მიიღო ფილმის ეკრანზე გაშვების უფლება და აღებული ფული ესპანეთის რესპუბლიკას გადაუგზავნა.

1939 წლის 23 მარტს ჰემინგუეი წერდა ესპანეთიდან: „ჩვენ ვიცით, რომ ომი ბოროტებაა, მაგრამ ხანდახან აუცილებელია ბრძოლა“. საერთოდ ომის მოძულე ჰემინგუეის ესმოდა, რომ ესპანეთის ომი — ეს იყო რაღაც სავსებით სხვა, „სამართლიანი ომი“, როგორც ძალის აუცილებელი გამოყენება ძალდატანების მიმართ. ჟურნალში „ნიუ მესიზ“ მან გამოაქვეყნა სამგლოვიარო „მიმართვა ამერიკელებისადმი, რომლებიც დაეცნენ ესპანეთისათვის“. ამ ნეკროლოგში აშკარად ჩანს ესპანელი ხალხის უკეთესი მომავლის იმედი. აქვე ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ დიდი ამერიკელი მწერლის შემოქმედებაში თვალსაჩინო ადგილი დაიკავა ესპანეთის თემამ. საკმარისია დავასახელოთ მისი პიესა „მეზუთე კოლონა“, ნარკვევების წიგნები „ამერიკელი მებრძოლი“, „მადრიდელი მძღოლები“, რომანი „ვისზე რეკავს ზარი“, მოთხრობა „ხარის რქა“ და ბევრი სხვა.

ესპანეთში ფაშისტურმა ამბოხებამ და იტალია-გერმანიის ინტერვენციამ აღაშფოთა დიდი ფრანგი მწერალი-ანტიფაშისტი რომენ როლანი, რომელიც დაუნდობლად ამხილებდა ფაშიზმს და გაბედულად გამოდიოდა რესპუბლიკური ესპანეთის დასაცავად.

„დაე ჩემი დამოუკიდებელი ხმაც ხოტ-

ბას შეასხამს იმათი ღირსეული შთამოავლების სიდიადეს, რომელთაც გუშინ განაღვურეს ნაპოლეონ III სამხედრო სიძლიერე! ხეალ ისინი გაანადგურებენ თავხედ „ლუჩესა“ და „ფიურერებს“, რომელთაც გაბედეს დიდი ხალხის ღირსებისა და თავისუფლების ხელყოფა, ხალხისა, რომლის გმირობა და ვაჟკაცობა აღაფრთოვანებს მთელ კაცობრიობას“, — წერდა რომენ როლანი 1938 წლის იანვარში.

იარაღით ხელში იბრძოდა ფაშისტების წინააღმდეგ ფრანგი მწერალი ჟან-რიშარ ბლოკი, რომელმაც ესპანეთში ყოფნის დროს შექმნა შესანიშნავი წიგნი „ესპანეთო! ესპანეთო!“ (1936 წ.). ეს წიგნი წარმოადგენს ჟან-რიშარ ბლოკის, როგორც მებრძოლი მწერლის, ბრწყინვალე დებიუტს. სწორედ ნარკვევთა ამ წიგნში ჟან-რიშარ ბლოკმა მთელ მსოფლიოს გარკვევით განუცხადა, რომ ნეიტრალობა ესპანეთის ტრაგედიის წინაშე ბოროტმოქმედებაა, ფაშიზმისათვის ხელშეწყობაა.

მთელი ესპანეთი შემოიარეს ავტომატებით ლუი არაგონმა და ელზა ტრიოლემ. ისინი გულთბილად ესაუბრებოდნენ რესპუბლიკის მამაც დამცველებს, ეცნობოდნენ მებრძოლთა საქმიანობას და აღტაცებული იყვნენ მათი გმირობით. შემდეგ, როცა გერმანიამ დაიწყო ომი საფრანგეთის წინააღმდეგ, საფრანგეთში შეიქმნა ეგრეთწოდებული „ეჭვიმიტანილთა“ ბატალიონი, რომელშიც იბრძოდნენ ესპანეთში ნამყოფი ანტიფაშისტები. ამ ბატალიონში იბრძოდა ლუი არაგონიც. მებრძოლი ესპანელი ხალხის საქმიანობის გასაცნობად ესპანეთში საფრანგეთიდან ჩავიდნენ პოლ ელუარი, მწერალი ქალი ანდრე ვიოლისი, „ლუმანიტეს“ სამხედრო კოტეპსონდენტი ჟორჟ სორია და სხვ. ერთ-ერთი მათგანი, ფრანგი მწერალი შამსონი თავის წიგნში „დაბრუნება ესპანეთიდან. მხოლოდ ფაქტები“ (1937 წ.) აღშფოთებით ლაპარაკობდა ფაშისტთა მხეცობაზე, რასაც ისინი სჩადიოდნენ ესპანეთში.

ესპანეთში გაჩაღებული აგრესიისაღ-
მ პროტესტის ნიშნად ბევრი ინგლისე-
ლი მწერალი და პოეტი აღსდგა რესპუბ-
ლიკური ესპანეთის დასაცავად. ინტერნა-
ციონალურ ბრიგადებში თავი ისახელეს
ინგლისელმა მწერლებმა რალფ ფოქსმა,
ქრისტოფერ კოდუელმა, ჯონ კორნფორ-
დმა, ჯონ სომერფილდმა და ბევრმა სხვამ.

კომუნისტი მწერალი, ლიტერატურის
თეორეტიკოსი და კრიტიკოსი, ავტორი
ცნობილი ლიტერატურულ-თეორიული
წიგნისა „რომანი და ხალხი“ რალფ
ფოქსი თავიდანვე გამოდიოდა ფაშიზმის
წინააღმდეგ და ილაშქრებდა ე. წ. „ჩა-
ურევლობის“ პოლიტიკის წინააღმდეგ.
1936 წლის დასასრულს რალფ ფოქსი გა-
ემართა ესპანეთში, რათა იარაღით ხელ-
ში ებრძოლა ფაშიზმის გაერთიანებული
ძალების წინააღმდეგ. სასახლოდ იბრძო-
და ინგლის-ირლანდიელების მოხალისე-
თა ასეთლის პოლიტკომისარი რალფ
ფოქსი. იგი გმირულად დაიღუპა 1937
წლის დამდეგს ქ. კორდოვას მახლობლად.
რალფ ფოქსის სიკვდილთან დაკავშირე-
ბით გაზეთმა „დეილი უორკერმა“ განს-
ნა ესპანელი ხალხის დახმარების რალფ
ფოქსის სახელობის ფონდი. პროგრესუ-
ლი ამერიკელი მწერალი მიქაელ გოულ-
დი რალფ ფოქსის შესახებ წერდა: „ფოქ-
სი იბრძოდა ბრიტანეთის თავისუფლე-
ბისათვის მაღრიდის ბარიკადებზე“.

ესპანეთის თავისუფლებისათვის ბრძო-
ლაში დაიღუპა აგრეთვე ინგლისელი პო-
ეტი ჯონ კორნფორდი, ავტორი საუკე-
თესო პოემისა „სრული მთვარე ტიერსა-
ზე“, რომელიც მან დაწერა უესკის იერი-
შის არც ისე დიდი ხნის წინ, იერიშისა,
რომლის დროს იგი გმირულად დაეცა.
კორნფორდის ეს პოემა გამსჭვალულია
რევოლუციური სულისკვეთებით, ინტერ-
ნაციონალური სოლიდარობის გრძნობით.
ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლას შესწი-
რა თავი ინგლისელმა კომუნისტმა, მწე-
რალმა და პროგრესულმა კრიტიკოსმა
ქრისტოფერ კოდუელმაც.

ბრძოლის ქარცეცხლში მხატვრული
რეპორტაჟის სახით შექმნა თავისი წიგ-

ნი „მოხალისე ესპანეთში“ (1937 წ.) ჯონ
სომერფილდმა. აქ მან ერთმანეთს დაუ-
პირისპირა ორი ინგლისი: გაბატონებულ
კლასთა ინგლისი, რომელიც სახაზო გე-
მების სახადადებული ქვემეხებით ემუქ-
რებოდა ესპანეთს, და მშრომელი ხალხის
ინგლისი, რომელმაც პატარა, მაგრამ სა-
ხელოვან ადამიანთა რაზმი გაგზავნა ეს-
პანეთის დასაცავად. „ეს არის ქვეყანა,
სადაც ჩვენთვის ჩვეული, ფარული ყო-
ველდღიური ბრძოლა იქცა აშკარა ბრძო-
ლად, ქვეყანა, სადაც ჩვენ დავინახავთ
ჩვენს მტრს არა ქარხნებში, საამქრობე-
ში, კონტორის ბიუროებიდან, არამედ
შეუხედავთ მას თვალეზში ჩვენი თოფე-
ბის სამიზნეობით“, — წერდა სომერ-
ფილდი ამ წიგნში. ბრძოლის ველზე და-
ღუპულ მეგობარს, მწერალ ჯონ კორნ-
ფორდს უძღვნის იგი ამ წიგნს. ჯონ
კორნფორდი და მისი თანამებრძოლები,
მწერლის აზრით, განასახიერებდნენ
„იმას, რისი მოკვლაც არ შეიძლება, ხო-
ლო მათი სიკვდილი ამოა იქნება, თუ
ჩვენ არ განვაგრძებთ ბრძოლა, რომელ-
შიც ისინი დაეცნენ“.

დაუნდობლად იბრძოდა ფაშიზმის წი-
ნააღმდეგ ცნობილი ინგლისელი მწერა-
ლი და დრამატურგი ბერნარდ შოუ. თა-
ვის პოლიტიკურ „ექსტრავაგანცაში“ —
„უენევა“ შოუმ მწარედ დასცინა და ის-
ტორიის სამსჯავროზე გამოიყვანა ყველა
ფაშისტი მანიაკი დიქტატორი: მუსოლი-
ნი (ბომბარდონე), პიტლერი (ბატლერი)
და ფრანკო (პლანკო), რომლებიც წარ-
მოსახული არიან, როგორც კაცობრიო-
ბისა და კულტურის დაუძინებელი მტრე-
ბი, გასვრილნი უდანაშაულოდ დაღვრი-
ლი სისხლით.

მეორე გამოჩენილი ინგლისელი მწე-
რალი ჰერბერტ უელსი აღმფოთებული
იყო კაპიტალისტური ქვეყნების პოლი-
ტიკით ესპანეთის მიმართ და თავის სტა-
ტიებში თავგამოდებით იცავდა ესპანელ
ხალხს. მოთხრობაში „კროკეტის მოთა-
მაშე“ (1936 წ.) უელსმა მოგვცა „ჩა-
ურევლობის“ პოლიტიკის მომხრე ინგ-
ლისელი ობიექტელის სახე. აქვე მწერა-

ლმა დაუნდობლად ამხილა ის ბარბაროსობა, რასაც სჩადიოდნენ ფაშისტები ესპანეთში, გვიჩვენა ის მომავლინებელი საფრთხე, რაც მოელოდა ფაშისმის სახით კაცობრიობას და მის კულტურულ მიღწევებს.

თვალსაჩინო ადგილი დაიკავა ესპანეთის თემამ ცნობილი დრამატურგის ოქეისის შემოქმედებაში (კომედია „წითელი მტკერი“ და სხვ.) და ჯეკ ლინდსეის პოეზიაში (პოემა „ესპანეთის სადარაჯოზე“ და სხვ.).

ფაშისმის წინააღმდეგ ბრძოლაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კულტურის დაცვის მწერალთა მეორე საერთაშორისო კონგრესს, რომელიც მიმდინარეობდა 1937 წლის ივლისში უშუალოდ ფრანკის საზთან ჯერ ვალენსიაში, შემდეგ კი მადრიდსა და ბარსელონაში. ეს იყო ესპანელი ხალხისადმი მებრძოლ ანტიფაშისტ მწერალთა უდიდესი სოლიდარობის დემონსტრაცია, გამოხატულება მათი დაუოკებელი სურვილისა ებრძოლათ ფაშისმის წინააღმდეგ, სადაც არ უნდა ყოფილიყო იგი — სამშობლოში თუ შორეულ ესპანეთში. კონგრესს თავმჯდომარეობდა გამოჩენილი დანიელი პროლეტარული მწერალი მარტინ ანდერსენ ნექსე.

ეროვნულ-რევოლუციური ომის ტრაგიკულად დამთავრების შემდეგაც ესპანეთის ათასობით საუკეთესო შვილი დაიღუპა. ჯერ კიდევ ახლად გამომცხვარი დიქტატორი ფრანკო ნაცად ფაშისტურ მეთოდს მიმართავდა: იგი მასობრივად ჟლეტდა ქვეყნის საუკეთესო ადამიანებს, ციხეებში ჰყრიდა პროგრესულად მოაზროვნე საზოგადო მოღვაწეებს, ყველა ანტიფაშისტს, ვინც კი ხელში ჩაუვარდა

ფალანგისტებს. მძიმე იყო ესპანელ მწერალთა და პოეტთა ხვედრიც. ბევრი მათგანი დაეცა ბრძოლის დროს, ბევრი დაიღუპა ფაშისტ ჯალათთა ხელით — ვინ მაშინვე რესპუბლიკის დამარცხებისას, ვინ კი შემდეგ ფრანკისტულ ციხეებში.

ოც წელზე მეტია ბევრი ცნობილი ესპანელი მწერალი, პოეტი და დრამატურგი იმყოფება ემიგრაციაში, გადახვეწილია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში: დრამატურგი ალფანდრო კასონა — ჩილიში, რაფაელ ალბერტი — არგენტინაში, სალვადორ მადარიავა — ინგლისში. საფრანგეთში ცხოვრობენ ფრანკისტულ ციხეში ღიბხანს ნამყოფი ესპანელი მწერალი ხუან გოიტისოლი და მისი ძმა ლუისი. ფრანკისტული რეჟიმისადმი შეურიგებლობის სულსისკვეთებით გარდაიცვალა მადრიდში დიდი ესპანელი მწერალი პიო ბაროხა-ი-ნეისი, ჩვენში კარგად ცნობილი თავისი რომანებით. შორეულ ბუენოს-აირესში დაკრძალეს ახლახან გარდაცვლილი ცნობილი ესპანელი დრამატურგი ხანტო გრაუ. პუერტორიკოს მიწამ მიიბარა გამოჩენილი ესპანელი პოეტი ხუან რამონ ხიმენესი, ნობელის პრემიის ლაურეატი, რომელმაც დიდი ზეგავლენა მოახდინა თანამედროვე ესპანური პოეზიის ჩამოყალიბებაზე.

ასე მოგლიჯა მშობლიურ მიწას ესპანელი მწერლები, დრამატურგები და პოეტები ესპანელი ხალხის ჯალათმა კაუდილიო ფრანკომ. მაგრამ მადრიდისა და ბარსელონის, ვალენსიისა და კორდოვას ლეგენდარულ დამცველებს ქედი არ მოუხრიათ მტრის წინაშე. ესპანელი ხალხი დღესაც მედგრად განაგრძობს ბრძოლას ფაშისტური რეჟიმის წინააღმდეგ.





პასილ ქიქნაძე

კოეგუკი განხლის მსახიობი

ხელოვნებაში ჩვენ გვჭირია სინათლე, მეტი სინათლე!, — თქვა ზოლამ.

როგორ თანადროულად ელერს დიდი მწერლის ეს სიტყვები! ახლა იშვიათი არ არის, როცა მანერა მანერულობით, სტილი სტილიზაციით იცვლება. ზოგს ისიც ჰგონია, რომ რაც უფრო ბუნდოვანი იქნება მისი ნაწარმოები, მით უფრო ღრმა და ფილოსოფიური გახდება იგი. ამიტომ გაიგონებთ ხოლმე ასეთ საუბარს: ესა და ეს მწერალი ნიჭიერია, მაგრამ ყველას არ ესმის მისი. კინოფილმი ბრწყინვალეა, მაგრამ მას სათანადოდ მომზადებული მსახიობები უნდა და ა. შ. ცხოვრებაში კი ეს ასე არ არის. რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ XII საუკუნეში დაიწერა. რვაასი წლის მანძილზე იგი ბევრჯერ დაწვეს, ბევრი დევნა და შევიწროება განიცადა, მაგრამ ჩვენამდე მაინც მოაღწია. ხალხმა შეინახა იგი. ხალხმა შესანიშნავად გაიგო გენიალური ნაწარმოების ფილოსოფია, მისი პოეზია. და განა შეიძლება, რომ იმ ხალხმა, რომელმაც სავსებით შეიცნო „ვეფხისტყაოსნის“ ფილოსოფიური და პოეტური სამყარო, ვერ გაუგო ჩვენი ზოგიერთი მწერლის, მხატვრისა თუ კინორეჟისორის ნაწარმოებს? რატომ არის ყველაფერი

ასე გასაგები პუშკინისა და ტოლსტოის შემოქმედებაში?

დიდი ხელოვნება ყოველთვის სადა იყო და ყველასათვის გასაგები. ამ ჭეშმარიტების დავიწყებას ბევრი ნიჭიერი შემოქმედი შეუწირავს!

მხატვრულ სახეს სინათლე და გარკვეულობა უნდა ახასიათებდეს, რაოდენ ფილოსოფიურიც არ უნდა იყოს იგი.

ასე და მხოლოდ ასე შეიძლება დიდი ხელოვნების შექმნა. ამ მიზნისაკენ ისწრაფიან საბჭოთა სცენის საუკეთესო შემოქმედებითი ძალებიც. მათ რიგში დგას საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ე. მანჯგალაძეც. მისი სცენური ბიოგრაფია თხუთმეტიოდე წელს მოიცავს და იგი უკვე ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მსახიობია საქართველოში. ეს მან დაიმსახურა თავისი ხალხის აქტიორული ნიჭით, სადა და ნათელი, ხალხისათვის გასაგები შემოქმედებით. მისი თეატრალური შემოქმედება გამსჭვალულია მაღალი იდეურობითა და მოქალაქეობრივი პათოსით. ამიტომ უყვარს მსახიობებს იგი, ამიტომ ახარებს მისი ყოველი წარმატება.

მანჯგალაძე ბრწყინვალედ ფლობს გარდასახვის ოსტატობას. მის მიერ შექმნი-

ლი ყოველი სახე გამოირჩევა მხატვრული ფერების, ინტონაციებისა და დეტალების მრავალფეროვნებით. ამაზე მეტყველებენ მისი პეშეკი (ფუჩიკის „ადამიანებო, იყავით ფხიზლად!“) და დიდი ხელმწიფე (სოლოვიოვის „დიდი ხელმწიფე“), ტეტერევი (მ. გორკის „მდაბინი“) და ზიმზიმოვი (გ. სუნდუკიანის „პეპო“), დემჩინოვი („ქარიშხლის წინ“) და ოიდიპოსი (სოფოკლეს „ოიდიპოს მეფე“), ტარიელ გოლუა და ბოცო (გ. ხუბაშვილის „ზღვის შვილები“) და სხვები.

ყველას როგორ ჩამოთვლი!

ვისაც ერთხელ მაინც უნახავს ჯ. მანჯგალაძე თეატრალური ინსტიტუტის პატარა სცენაზე, მან არ შეიძლება სიხარულით არ მოიგონოს გამბიესა და ტეტერევის სახე. ამ ორი სხვადასხვა ხასიათის სცენურმა, მანჯგალაძისეულმა ინტერპრეტაციამ იმთავითვე მიიქცია თეატრალური საზოგადოებრიობის ყურადღება. მათ დაინახეს ნიჭიერი ახალგაზრდა მსახიობი, რომელსაც შესწევს უნარი წარმატებით გამოსახოს ტრაგიკული და კომიკური. ფართო აქტიორული დიაპაზონი, რომელიც ინსტიტუტის წლებშივე გამოავლინა ე. მანჯგალაძემ, შემდეგ ახალ-ახალი წარმატებებით განამტკიცა. მან თამამად გაარღვია „ამპლუის ლოკალი“ და ფართო გზა მისცა თავის ნიჭს, რომ უფრო მრავალფეროვნად გამოვლენილიყო იგი.

პირველი, ყველაზე თვალსაჩინო და მაცურებლის მიერ ერთხმად აღიარებული წარმატება ე. მანჯგალაძის მიერ პეშეკის (ი. ფუჩიკი — „ადამიანებო, იყავით ფხიზლად“, რეჟ. მ. თუმანიშვილი) როლმა მოუტანა. ქართველ მაცურებელს ახლაც კარგად ახსოვს მისი „მამილო“. ე. მანჯგალაძის სახით მაცურებელმა ცოცხლად იხილა ჰერმანოვი, წელში ოდნავ მოხრილი, მაგრამ საოცრად მეტყველი თვალებით აღბეჭდილი სახე თავისუფლებისმოყვარე ჩეხისა, იმ ადამიანისა, რომელიც ასე აწამეს ფაშისტებმა,

მაგრამ ვერ გასტეხეს მისი ძლიერი და ამაყი, ამასთანავე სათუთი სული.

იდეური სიცხადე და რომანტიკული ზეაწეულობა ჰქონდა ე. მანჯგალაძის პეშეკს. რომანტიკულმა მსახიობმა როლი გაათავისუფლა უმნიშვნელო ყოფითი დეტალებისაგან, იგი გაწმინდა ყველაფერი იმისაგან, რაც ხელს შეუშლიდა სახის პოეტიზაციას, მის რომანტიკულ ამბობულობას.

პეშეკი დიდი იდეალების მქონე ადამიანია, იგი მალალი ზნეობრივი პრინციპების მოქალაქეა. მან იცის ძლიერი სიძულვილი მტრისა და ასევე ძლიერი სიყვარული თავისი ხალხისა. მას სწამს ფაშის განადგურება, სწამს ჩეხი ხალხის მომავალი. ამ ნათელ იდეურ ძალას ე. მანჯგალაძემ პოეტური და რომანტიკულად ამბობული მხატვრული სამოსელი მოუძებნა.

პეშეკი ერთგვარი საყრდენი წერტილი გახდა აქტიორული შემოქმედების იმ რომანტიკული სტილისა, რომელიც შემდეგ მანჯგალაძემ არა ერთ როლში გამოავლინა საუკეთესოდ.

არა მარტო ფსიქოლოგიურ დრამებში, ტრაგედიებშიც ჩანს ე. მანჯგალაძის მისწრაფება ფართო მასშტაბებისაკენ. იგი ამას ამყდენებს კომედიებსა და სატირულ ნაწარმოებებშიც, თვით ყოფაცხოვრებითი ხასიათის ვოდევილებშიც კი. ამ თვისებით ე. მანჯგალაძე ორგანულად უკავშირდება რუსთაველის თეატრის ტრადიციას, მის მხატვრულ თავისებურებას.

ტრაგედია და კომედია, ვოდევილი და ლირიკული დრამა, სატირა, პოემა... ეს არის ე. მანჯგალაძის რეპერტუარი. იგი მოიცავს ყველა ჟანრს და იძლევა მსახიობის უნარის ყოველმხრივი გამოვლენის საშუალებას. როცა პეშეკის ღრმა ფსიქოლოგიურ სახეს, მის პოეტურ ბუნებას ვიხსენებთ, ჩვენ გვაგონდება ამ როლის სრულიად საწინააღმდეგო ხასიათის ლოპესიცი (ფლეტჩერი — „ესპანელი მღვდელი“). ე. მანჯგალაძემ ჰეშეკით და დიდი

ოსტატობით განსახიერა ეს კომედიური როლიც. მისი ლაბესი ზეიმა ნამდვილი თეატრალობისა, ფორმათა ელვარებისა; გონებაშახვილურად მიკვლეული დეტალებისა. იგი ჩვენ გვჩინებდა არა მარტო შესრულების ოსტატობით, მკაფიო და ნათელი თეატრალური ფორმით, არამედ იმ პოეტური ზეაწეულობით, რომელიც შესანიშნავად ავლენს მანჯგალაძის შემოქმედებითი ბუნების მრავალფეროვნებასა და მისი სტილის მიმზიდველ ხასიათს. სწორედ აქ ერთიანდებიან პეშეკი და ლაბესი, დრამატული და კომედიური ხასიათები. რაოდენ დიდადაც არ უნდა განსხვავდებოდნენ ისინი, მათ აერთიანებთ მანჯგალაძის მკვეთრი აქტიორული ინდივიდუალობა, მისი სტილის თავისებურება.

როცა გ. სუნდუკიანის პიესას „პეპო“ კითხულობთ, ეცნობით ერთ-ერთი მთავარი გმირის — ზიმზიმოვის ხასიათს, თქვენ გჯერათ, რომ ეს არის ნამდვილი ძველი ვაჭარი მთელი თავისი ფსიქოლოგიით. ეს არის ადამიანი, რომელსაც დიდხანია დაუკარგავს მალალი ადამიანური ღირსებანი, ფულში გაუყვია სინდისი და კაცური კაცობა. არაფერი წმინდა და ამაღლებული მას არ აქვს. ე. მანჯგალაძემ ამ როლშიც იპოვა ის „საყრდენი წერტილი“, რომლითაც ერთგვარი პოეტური გზნება მიაჩიჭა ზიმზიმოვის სახესაც. დიახ, პოეტური, თუმცა იგი არ უკავშირდება იმ პოეზიას, რომელსაც ტრადიციულად ვიცნობთ: თავისებურად პოეტურია ე. მანჯგალაძის ზიმზიმოვის გზნება და ტრფიალი ფულისა და სიძუნწისადმი. მისი სულიერი სიმდაბლე და გონებაშეზღუდულობა მსახიობმა გამოხატა დიდი ექსტაზით, შთაგონებით. რაც უფრო მეტად გაუსვა მან ხაზი ამ ექსტაზს. სიძუნწეს, როგორც „აბსოლუტურ ვნებას“ (მარქსი), მით უფრო მკაფიოდ გამოიჩინა მხილების ძალა.

ეს განსაკუთრებით მეორე აქტში.

...მიდირულად, მაგრამ უგემოვნოდ მოწყობილ ოთახის კედელზე ორი სურათი ჰკიდია. სურათიდანაც საგრძნობია

მათი ხასიათი. ოთახში შემოდის მანჯგალაძე — ზიმზიმოვი. ის ცოცხალი ხატია სურათისა. შეღებული თმა, ზმირი წარბები, სახის კომპოზიციიდან ამოვარდნილი წითური ცხვირი, არწივისებური თვალები და შესატყვისი ჩაცმულობა ხაზგასმით ამხილებენ ზიმზიმოვის მტაცებულ ბუნებას. მაგრამ ეს არ არის მახინჯი პორტრეტული ნახაზი და ამ გზით გამოკვეთილი სახე. ზიმზიმოვის საქმის, მისი მიზნების კრიტიკა მანჯგალაძემ თავისი გმირის შინაგანი ცხოვრების გამოხატვაში მოგვცა. სწორედ ამ შინაგანი ბუნების გამომჟღავნებით, ნათელი და მკაფიო სატირული ფორმით აღწევს მსახიობი ზიმზიმოვის მორალის, მისი ქცევის, მისი იდეალის უარყოფას.

ოთახში შემოსული ზიმზიმოვი დიდხანს ტრიალებს სარკის წინ... თვითმკაცოფილება იპყრობს. „არა, ჯერ კიდევ კარგად ვარ! რა მაკლია? — ტანი ალვის ხეს მიმიგავს, ლოყები წითელ ვარდსა და თმები გიშერს... რა ვუყოთ, რომ შეღებულია...“ ინტიმურად წარმოთქვამს მონოლოგს, მერე უცებ მრავლისმეტყველ პაუზას აკეთებს, ეფემიას (მისი მეუღლეა. ამ როლს შესანიშნავად ასრულებს მ. ჩახავა) სურათისაკენ გაიხედავს და მონოლოგს სრულიად შეცვლილი, უცნაურად გარდაქმნილი ინტონაციით განაგრძობს: „ადამიანის ხნოვანებაც, ქეიფიც სულ ცოლზეა დამოკიდებული“ (ვითომდა შემომხედეთ, რა ცოლი მყავს, რა ბედნიერი ვარო!). შემდეგ ეალერსება სურათის ისე, როგორც ეფემიას ცოცხალ სახეს. ამ დროს შემოდის ეფემია. ე. მანჯგალაძე, რომელმაც სურათთან დაიწყო თავისი ცოლის ალერსი, ექსტაზში შედის. უკრავს მუსიკა. მღერის ორივე, მღერიან და ცეკვავენ. მხიარულობენ ისე, როგორც უბედნიერესი ადამიანები, ისინი, რომელთაც სული დამშვიდებული აქვთ. მაგრამ რაოდენ ფარისევლურია და უნიადგო მათი ზეიმი. საკმარისია ოთახში წარმოთქვას სიტყვა „ფული“, რომ ყველაფერი თავუკულმა დადგეს. ცული

გზით ნაწილი ფული კლავს ვულწირფელსა და ჭეშმარიტ სიხარულს.

მანჯგალაძის ზიზიზიოვი ერთგვარი სინთეზური სახეა. მასში არის დრამატიზმაცა და ლირიზმიც, კომიკური უხერხულობებიცა და მოჩვენებითი პათეტიკაც. მასში არის გზნებაცა და სულიერი მოთენთილობაც, არის ცეკვა; სიმღერა და საერთოდ აქტიორულ საშუალებათა მრავალფეროვნება.

ჩვენი თანამედროვეობის აქტუალურმა პრობლემებმა თავისი გამოძახილი და ასახვა პოვა ე. მანჯგალაძის შემოქმედებაში. მან შექმნა საბჭოთა ადამიანის არაერთი როლი.

საბჭოთა ადამიანის ცხოვრების, მისი ზნეობრივი და ესთეტიკური იდეალების გამოხატვა ყოველი მსახიობის უაღრესად საპატიო ამოცანაა. თანამედროვეობის მღელვარე პრობლემების გარეშე არ უცხოვრია არც ერთ დიდ ხელოვანს. ამიტომ მსახიობმა, რომელსაც სურს ფართო შემოქმედებით გზებზე გასვლა, უპირველეს ყოვლისა სწორედ თანამედროვეობის პრობლემებზე უნდა იფიქროს. რა თქმა უნდა, თანამედროვეობა აქტიორულ ხელოვნებაში უაღრესად ფართო ცნებაა. იგი მოიცავს არა მარტო იმას, რაც უშუალოდ ჩვენს დღევანდელობას ასახავს, არამედ კლასიკურ დრამატურგიასაც და იმ აქტიორულ საშუალებებს, რომლებიც სწორედ ჩვენი დროის თეატრისათვის არის ნიშანდობლივი.

მაგრამ ახლა ჩვენ ვლაპარაკობთ ჩვენს დღევანდელობაზე, საბჭოთა ხალხის ცხოვრებაზე, მისი შრომისა და ბრძოლის ასახვაზე. ეს ყოველი მსახიობის კეთილშობილური ამოცანაა. მაყურებელს უჩვენო მისი თანამედროვე ადამიანი, უჩვენო დადებითი გმირი მთელი მისი ცხოვრებით— უაღრესად რთული საქმეა, მაგრამ ამ სირთულეშია სიკეთეც. ამ სიკეთეს მაღალი მიზანი განსაზღვრავს. უცნაურია, მაგრამ ფაქტია, რომ ზოგჯერ ცალკეულ მსახიობებს ძალიან იოლ საქმედ მიაჩნით თანამედროვე ადამიანის ჩვენება, ამი-

სათვის მხოლოდ საკუთარ შთაბეჭდილებებს, ინტუიციას ეყრდნობიან. სამაგიეროდ, დიდხანს ფიქრობენ და მთელი დატვირთვით ემზადებიან პატარა როლებზეც კი კლასიკურ პიესაში. ამიტომ ვთქვამ, რომ ჩვენი თეატრების სცენაზე ასე მომრავლდნენ პრიმიტიული, უსახური როლები.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ გაცილებით მეტი შრომა და სიფრთხილე მართებს საერთოდ თეატრს და კერძოდ მსახიობს, როცა საქმე ჩვენს თანამედროვეობას ეხება. სასიხარულო ის არის, რომ ე. მანჯგალაძის შემოქმედებითს ბიოგრაფიაში გამორჩეული ადგილი უჭირავს თანამედროვეობის ამსახველ რეპერტუარს. მანჯგალაძე მუდამ დიდი სიყვარულით, გაცაცებით მუშაობს თანამედროვე ადამიანის სახეზე. ამ ძიებას, ინტენსიურ შემოქმედებით შრომას თავისი დადებითი შედეგიც მოჰყვა. ქართულმა თეატრალურმა კრიტიკამ და მაყურებელმა საშართლიანად აღიარა ქართული აქტიორული ხელოვნების უკანასკნელი წლების მიღწევად ე. მანჯგალაძის ბოცო („ზღვის შვილები“).

მანჯგალაძის ბოცო ასახიერებს საბჭოთა ადამიანის საუკეთესო თვისებებს. მან ბრძოლისა და შრომის დიდი გზა განვლო. სწორედ ის არის იმ თაობის მოწინავე შვილი, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ახალ, საბჭოთა ქვეყანას. რევოლუციის ქარიშხლიანმა წლებმა გამოაწართო მისი სული. იგი, როგორც მეზღვაური, მუდამ ვაჟაკურად იცავდა საბჭოთა ქვეყანას, თავისი ხალხის ინტერესებს. და აი გავიდა მრავალი წელი. იგი მოხუცდა, მაგრამ მაინც დიდი ოპტიმიზმით შესცქერის ხვალისდელ დღეს. სამამულო ომში მან დაკარგა თავისი ერთადერთი შვილი. მაგრამ შერჩა რევოლუციაში ნაწრთობი კაცის სულიერი სიმხნევე და სიჯანსაღე. ასე ძლიერ პიროვნებად გამოსახა ე. მანჯგალაძემ ბოცო. შინაგანი ძალა ხასიათისა მსახიობმა გადმოგვცა რო-

მანტიკული ზეაწეულობით, ნამდვილი პოეტური შთაგონებით.

ის ადამიანური სევდა და ტკივილიც კი, რომელიც მოხუცს ეწვევა ხოლმე, მანჯგალაძემ გამოხატა უღრმესი სიფაქიზითა და პოეტური მშვენიერებით. განსაკუთრებულ მომხიბვლელობას ანიჭებს სახეს ნაწი იუმორი. ე. მანჯგალაძის გონებამახვილობა, მისი უნარი კომიზმისა ამ როლში გამოვლენილია დიდი ტაქტიკითა და ზომიერებით. მანჯგალაძის ბოცოს იუმორი აქ მოცემულია როგორც ცხოვრებისადმი ოპტიმისტური დამოკიდებულების თავისებური ფორმა.

ე. მანჯგალაძეს ბევრჯერ უთამაშია თანამედროვეობის ამსახველ სხვა პიესებშიც (ს. კლდიაშვილის „დღესასწაული საკრეულაში“, ა. არბუზოვის „ირკუტსკის ისტორია“ და სხვ.), მაგრამ არსად არ მიუღწევია ამგვარი წარმატებისათვის.

როცა ე. მანჯგალაძის შემოქმედებაზე ვლაპარაკობთ, მუდამ გვახსოვს რუსთაველის სახელობის თეატრის მხატვრული თავისებურება. ამ თავისებურებაზე ძალიან კარგად თქვა განსვენებულმა პროფესორმა ს. მოკოლსკიმ: „საბჭოთა თეატრებს იმ მებგობრულ ოჯახში, რომელიც სოციალისტური რეალიზმის სრული ათვისებისაკენ მიისწრაფოდა, რუსთაველის სახელობის თეატრი ყოველთვის რჩებოდა ისეთ მხატვრულ ორგანიზმად, რომლის შემოქმედებაში ნათლად იგრძნობოდა მიდრეკილება რევოლუციური რომანტიკისადმი, რაც ორგანული ნაწილია სოციალისტური რეალიზმისა. ჩემი აზრით, ეს რევოლუციური რომანტიკა, რაც რუსთაველის თეატრში ჯერ კიდევ მისმა პირველმა ხელმძღვანელებმა კ. მარჯანიშვილმა და ს. ახმეტელმა დანერგეს, ამჟამადაც რჩება ამ თეატრის სცენურ სტილად, ერთ-ერთ ყველაზე მიმზიდველ თავისებურებად. რუსთაველის თეატრი ერთ-ერთი ყველაზე პოეტური თეატრია საბჭოთა კავშირის თეატრებს შორის“.

ე. მანჯგალაძემ ორგანულად იგრძნო თეატრის ტრადიციის ეს საუკეთესო მხარეები. იგი ახლებურად, თანამედროვეობის მოთხოვნების კვალობაზე ავითარებს მათ. ეს გამოჩნდა მის მიერ შექმნილ სახეებში. (პეშეკო, ბოცო, ოდიპოსი და სხვ.).

დ. ალექსიძის სპექტაკლმა „ოდიპოს მეფემ“ საყოველთაო აღიარება პოვა. ოდიპოს მეფის როლს რუსთაველის თეატრში სამი შემსრულებელი ჰყავს. ე. მანჯგალაძე შემოქმედებითად ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა იყო, როცა იგი საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტების ა. ხორავასა და ს. ზაქარიასის შემდეგ გამოვიდა ოდიპოსის როლში. ეს იყო მისი ყველაზე დიდი გამოცდა. ვინ იცის, სცენის რამდენი ტიტანი შერკინებია ოდიპოსის როლს და ცოტა თუ მიწვდა აქტიორული ხელოვნების მწვერვალებს. ეს ყველაფერი კარგად იცოდა ე. მანჯგალაძემ და უღრმესი პასუხისმგებლობითაც მოეკიდა ოდიპოსის სახეს. მისი პირველი წარმატება როლის მეორე ნაწილის ჩინებული შესრულებით დამთავრდა. აქ მთელი სისასხით გამოჩნდა ჰაბუკი მსახიობის ტემპერამენტი, განცდის ძალა, ემოციურობა და სცენური მომხიბვლელობა. მისი ხმა გრგვინავდა ჰაბუკური გზნებით, შთაგონებით. ამ ხმაში ისმოდა ბრძენი მეფის ტრაგიკული ბედი.

ე. მანჯგალაძემ უცებ როდი დაძლია ოდიპოსის როლი. ექვს წელზე მეტია იგი შეუწელებლად ისწრაფის, რათა ოსტატურად გამოხატოს ბედს შეჭიდებული ადამიანის ტრაგიკული სული. ამ მიზანსწრაფვამ კარგი შედეგი მოგვცა. მის მიერ შესრულებული სახე ოდიპოსისა უფრო დასრულდა, უფრო ფილოსოფიური და დახვეწილი გახდა. როლზე მუშაობა ჯერაც არ დაუმთავრებია მანჯგალაძეს. იგი კვლავ ეძებს ახალ საშუალებებს, ახალ ფერებსა და ინტონაციებს, რომ მთელი სისრულით გამოხატოს მსო-

ფლიოს ამ ერთ-ერთი ყველაზე რთული და ამაღლვებელი გმირის სასიათი.

ბევრი რამ არის საინტერესო ე. მანჯგალაძის ბიოგრაფიაშიც. მაგრამ ამჯერად არ მოვეყვებით, როგორ გახდა იგი ფეხბურთის კომენტატორი, როგორ დაამთავრა თეატრალური ინსტიტუტი, როგორი იყო მისი აქტიორული შემოქმედების დასაწყისი და ის წლები, ს. ახმეტელის დადგმების ნახვით რომ იკლავდა ჭაბუკურენს „არტისტის კარიერას“ აყოლილი.

ე. მანჯგალაძის შესახებ სხვაც ბევრი იტყმის. ჩვენ მხოლოდ ზოგადი შტრიხებით აღვნიშნეთ მისი შემოქმედებითი გზა. ეს არის ნამდვილი დიდი შემოქმედებისაკენ მიმავალი გზა. ამ გზაზე ხალასი ნიჭის, მაღალი მოქალაქეობრივი იდეალებისა და კეთილშობილური გულის ადამიანები დადიან. ისინი დადიან ამ პირდაპირი და პატიოსანი გზით, დადიან თავისი ქვეყნისა და ხალხისადმი სიყვარულით შთაგონებულნი...

5

კლასიკარ მგელაძე

ხალხური მშაბრელობის ინსტიტუტის აქტუალური

ოსმალთა ბატონობის დროიდან აჭარაში „ოლქა“, „ოლქი“ სასოფლო თემს, ხოლო „ოლქა“ და „ოლქობა“ თემობას, თემის ყრილობას ეწოდებოდა. მასალების ერთი რიგით „ოლქობა“ და „ოლქობა“ თემობის გადაწყვეტილებით განხორციელებული აჯანყებაა, ხოლო „ოლქა“ თემის სამხედრო ძალის, შეიარაღებული რაზმის სახითაც წარმოჩნდება.

ტერმინი „ოლქა“ პირველად სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონშია მოხსენებული. იგი თურქული წარმოშობის სიტყვაა და ქართულ თემს შეესიტყვება.

ოლქობის ინსტიტუტის ადგილობრივი (აჭარული) სახელწოდება „მოყრიანობა“ ყოფილა. ოსმალთა ბატონობის დროს ტერმინი „მოყრიანობა“ „ოლქობით“ შეცვლილა. ასე, რომ თუმცა ტერმინი „ოლქა“ არაა ქართული, თვით მოვლენა, მისი ფუნქციები და არსი ადგილობრივი ეთნოგრაფიული სინამდვილიდანაა აღმოცენებული.

თავისთავად ცხადია, ოლქობის ინსტიტუტი ცხოვრების მოთხოვნის შესაბამისად იცვლიდა თავის სახესა და შინაარსს. ზოგი მისი ფუნქცია დრომოქმული ხდებოდა, ხოლო ზოგჯერ ახალ ფუნქციასაც იძენდა. ასე, მაგალითად, „ოსმალობას-

თან“ ბრძოლის დროს ოლქობა დაუპირისპირდა თურქულ ადმინისტრაციულ მმართველობას. ამ პერიოდში იგი წარმოჩნდება შინაური თუ გარეშე მტრის წინააღმდეგ ხალხის ერთიანი ბრძოლის ფუნქციებით. ამიტომაც იყო, რომ ზოგ მკვლევარს ოლქობა მხოლოდ გლეხთა აჯანყებად მიაჩნდა, ზოგს კი ერთი ოლქის მეორეზე თავდასხმად.

ოსმალთა ბატონობის დროს აჭარაში ჯერ კიდევ მოქმედ ხალხური მმართველობის სისტემას და მის შემონარჩუნებას ახალი საფუძველი გაუჩნდა, მაგრამ ძველ ფორმებსა და მეთოდებს ახალ ვითარებაშიც იყენებდნენ. ხალხსა და მთავრობას შორის სადაო საკითხს ჯერ ოლქობა განიხილავდა, ხოლო შემდეგ, მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, მოქმედებდა მოსახლეობა. მთავრობასთან „ოლქობის სურვილი სიტყვით თუ გავიდოდა“, ხალხი ამას დასჯერდებოდა, და „თუ იარაღი“ იქნებოდა საჭირო, „იმას გამოიყენებდნენ“.

ოლქობა თანდათანობით კარგავდა თავდაპირველ დემოკრატიულ ხასიათს და გაბატონებული კლასების ვაგლენაში ექცეოდა. „ოსმალობის“ დროს აჭარული თემი ორმაგი ექსპლოატაციის ობიექტი

გახდა. გაიზარდა კლასთა წინააღმდეგობა. მასობრივი ხასიათი მიიღო ანტიოსმალურმა და ანტიბატონოვურმა აჯანყებებმა, რომლებიც ოლქობის ხელმძღვანელობით ხორციელდებოდა.

XIX საუკუნის ათიან წლებში ოლქობის ერთ-ერთი მოთავე ვინმე ჩახალ-ოღლი ყოფილა, რომელმაც ბეგების წინააღმდეგ „ოლქაობაც“ (აჯანყება) კი მოაწყო. ოლქაბაშმა შეადგინა რაზმი („ოლქა“), თავს დაესხა ფაშას, დაუქცია სასახლე და ციხე-კოშკი.

ანტიოსმალური ოლქობა (თემის ყრილობა) და მისი გადაწყვეტილებით განხორციელებული აჯანყება („ოლქაობა“) XIX საუკუნის 40-იან წლებშიც მომხდარა. პ. უმიკაშვილის თქმით, რეფორმების წინააღმდეგ დარაზმული აჯარა აიშალა — „ოლქობა დიდი ადგა“ და აჯანყებულებმა კახაბრის მთა დაიჭირეს. პორტა იძულებული გახდა რეფორმები, („თანზიმათი“) შეეჩერებინა. „ბეგი და გლეხი“ ამ დროს ერთად გამოვიდნენ, თუმცა დროებით.

ოლქობის გადაწყვეტილებით მოსახლეობა პირველად კარს მომდგარ მოწინააღმდეგეებს უმასპინძლდებოდა. ეს იქიდანაც ჩანს, რომ გასული საუკუნის ნახევარში, როცა ხალხი ართვინის ახლოს, სოფელ სვეტში მცხოვრებ ათაბაგს შეუწყუხებია, ვინმე კიბელ კიკინ-ოღლის ჰაბუკთა რაზმი შეუდგენია. ამ რაზმს აუკლია ბეგი, დაუქცევია სასახლე და პირობა ჩამოუერთმევია: აღარ გამხდარიყო „უსამართლო პირების მომხრე“. ოსმალური ადმინისტრაცია ხალხთან ბრძოლაში ყოველთვის დათმობაზე მიდიოდა. ერთი წერილობითი ცნობით, იგი ოლქობის მიმართ „ძალას მაინც და მაინც არ ხმარობდა“ და მისდამი „ძლიერ მორიდებულ იყო“ („დროება“, 1876, № 21, 25).

გასული საუკუნის შუა წლებიდან ოსმალეთი შეეცადა აჯარიდან ჯარის გაყვანას, დაშვიდა გადასახადები. მდგომარეობის გამოსწორება ხალხმა თვითონ სცადა. 1876 წელს კინტრიშის ხეობის მცხოვრებლებმა ოლქობა მოიწვიეს. ყრი-

ლობამ „ქობულეთის მართვა“ 16 კაცისაგან შემდგარ საბჭოს დაავალა („დროება“, 1876, № 15). 1879 წელს ხულოს სახეობის ოლქობამ 16 კაცისაგან შემდგარი დეპუტაცია აირჩია და დაავალა მუჰაჯირთათვის ადგილების შერჩევა („დროება“, 1879, № 7).

აჯარის მიკრორაიონებს ოლქობათა შორის პერიოდში „საბჭო“ განაგებდა, რომელსაც ოლქობის გადაწყვეტილების განსახორციელებლად შეიარაღებული ძალა, ე. წ. „ოლქა“ ჰყავდა. საფრთხის დროს „ოლქაში“ ქუდზე კაცი ირიცხებოდა. რუსეთ-თურქეთის უკანასკნელი ომისდროინდელი ოლქობის ერთი მონაწილის თქმით, აჯარაში რუსეთის არმიის შემოსვლის დროს „მთელი ზემო და ქვემო აჯარა ფეხზე დადგა. ვისაც თოფის აღება შეეძლო, სულ „ოლქად“ (მებრძოლად) გავიდა“ (თ. სახოკია, მოგზაურობანი, გვ. 129-130).

ოლქობის გადაწყვეტილებას კანონის ძალა ჰქონდა. 1873 წლის აპრილში შემდგარმა მთელი აჯარის ოლქობამ იმსჯელა იმაზე, დარჩენილიყვნენ აჯარაში თუ ოსმალეთში გახიზნულიყვნენ. დანდალოში შეკრებილ ამ ოლქობას გამოუტანია გადაწყვეტილება: „ვისაც სურს აქ ყოფნა, დარჩეს, ვისაც გნებავთ, გზა გაქვთ, წადით“. ამავე დროს ოლქობას დაუდგენია: გახიზვნა-ადგილზე დარჩენა თვით სოფელმა გადაწყვიტოს. ან კიდევ, ოსმალთა მიერ ჩაქვის დაპყრობის დროს შემდგარ ოლქობას უმსჯელია: მიეღოთ ისლამი და დამორჩილებოდნენ თურქეთს, თუ გაეწიათ წინააღმდეგობა. რამდენიმე დღის მსჯელობის შემდეგ ოლქობამ გადაწყვიტა მიეღოთ ისლამი და დამორჩილებოდნენ მომხდურთ. მსგავსი რამ განმეორდა 1880 წელს ზემო აჯარაში. მუჰაჯირობის საკითხთან დაკავშირებით მცხოვრებლებს კვლავ „ჰქონდათ ყრილობა“. ყრილობას დაუდგენია კომაროვთან გაეგზავნათ დეპუტაცია შემდგვი შინაარსის სიგელის მისაღებად: აჯარიდან არ გაიყვანონ ჯარი, ქალებს, ძალა არ დაატანონ პირბადის ახლაში, არ მოისპოს ტყის უფასო სარგებ-

ლობა, არ დაინიშნონ ტყისმცველები, ტყე არ გადაიქცეს სახელმწიფო საკუთრებად. ოლქობას (ყრილობას) გამოუტანა გადაწყვეტილება: თუ ხელისუფლება ამ გადაწყვეტილებას შეასრულებდა, აჭარლები განიზვნაზე ხელს აიღებდნენ. ამავე ოლქობას ჩააბარა თავისი ანგარიში 1879 წელს ოსმალეთში გავზავნილმა მუჰაჯირთათვის ადგილების დამთვლიერებელმა დეპუტაციამ. დეპუტაციის ერთ-ერთმა მონაწილემ ლომან-ეფენდი ქარცივაძემ ყრილობაზე განაცხადა, „არ გირჩევთ გადასახლებას“. ამ ავტორიტეტიანი მამულიშვილის გამოსვლამ ერთგვარად შეაკავა ზემო აჭარის მცხოვრებთა განიზვნა.

ოლქობის კომპეტენციაში შედიოდა სასამართლო საქმის წარმოება, ქურდობის წინააღმდეგ ბრძოლა, თემის ადათ-წესების დაცვა და ა. შ. მთელი სოფელი თავის თავს მოვალედ ხდიდა მოენახა დამნაშავე თუ რაიმე დაიკარგებოდა, სოფელს უნდა ებოვა ქურდი, წინააღმდეგ შემთხვევაში თვითონ გადაიხდიდა დაკარგული ნივთისა თუ იარაღის საზღაურს („დროება“, 1879, № 12). ჭახათსა და სოფელ ქობულეთში შეკრებილი ცნობებით, ოლქობა ის იყო, როდესაც „ქურდს ხალხი დაუწყებდა ძებნას“.

ველზე მოპოვებულ მასალების ანალიზით გაირკვა, რომ ოლქობის ხელთ იყო თემის ადათ-წესების „მტეხელთა“ სიკვდილ-სიცოცხლის საქმეც. ზოგი ინფორმატორის თქმით, „ოლქობაზე დამნაშავეებს ასამართლებდნენ“. ასე, მაგალითად, დამნაშავე ქალი ჯოჯოს თემის ოლქობას სიკვდილითაც კი დაუსჯია. ქვედა მარადიდში ჩაწერილი მასალით, ბავშვის ქურდი მამაკაცი ოლქობის გადაწყვეტილებით ღელეში დაუხრჩვიათ. ამ სამოსამართლო ოლქობას ჩხალას ხეობიდან მოწვეული 50 მამაკაცი ესწრებოდა. სხვათა შორის, სამოსამართლო პროცესში ბჭეთა მოწვევა აღმოსავლეთ საქართველოს შთიანეთშიც (ხევსურეთში) დასტურდება (ნ. ხიზანიშვილი, ეთნოგრაფიული წერილები, გვ. 54).

თემი იყო პიროვნების (თემის წევრის) პატრონი და მფარველი. თავის მხრივ თემზე უნდა დამორჩილებოდა ყველასათვის საეალდებულო თემის ნორმებს, დაცვა მისი ინტერესები. კინტრიშის ხეობაში ჩაწერილი მასალებით „მოკვეთის“ ფაქტიც კი წარმოიჩნდება იმ შემთხვევაში, თუ თემის წევრის დანაშაული მძიმე იქნებოდა. ასეთ თანამოსაქმეს „გარიცხავდნენ სოფლიდან“. თემში „ოლქობა რასაც გადაწყვეტდა, მას დამშლელი არ ყავდა“. ზოგიერთი ინფორმატორის შენიშვნით, „ოლქობა იყო არასანდო პირებისაგან ტერიტორიის წმენდა“.

ოლქობის სამოსამართლო ფუნქციამ ასახვა ზეპირსიტყვიერებაშიც პოვა. ერთ ხალხურ ლექსში ნათქვამია:

„ქმარო, მე ვკვდები, შენ გიხარია,
ვიცი, თვალი გაქვს შენ სხუა ქალზე,
მომე ჩერჩები, ცხენს მე შეეცდები,
წავალ ოლქაში, იქ გავსწორდებით“.

ოლქობის ფუნქციად ითვლებოდა აჭარის მომიჯნავე ქართულ ეთნოგრაფიულ რაიონებთან (გურია, მესხეთი, შავშეთი, ლაზეთი) ურთიერთობაც. მის კომპეტენციაშივე შედიოდა თვით აჭარული თემების ტერიტორიული საკითხების, ტყის, საძოვრებისა და სათიბების თაობაზე ატეხილი დავის მოგვარება, გზებისა და ხიდების მშენებლობის ორგანიზაცია. ოლქობა თაობდა მეზობელი თემის დალაშქვრას, მტაცებლური ექსპედიციების მოწყობას, ნადავლისა და პირუტყვის წასხმას. იგი წყვეტდა თემებს შორის პირველობისათვის წარმოებული ბრძოლების მოწყობის საკითხებს. ამიტომაცაა, რომ მთხრობელთა ერთი ჯგუფის განმარტებით, „ოლქობა — ეს არის დაცემა პირველობისათვის“.

თემების ურთიერთ დალაშქვრა აჭარაში ცნობილია „ოლქა დაეცას“ სახელით. ზეპირსიტყვიერების ერთი ნიმუში — „ქობულეთური ლექსები ოლქობაზედ“ („დროება 1897, № 30) მოგვითხრობს კინტრიშის ხეობის ოლქას „გურიანთლებზე“ (გურულებზე) წარუმატებლად თავდასხმის ეპიზოდს. ამ ლექსს ისტორიის მე-


ცნიერებათა კანდიდატი ხ. ახვლედიანი ასეთ კომენტარს უკეთებს: მასში „მოხსენებულა ოლქობა, თითქოს ერთი ოლქი შეორეს ეცემოდა სარწმუნოებრივი წინააღმდეგობის გამო“ (ნარკვევი აჭარის ისტორიიდან, 1944 წ., გვ. 42). როგორც ცნობილია, ამ ხასიათის ექსპედიციები ეწყობოდა თვით სამუსლიმანო საქართველოში. თავდასხმითი ექსპედიციები დასტურდება აღმოსავლეთ საქართველოს ქრისტიანულ პროვინციებშიც. მათ აწყობდნენ არა სარწმუნოებრივი წინააღმდეგობის გამო, არამედ პირუტყვის, ქონებისა და ტყვეების ხელში ჩასაგდებად, ახალი ტერიტორიების დასაპყრობად, სხვა თემის დასაბეგრავად და ამ გზით მუდმივი შემოსავლის წყაროს შესაქმნელად (ვ. ბარდაველიძე, ხევსურული თემი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, XIII, № 8, გვ. 500).

თავდასხმელი რაზმები (ოლქა), როგორც წესი, იქმნებოდა ცალკეული თემებისა და თემთა ლოკალური ჯგუფების მიხედვით (აქტები, XII, გვ. 580). ლოკალური ზონების თავდასხმელი რაზმები სამ—ხინოს (25 კაცი), ქობულეთის (15 კაცი) და შიდამთიანი აჭარის (200 კაცი) ჯგუფად ნაწილდებოდა. ეს რაზმები „ოლქას“ გადაგვარებული ნაირსახეობა უნდა იყოს.

„ოლქა“, როგორც სვანური „სვიმრა“, უნდა იყოს თემის შეიარაღებული ძალა. იგია ოლქობის გადაწყვეტილების განმახორციელებელი (რ. ხარაძე, ხალხური მმართველების სესტემა სვანეთში, „მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის“, VII, გვ. 189-190).

თუ ჩვენი ვარაუდი სწორია და „ოლქა“ სვანური „სვიმრა“ მსგავსი ინსტიტუტია, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ აჭარის ეთნოგრაფიულმა სინამდვილემ XIX საუკუნეშიც კი, ასე თუ ისე, შემოგვინახა სამხედრო დემოკრატიის ელემენტები. ამ ვარაუდს ისიც ამაგრებს, რომ ოლქობაზე დასწრება ყველა სრულწლოვანის უფლებას შეადგენდა. მეთემენი ყრილობაზე შეიარაღებული სხდებოდნენ თემობით, სოფლებისა და მიკრორაიონების მიხედვით. ასეთივე ფაქტი დადასტურდა ზემო სვანეთში, მულახის თემში. აჭარის სინამდვილეში ამ ფაქტზე ჯერ კიდევ 1879 წელს მიუთითა პ. უმიკაშვილმა. მოთხრობაში „პატარა ახმედა“ იგი წერდა: „ჯგუფ-ჯგუფად, სოფელ-სოფელ შეყრილი ხალხი დიდს რჩევაშია და დიდ საგონებელშია ჩავარდნილი. მოხუცებულთაგან ყმაწვილამდე თავით-ფეხებამდე თოფ-იარაღით შეკავშული ხალხი გაცხარებული და გულმწყრომარე ისეთი სანახავია, რომ პირველ საომრად გამზადებულ ლაშქარსა ჰგავს. ნუ გეგონებათ, რომ ხალხს ომის წადილი ადევნებდეს, ოლქობაა, საომარი ნუ გვინათ...“

ამრიგად, ოლქობა, როგორც ხალხური მმართველობის ინსტიტუტი, თავის კომპეტენციაში აერთიანებდა საკანონმდებლო, სამოსამართლო, აღმასრულებელ და განმკარგულებელ უფლებებსა და ფუნქციებს; მისი საქმე იყო თემებსა და მეზობელ ოლქებთან ურთიერთობის მოგვარება.



ნეკუთ ჩიჯაუაძე

სამიწათმოქმედო ყოფის ზოგნიერთი უპვედისი ნეს-ჩვეულება აჭარაში

ქართველი ხალხის ყოფაში გადმონაშთის სახით შემონახულია ზოგი არქაული ელემენტი, რომლებიც დროთა ვითარებაში ქრისტიანული სარწმუნოების წესებს შვერწყა.

წარმართული დროის სარწმუნოებრივი წესების გადმონაშთები გვხვდება აჭარაშიც, რომელიც თავს იჩენს ზებირსიტყვიერების სხვადასხვა ენარში, საოჯახო და სამეურნეო ყოფაში, განსაკუთრებით სამიწათმოქმედო კულტურის სფეროში.

ცნობილია, რომ მიწა ყველა სამიწათმოქმედო რელიგიაში იწოდება „დედად“. „დედამიწას“ ძველად სხვა მნიშვნელობაც ჰქონია. მიწა დედა იყო, რადგან მცენარეულსა და, მამასადამე, ნაყოფს ბადებდა. ეს სახელი მიეკუთვნა მას განსაკუთრებით იმის გამო, რომ მიწაში ჩათესილი თესლი თუ ჩარგული მცენარე იზრდებოდა და ადამიანს საზრდოს აძლევდა. მიწის დედრობით სქესად აღიარება თითქმის ჩვეულებრივი მოვლენაა ყველა მიწათმოქმედ ხალხში. ამასთან ერთად ხალხური რწმენით მიწის გამანაყოფიერებელია ცა — ზეცა, წვიმა ანუ ციური წყალი, რომელიც სასურველ დროს ყოველთვის როდი მოდიოდა. ამდენად მიწათმოქმედებასთან დაკავშირებულ წეს-ჩვეულებებში მნიშვნელოვანი

ადგილი უჭირავს ამინდის მაგიური მართვის და ნაყოფიერების სიუხვის რიტუალურ მხარეებს.

აგარაულ საქმიანობასთან დაკავშირებული უძველესი რწმენის გადმონაშთებს აჭარაში წარმოადგენს „ლაზარობა“, „ქაშატობა“, „ყანულის გაღება“ (პირველი კვლის გატანა) და სხვ. ამჟამად ჩვენ მხოლოდ ქაშატობასა და პირველი კვლის გატანაზე შევჩერდებით.

* * *

ქაშატობა, რომელიც ძალზე სუსტი გადმონაშთის სახით აჭარის მთიანეთში გვხვდება, მეცნიერულად დღემდე შეუსწავლელია, ზებირსიტყვიერი მასალა მასზე ერთობ ძუნწია. წაშლილია აგრეთვე ამ უქმედლობის რიტუალური მხარე და სხვა დამახასიათებელი ელემენტი. ირკვევა, რომ ქაშატობა წესად ჰქონიათ მალალი მთის სოფლების, კერძოდ, ხულოს, ღორჯომის, დიდაჭარის, ხიხაძირის, შუბნის, ნაღვარევ-ინწყირვეთის მოსახლეობას. მათგან ყველაზე უფრო იგი შემორჩენილია ღორჯომის სეობაში.

ქაშატობაზე „ყურანი“ არაფერს ამბობს, რაც იმას ადასტურებს, რომ მუსლიმანურმა სარწმუნოებამ ქაშატობა არ

იცის. იგი უცხოა ქრისტიანული სარწმუნოებისთვისაც.

მაშასადამე, ქაშატობის სახით ჩვენ საქმე გვაქვს უძველესი, წარმართული სარწმუნოების ერთ-ერთ გადმონაშთთან.

ქაშატობა მინდვრის მუშაობის აღკვეთილი დღეა, ყოველი წლის აპრილის პირველი შაბათი. ამ დღეს მიწის ყველა სამუშაო — ხვნა, თონხა, თესვა, რგვა, საერთოდ მიწაზე რაიმე საგნის შეხება აღკვეთილი იყო. ხალხის რწმენით, თუ ამ წესს დაარღვევდნენ, სეტყვა, წვიმა და ღვარი მოვიდოდა, მოსავალს განადგურებდა, ყანას, წისქვილს და, შესაძლებელია, სახლ-კარსაც წაღეკავდა.

ასეთი რისხვა თავს ატყუებოდა არა მარტო წესის გამტეხს, არამედ მთელ სოფელს, თემს. ამიტომაც უქმედლეობა და მისი დაცვა მთელი თემის, მისი თვითული წევრის წმინდა მოვალეობა იყო.

რიტუალური მხარეები და ქაშატობის დამახასიათებელი სხვა ელემენტი ხალხის მეხსიერებიდან მთლიანად წაშლდლია. მაგრამ აშკარად ჩანს იმის მტკიცე რწმენა, რომ უქმე დღის გატეხა არავის ეპატიებოდა.

განვიხილოთ ქაშატობის მეორე საყურადღებო მხარეც.

ხალხის რწმენით, ვინც ამ უქმე დღეს წმინდად დაიცავდა, მის ყანას და სახლ-კარს ღმერთი დაიფარავდა (წარმართთა წარმოდგენით კი, ცხადია, ამ უქმედლეობასთან დაკავშირებული ღვთაება). ეთნოგრაფიულ მასალებში აღნიშნულია, რომ სადაც ქაშატობას წმინდად ასრულებდნენ, იმათ მეტი „ბერეჭეთი“ (ბარაქა) ჰქონდათ, მათი მოსავალი უხვი და უვნებელი იყო. თუ ქაშატობის ეს მეორე დამახასიათებელი მხარე მერმინდელ დანართს არ წარმოადგენს, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ ამ დღეობასთან დაკავშირებული ღვთაება (შესაძლებელია ქაშატი) სიუხვისა და ნაყოფიერების გამგებელიც იყო. ტრადიციაში ეს მხარე შედარებით სუსტად ჩანს. მაგრამ თვით ეს ფაქტი უნდა მიგვითითებდეს იმ გა-

რემოებაზე, რომ იგი ქაშატობის მერმინდელი კი არაა, შესაძლებელია, უფრო ადრინდელი ფორმა იყოს, რომლის სრულყოფილი სახე დროთა განმავლობაში გაქრა.

არქაული სარწმუნოების ეს გადმონაშთი დადასტურდა ზოტისა და ზხაკაურის მოსახლეთა ყოფაშიც, რომლებიც გასული საუკუნის 70-80-იან წლებში ზემოაჭარიდან გადასახლდნენ გურიაში. როგორც ჩანს, მათ სხვა მამა-პაპურ წესებთან ერთად ქაშატობაც არ დაივიწყეს. აქაც ამ უქმის კალენდარული დღე იგივეა, რაც აჭარაში, მხოლოდ მას „ქარაშოთობას“ („ქარ შეთობას“) ეძახიან. ამ წესის დარღვევის შემთხვევაში ღმერთის რისხვით „შოროტობა“, „ნოღო“, კიბი მოვიდოდა და ყველაფერს ააოხრებდაო. ამბობენ მოხუცები. ქარაშოთი, ქარაშოტი აჭარულსა და გურულ კილოებში ძლიერ წვიმაქარს ნიშნავს, თუმცა გურიის მთიანეთის მკვიდრ მოსახლეობაში ქაშატობის უქმე დღის თუ დღეობის არსებობა არ დასტურდება.

ეთნოგრაფიული გადმონაშთის სახით ხევსურეთშიც არსებულია ქაშატობის მსგავსი უქმე დღეობა, რომელიც „პირიმზის“ სახელითაა ცნობილი. ნ. ხიზანიშვილის ცნობით, „ხევსურებს სეტყვა ხორხოშელასი ძალიან ეშინიათ, რადგან ეს ღვთისა და პირიმზის რისხვა ხშირი მოვლენაა და ხალხს ბევრჯერ ულუქმაპუროდ სტოვებს. ამისათვის პირიმზე დიდს პატივდიდებაშია... სეტყვა ხორხოშელას ასაცილებლად მთელს ხევსურეთში ცალკე დღეებს უქმობდნენ: პარასკევს, შაბათს და ორშაბათს, ზოგან კი სხვა დღეები იცინან“. აქაც უქმედლეობა მთელი თემისათვის სავალდებულო ყოფილა. არსებული წესი მთელი სიწმინდით რომ დაეცვათ და არავის გაეტეხა იგი, ხალხი საგანგებოდ „მეუქმეებს“ ანუ მეტვალყურეებს ირჩევდა. ამ უქმე დღეს მოსახლეობა სალოცავში მიდიოდა და შესაწირავებიც მიჰქონდა.

ერთგვარი მსგავსებაა ქაშატობასა და სვანურ დღეობა „იარუნესგას“ შორისაც. სვანური გადმოცემით, კაიშა მთავარანგელოზს შეუძლია მთის ფერდობების ჩამოშვება, ნიაღვრის წარმოშობა და ა. შ. ამ საშიშროების თავიდან ასაცილებლად მორწმუნე მოსახლეობა იღებდა შესაწირავს და ლოცულობდა. აღსანიშნავია, რომ კაიშას პატივსაცემი იარუნესგას დღეობაც შაბათია. ამ დღეს ქალები სალოცავში მიდიოდნენ და თან შესაწირავად ფქვილი და ცომი მიჰქონდათ.

ამრიგად, იარუნესგა, რომელიც აგრეთვე აგრარულ კულტურას უკავშირდება, ძარითადი თვისებებით ახლო დგას ქაშატობასთან.

აჭარულ ქაშატობასთან გარკვეულ მსგავსებას ავლენს ფინიკიელთა ღვთაება კაშაროტი, რომელსაც პროფ. ნ. ნიკოლსკი მოსავლიანობის ღვთაებად მიიჩნევს. ამ მკვლევარის აზრით, კოშაროტი (კაშაროტი ანუ ქაშაროტი) ზმნა კაშარისაგან მომდინარეობს, რომელიც ძველ ებრაულ ენაზე წარმატებას ნიშნავდა. აქედანაა ნაწარმოები ებრაული კოშარა ანუ წარმატება, მოხერხება, მოგება, შემოსავალი. ქაშარა წარმატების მნიშვნელობით სირიულ ენაშიც ყოფილა. აქედან გამომდინარე, ნ. ნიკოლსკიმ ქაშაროტი მოსაგვლის მფარველ ნაყოფიერებისა და სიუხვის ღვთაებად აღიარა. როგორც ვხედავთ, ეს სიტყვა (კაშაროტი-ქაშაროტი) საოცრად თანამებთხვევა ქაშატს (ქარაშოტს). მართალია, მათ შორის სემანტიკური სი-ახლოვე არ ჩანს, მაგრამ შესაძლებელია ერთი და იგივე ან ახლომდგომ ღვთაებასთან და მოვლენასთან გვაქვს საქმე. საქართველო ხომ მიწათმოქმედების ერთ-ერთი უძველესი ქვეყანაა და ასეთი თანხვედრილობა საეჭვოდ არ უნდა მივიჩნიოთ. ამასთან, არსებობს ბევრი სხვა ისეთი მონაცემი, რომელიც ადასტურებს

უძველესი ხანის წინა აზიისა და ქართველთა შორის კულტურულ ურთიერთობას.

* * *

უძველეს რელიგიურ გადმონაშთს მიეკუთვნება ცერემონიული ხენა-თესვაც, რომელსაც აჭარაში ყანულის გაღებას ეძახიან. ყანულის გაღება პირველი კვლის გატანას ანუ პირველი თესლის ჩაგდებას ნიშნავს. ეთნოგრაფიულად ყანულის გაღებაში მოხერხდა ზოგიერთი რიტუალური მხარის აღდგენა, რაც აშკარად მეტყველებს, რომ ამ გადმონაშთის სახით ჩვენ საქმე გვაქვს აგრარული კულტურის უძველეს წეს-ჩვეულებასთან.

ტრადიციით დასტურდება, რომ პირველი კვლის გატანის წესი ახლო წარსულში აჭარის თითქმის ყველა ხეობაში არსებულა, მაგრამ ხალხის მესხიერებასა და ნაწილობრივად ყოფაშიც ის უფრო მთის სოფლებში, ე. ი. ზემოაჭარაში აღმოჩნდა დაცული.

ყანულის გაღება იცოდნენ მარტ-აპრილში, სამშაბათ დღეს მთვარის სავსობისას. კვლის გავლება და მარცვლის ჩათესვა ოჯახის უფროსი მამაკაცის მოვალეობას შეადგენდა. იგი დილაადრიან, დარსა თუ ავდარში, ლოცვის შემდეგ, პირველ ორ-სამ კვალს გაავლებდა სახლის ახლო მდებარე ნაკვეთზე („ნაფუძარზე“) და ჩათესავდა ლოცვით.

ხალხის გადმოცემით, ძველად რთველზე თესლის შერჩევაც იცოდნენ, რომელსაც ცალკე ინახავდნენ ბელელში.

ეთნოგრაფიული მასალებიდან ვგებულობთ, რომ თესლის გაუტანლად ხენა მიუღებელი იყო. ამის შემდეგ კი ნებისმიერ დღეს შეიძლებოდა მუშაობის გაგრძელება.

სხალთის ხეობაში ხარის შებმის პირველ დღეს, დილით, ოჯახში გაამზადდნენ ერბოიან ფაფას, რომელსაც ოჯახის ყველა წევრი ცოტ-ცოტას შეჭამდა, ხარებსაც წააცებდნენ კისერზე და მხო-

ლოდ ამის შემდეგ გავილოდნენ კვლის ვასალებად.* ხიხაძირში კვლის გავლების წინ წესად ჰქონდათ ხარის შუბლზე კვერცხის შემოკვრა, კარგი მოსავალი მოვაო. ასე რომ, კვერცხი მნიშვნელოვანი ელემენტი იყო პირველი კვლის გაულეებაში.

ყანულის გაღება არ ითვალისწინებს კვლის გატანისათვის დაწესებულ სავალდებულო დღეს მთელი სოფლისათვის, როგორც ეს დალესტანში თუ სხვაგან იყო მიღებული. აჭარის სინამდვილეში იგი არის ინდივიდუალური რიტუალური ხვნა, მაგრამ ასეთი ხასიათი, უნდა ვიფიქროთ, არ შეეფერებოდა მის თავდაპირველ ფორმას და ყანულის გაღებაც ანუ ყანის თუ მიწის თაყვანსაცემად განკუთვნილი ხვნა-თესვა, ქაშატობის მსგავსად, სათემო მოვლენად უნდა ჩაითვალოს. ამ ვარაუდს ადასტურებს სხვადასხვა ვარიანტის საკმაოდ მდიდარი პარალელური მასალა.

რაჭაში აღმოჩნდა ყანულის გაღების ანალოგიური ფაქტი. ალ. რობაქიძის ცნობით, აქ ხვნას იწყებდა მთელი სოფელი ერთ სავალდებულო დღეს. „ასეთ სავალდებულო დღედ მარტის თვეში მთვარის პირველი, მესამე ან მეხუთე დღე იყო მიჩნეული, კერძოდ 9 მარტი. ამ დღეს თოვლიც რომ ყოფილიყო, გლეხი მაინც გაიტანდა სახვნელს, მახლობლად გააკეთებდა ორ კვალს და რამდენიმე მარცვალს დათესდა“. გურიის სამეურნეო ყოფის მონაცემებით ირკვევა, რომ თესლის გატანა ახალწელიწადს ცოდნიათ. გ. მამალაძე გადმოგვცემს, რომ ახალი წლის ფერხაობისა და საახალწლო სადილობის შემდეგ ოჯახის უფროსი მამაკაცი ეზოში თოხით სიმინ-

დის ან ღომის თესლს ჩათესავდა ლოცვით, „ღმერთო ბარაქიანი წელიწადი დაგვიყენეო“.

სვანეთში „თესლის გახსნა ანუ გაშვება“ (ლაშიამ ლიფშუდე) სრულდებოდა ლილაშუნეს (თესლაობის) დღესასწაულზე. ლაშიამ ლიფშუდეს დროს საგანგებოდ შემონახულ ხორბლის მარცვალს ნეხვში აურევდნენ და ისე გაიტანდნენ ყანაში. აქ ერთ ადგილას თოვლს ჩამოთხრიდნენ და თესლს ნეხვიანად მიწაში ჩათესდნენ (ვ. ბარდაველიძე, სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი).

აჭარულ ვარიანტთან ყველაზე ახლოა მესხური რიტუალური თესვა, სადაც სარიტუალო კომპონენტში კვერცხიც შედიოდა. როგორც ვხედავთ, საწესჩვეულებო ხვნა-თესვა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გარკვეული ელემენტებით ერთიმეორეს იმეორებენ და ერთიან ხალხურ წეს-ჩვეულებაზე მიუთითებენ.

საწესჩვეულებო ხვნა შემონახული იყო დალესტნის მთიანეთშიც, სადაც იგი ცნობილია გუთნის გამოტანის დღესასწაულის სახელწოდებით.

ბელორუსიაში პირველი ხენის რელიგიურ-მაგიურ წესს ეწოდება „პერშაე ვორივა“, რაც „პირველ მოხვნას“ ნიშნავს. კვალს ავლებდნენ მხოლოდ სავსე მთვარიან ღამით. იქ სავსე მთვარე მიაჩნდათ უხვი მოსავლის მაგიურ ძალად.

„პერშაე ვორივა“ მთელი სოფლის დღესასწაულად ითვლებოდა და პირველი კვლის გატანის უფლება ეძლეოდა იმ ოჯახს, რომელსაც ყველაზე დიდი ზომის კვერცხი აღმოაჩნდებოდა (ნ. ნიკოლსკი).

კვერცხი უმეტეს წილად განუყრელი ატრიბუტია საწესჩვეულებო ხვნაში. მარის ტომებში მთელ თემს პირველი მოხვნის წინ „მიწის დედის“ საკურთხეველთან შესაწირავად მიჰქონდა აღუღებული თაფლი, კვერცხი და სხვ.

როგორც ვხედავთ, ყანულის გაღება მისი ანალოგიებით არ არის სამეურნეო

* სტ. მენთეშაშვილი, აჭარის ეთნოგრაფიული მასალები, ენიშკის მოამბე, II, ნ. 1, გვ. 147.

ხასიათის ოპერაცია. იგი რელიგიური ხასიათისაა და ძველად უთუოდ ყანის მფარველ ღვთაებას უკავშირდებოდა. ამ წეს-ჩვეულებაში ძალზე სუსტად, მაგრამ მაინც შემონახულია ძველი კვალი მინდვრის ღვთაებისადმი განკუთვნილი შესაწირავებისა, როგორცაა ფაფა, კვერციხი, თესლი. ამასთან ერთად ყანულის გაღებაში ხაზგასმულია ასტრალური რწმენის წმინდა მაგიური ხასიათი (სავესე მთვარე — სავესე მოსავალი).

ამრიგად, ქაშატობა და ყანულის გაღება მიწათმოქმედების კულტებს უკავშირდებოდა და მეურნეობის ავტორიზაციას ემსახურებოდა. მათში განსახიერებული იყო ნაყოფის სიუხვისა და ღაცვის ზეციური ძალისადმი თაყვანი.

ქაშატობის თუ ყანულის გაღების ხალხში შემორჩენილ ფორმებს დღეს თითქმის დაკარგული აქვთ რელიგიური არსი და ისინი ხალხურ ტრადიციად უნდა მივიჩნიოთ.





კატრიოტული წერილების კრებული

არიან ადამიანები, რომლებიც თავისი სიცოცხლის მანძილზე პირადი ცხოვრებისათვის არავისაგან არაფერს არ ითხოვენ და თავს ბედნიერად თვლიან, თუ მათმა შეუპოვარმა ბრძოლამ ერის კეთილდღეობისათვის ცოტაოდენი ნაყოფი მაინც გამოიღო. ასეთ ადამიანთა შორის თამამად შეიძლება დავსახელოთ ჰაიდარ აბაშიძე, რომელმაც დიდი დეაწლი დასდო ქრისტიან და მაჰმადიან ქართველთა ძმობის განმტკიცებას, ქართველი მაჰმადიანების ეროვნულ გათვითცნობიერებასა და მათში ქართული კულტურის დანერგვას.

მე ბედნიერი ვარ, რომ პირადად ვიცნობ ჰაიდარ აბაშიძეს, ბევრი საინტერესო მოგონება მომისმენია მისგან და ამიტომაც ნებას ვაძლევ ჩემს თავს ორიოდ სიტყვა ვთქვა მისი მოღვაწეობის შესახებ ახლა, როცა ხელთა მაქვს ჰ. აბაშიძის წერილების კრებულის მეორე გამოცემა. 1960 წელს გამოცემულ კრებულთან შედარებით ეს გამოცემა შევსებულია ახალი მასალებით, საინტერესო ფოტოსურათებით და გაცილებით სრულ წარმოდგენას იძლევა ჰ. აბაშიძესა და მის დამსახურებაზე ხალხისა და სამშობლოს წინაშე.

XIX საუკუნის მეორე ნახევრის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი იყო დიდი

ხნით მოწყვეტილი აჭარის კვლავ შეერთება დედა-სამშობლოსთან, რასაც მთელი საქართველო დიდი ილიას მეთაურობით განსაკუთრებული სიხარულით შეხვდა. დაიწყო ბრძოლა მაჰმადიანი და ქრისტიანი ქართველების ეროვნული გაერთიანებისათვის, რასაც ხელს უშლიდა სარწმუნოების სხვადასხვაობა და თურქოფილი ბეგებისა და ხოჯა-მოლების ანტიქართული პროპაგანდა.

XIX საუკუნის 70-იან წლებში, როდესაც აჭარა საქართველოს დაუბრუნდა, გამუხლმანებელი ქართველები შიშმა შეიპყრო. „მათ ეგონათ, — წერდა ამის თაობაზე ჰაიდარ აბაშიძე სტატიაში „ხმა ქრისტიან მოძმეებს“, — რომ ესლაც ისეთი დღე მოელოდათ, რაც მათ ოსმალეთმა დაჰპართა, ე. ი. სჯულის გამოცვლა, ვაი-ვაგლახი და აწიოკება. ამიტომ შეშინდა და ნაწილი ოსმალეთში გარდაიხვეწა. დანარჩენები კი უცდიდნენ თუ რა იქნებოდა და როგორ მოეწყობოდა რუსეთის ორთავიანი არწივის ქვეშ მათი ცხოვრება“. მასასადამე, საჭირო იყო ამ შიშის გაფანტვა, ქრისტიან და მაჰმადიან ქართველთა დაძმობილება.

ამ მეტად რთულ და ძნელ სამოქმედო ასპარეზზე საქართველოს სიყვარულით გამსჭვალულ ბატრიოტებს მხარში ამოუდგა არაერთი შეგნებული აჭარელი და

მათ შორის ჰ. აბაშიძე, რომელიც უშიშ-
რად იბრძოდა თანამოძმეთა შორის
მიძინებული ეროვნული გრძნობის გაღ-
ვიძებისათვის, ქართული კულტურის
აღორძინებისათვის. ამიტომ იყო, რომ იმ
წლებში ქრისტიანი და მაჰმადიანი ქარ-
თველები აღტაცებით კითხულობდნენ ჰა-
იდარის წერილებსა და კორესპონდენცი-
ებს, რომლებიც დღესაც არ არიან ინ-
ტერესს მოკლებულნი ჩვენი ქვეყნის
წარსულის ყველა შემსწავლელისათვის.
ჰაიდარის მტრები ცდილობდნენ დაემა-
ხინჯებინათ მისი პოზიცია და ამტკიცებ-
დნენ, თითქოს ჰ. აბაშიძე გაქრისტიანდა,
თავის რჯულს უღალატაო. მაგრამ ახალ-
გაზრდა საზოგადო მოღვაწე არ შეუშინ-
და მტრის პროვოკაციებს და აჭარაში ოს-
მალთა ბატონობის არაერთი ქომაგი (მათ
შორის მუსლიმანი არაბი, ვასფი-ფეენდი
და სხვ.) იდეურად განაიარაღა. იგი მჭი-
დროდ უკავშირდება ხალხს, მის მოწინა-
ვე ნაწილს და მათთან ერთად ილაშქრებს
იმ პირთა წინააღმდეგ, ვინც ხელს უშ-
ლიდა აჭარელთა და ლაზთა მდგომარეო-
ბის გაუმჯობესებას, მათში ქართული
ეროვნული თვითშეგნებისა და კულტუ-
რის დანერგვას.

იმ დროს, როდესაც თურქოფილები ბა-
თუმში თურქულ საგანმანათლებლო და-
წესებულებათა ჩამოყალიბებას და სა-
ერთოდ მოსახლეობის გათურქებას ცდი-
ლობდნენ, თავის სტატიებსა და გამოსვ-
ლებში ჰაიდარ აბაშიძე ხაზგასმით აღნი-
შნავდა, რომ ოსმალეთი მუდამ ისწრა-
ფოდა მიეტაცა საქართველოს მიწა-წყალი,
მისი სიმიდრენი, ხოლო დაპყრობილი
პროვინციების მცხოვრებლები გადაექცია
სულთნის უსიტყვო მონარკეებად, რომ
ოსმალეთი არასოდეს არ ყოფილა საქარ-
თველოს მეგობარი. აჭარისა და საერთოდ
სამუსლიმანო საქართველოს აყვავების
გზას ჰ. აბაშიძე მხოლოდ მოძმე ქართ-
ველ ქრისტიანებთან მჭიდრო კავშირში
ხედავდა, მთელ იმედებს მათზე ამყა-
რებდა, ღახმარებას მოითხოვდა, თავგა-
მოდებით იბრძოდა აჭარაში ქართული

სკოლების გახსნისათვის და ააშკარავებ-
და ოსმალეთისა და მისი დამქაშების
მტრულ ხრიკებს. „მაშ, შორის ოსმალეთის
და ზოგიერთი მოღალატეების ახალი ქვე-
ლები და გაუმარჯოს ჩვენ დიდებულ მო-
მავალს, მთლიან საქართველოს“, წერდა
ჰ. აბაშიძე. „ჩვენდა საბედნიეროდ, —
დასძენდა იგი, — ჩვენი მშრომელი ხალ-
ხი თანდათან ერკვევა და იგნებს, თუ
დღემდის რა სარგებლობა მოუტანა მათ
ამ ბეგებმა და მუქთახორებმა: მხოლოდ
მოტყუება, ავანტურისტულ ნაბიჯების-
კენ მოწოდება, ჩვენი მშრომელი ხალხის
ბრმა იარაღად გამოყენება“. დასასრულ,
ჰ. აბაშიძე მხურვალედ მოუწოდებდა მა-
ჰმადიან ქართველობას მთელ ქართველ
ხალხთან ერთად ებრძოლა სოციალური
და ეროვნული პროგრესისათვის.

ჰაიდარ აბაშიძე თავგამოდებით იცა-
და ქართულ ენას, თეატრს, ლიტერატუ-
რას და გადაჭრით ეწინააღმდეგებოდა
თურქოფილი ხოჯა-მოღებისა და ბეგების
ცდებს — ყოველგვარი ქართული შეეც-
ვალათ თურქულით.

„მე პირადად, — ამბობდა ცნობილი სა-
ზოგადო მოღვაწე და პუბლიცისტი ილია
ბახტაძე, — მოწმე ვიყავი იმისა, თუ რო-
გორი მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა
ჰ. აბაშიძეს ჩვენს მწერლებთან, ცნობილ
საზოგადო მოღვაწეებთან და როგორ ეხ-
მარებოდნენ ისინი აჭარლებს გათვით-
ცნობიერებასა და ქრისტიან ქართველე-
ბთან ძმური კავშირის დამყარების საქ-
მეში“. შემდეგ ი. ბახტაძე დასძენდა, რომ
მაჰმადიან და ქრისტიან ქართველთა შო-
რის მტკიცე ძმური კავშირის დასამყა-
რებლად იმდენი ზეგერს როდი გაუკეთე-
ბია, რამდენიც ჰაიდარ აბაშიძესო.

პატარა რეცენზიაში შეუძლებელია ნა-
თელვეყით ის დამსახურება, რაც ჰაიდარ
აბაშიძეს მიუძღვის აჭარის ეროვნულ
გამოფხიზლებასა და კულტურულ დაწი-
ნაურებაში. ყოველივე ეს კარგად ჩანს
თვით მის წერილებში და ისტორიის მე-
ცნიერებათა კანდიდატის ხ. ახვლედიანის
შესავალ წერილში.

„უბედნიერესად ვთვლი ჩემს თავს, — წერს ერთ-ერთ სტატიკში პ. აბაშიძე, — რომ მოვესწარი აჭარისა და მთელი საქართველოს განახლება-აღორძინებას, რაც ჩვენს ხალხს მოუტანა კომუნისტურმა პარტიამ და მისმა ეროვნულმა პოლიტიკამ.

ბედნიერი ვარ, რომ ახლა ის, რასაც ახალგაზრდობიდანვე ვნატრობდი და რისთვისაც ვიბრძოდი“.

ხალხის წიაღში გაზრდილ მგზნებარე მამულიშვილს, სამხრეთ საქართველოს

მიერ გადატანილი საშინელი ავბედობის ნაკვალავის აღმოფხვრისათვის თავდადებულ მებრძოლს პ. აბაშიძეს ამას წინათ 70 წელი შეუსრულდა, რაც ჩვენმა ლიტერატურულმა საზოგადოებრიობამ დიდი პატივისცემით აღნიშნა. საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობამ თავის მისასალმებელ წერილში ხაზი გაუსვა იუბილარის ღვაწლს და უსურვა მას დიდხანს სიცოცხლე და ჯანმრთელობა.

ი. თულაშვილი.

მნიშვნელოვანი ნაშრომი საქართველოს ძველი ქალაქების შესახებ

ქალაქების წარმოშობის, საქალაქო წყობილების და საქალაქო ცხოვრების საკითხების გარკვევას დიდი მნიშვნელობა ენიჭება ამა თუ იმ ქვეყნის ისტორიის შესწავლაში. სწორედ ამიტომაც დღეს ეს პრობლემები ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფიის ყურადღების ცენტრში დადგა.

თავისთავად ცხადია, რომ ქალაქების წარმოშობისა და განვითარების უძველესი ისტორიის შესწავლაში გადამწყვეტი მნიშვნელობა არქეოლოგიას ენიჭება. არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად მოპოვებულმა მრავალრიცხოვანმა მასალამ უნდა შეავსოს ის შედარებით მწირი ცნობები საქართველოს ძველი ქალაქების შესახებ, რომლებიც ქართულ და უცხოურ წერილობით წყაროებს შემოუნახავთ. ამით აიხსნება, რომ უკანასკნელ ხანებში ფართოდ გაიშალა ძველ ნაქალაქართა არქეოლოგიური შესწავლა და უკვე შესაძლებელი გახდა ვრცელი მონოგრაფიის გამოქვეყნებაც. მხედველობაში გვაქვს პროფ. ა. აფაქიძის ნაშრომი „ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში“. თუმცა მას საფუძვლად უდევს იბერიის (ქართლის) ძველ დედაქალაქ მცხეთაში მოპოვებული არქეოლოგიური მასალები, აგრეთვე, წერილობითი ცნობები და

მეცნიერული ლიტერატურა, მაგრამ სრულიად უდავოა მისი დიდი მნიშვნელობა არა მარტო საკუთრივ მცხეთის, არამედ საერთოდ ანტიკური ხანის საქართველოს ქალაქებისა და საქალაქო ცხოვრების შესწავლაში.

შესავლისა და ბოლოსიტყვაობის გარდა, წიგნი შეიცავს ხუთ ძირითად თავს, დართული აქვს პირთა და ეთნიკური სახელების საძიებლები, შემოკლებათა განმარტება, ტაბულები და მათი აღწერილობა. იგი უხვად არის დასურათებული, ახლავს 113 სურათი.

შესავალში ავტორი მიმოიხილავს ქართლის სამეფოს ანტიკური ხანის ქალაქების წარმოშობისა და განვითარების პრობლემებს, აგრეთვე მათი შესწავლის ისტორიას.

პირველ თავში განხილულია მცხეთის დედაქალაქობის ხანის ხუროთმოძღვრული ძეგლები, მშენებლობის, ხელოვნებისა და სამშენებლო მასალების საკითხები. მოპოვებული არქეოლოგიური მასალების, წერილობითი წყაროებისა და ეპიგრაფიკული ძეგლების ურთიერთშეჯერების მეოხებით ავტორი დღემდე გამოვლენილი საფორტიფიკაციო, საყოფაცხოვრებო და საკულტო ნაგებობათა მეცნიერული ანალიზის საფუძველზე გამოყოფს და განიხილავს მცხეთის დედა-

ქალაქობის ხანის სამ სამშენებლო პერიოდს და მათთვის დამახასიათებელ სპეციფიკურ ნიშნებს. აქვეა გაანალიზებული ხუროთმოძღვრულ ძეგლებში გამოყენებული სამშენებლო მასალათა საკითხები, რომელთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია გამოკვლევა მცხეთურ კრამიტზე. პროფ. ა. აფაქიძის ნაშრომის ეს ნაწილი გამოირჩევა პრობლემის ყოველმხრივი შესწავლითა და დოკუმენტაციის სისრულით. მეტად საყურადღებოა და მრავალმნიშვნელოვანი ავტორის დასკვნები ხელოსნური წარმოების ორგანიზაციის, კრამიტის დამზადების ტექნოლოგიისა და სხვათა შესახებ.

ნაშრომის შემდეგ თავებში განხილულია მცხეთის დედაქალაქობის დროინდელ სამარხთა ძირითადი ტიპები, აღნაგობა და დაკრძალვის წესი (მეორე თავი), ეპიგრაფიკული ძეგლები (მესამე თავი), ქალაქის გარეგნული სახე, მისი უმთავრესი ნაწილები და უბნები (მეოთხე თავი), ძველი დედაქალაქის მოსახლეობა, მცხოვრებთა რაოდენობა, მათი სოციალური და ეთნიკური შედგენილობა (მეხუთე თავი). სამარხულ მასალის, წერილობითი წყაროებისა და ეპიგრაფიკული მასალის ანალიზის შედეგად აღდგენილია ქართლის სამეფოს სოციალური და პოლიტიკური სტრუქტურის გარკვეული სურათი. არქეოლოგიური კვლევებით გამოვლენილი ძეგლები, წერილობითი ცნობები, ტოპონიმიკური და სხვა ხასიათის მასალები ავტორს საშუალებას აძლევს საკმაოდ ნათლად წარმოგვიდგინოს ქართლის (იბერიის) სამეფოს დედაქალაქის — დიდი მცხეთის მთელი რიგი უბნები, მათი საზღვრები და ა. შ.

ცხადია, სარეცენზიო ნაშრომში მთელი სისრულით როდია წარმოდგენილი მცხეთის დედაქალაქობის ხანასთან დაკავში-

რებული საკითხები. ვფიქრობთ, სწორედ ამიტომ ავტორს ეს ნაშრომი თავისი გამოკვლევის პირველ წიგნად ექვსგათვალისწინებული. უნდა ვივარაუდოთ, რომ სხვა, არანაკლებ მნიშვნელოვან საკითხებს იგი მომდევნო წიგნში განიხილავს.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ დღეისათვის არც შეიძლება წიგნში მიღებული დებულების ერთი ნაწილი, ჯერჯერობით მაინც, სადაო ან ნაკლებ დამაჯერებელი არ დარჩეს, მაგრამ არ შეეცდებით თუ ვიტყვით, რომ საპირისპირო დებულებებიც ამავე ვითარებაში აღმოჩნდებიან.

ჩვენს მოვალეობად მიგვაჩნია ნაშრომის ავტორს მივაწოდოთ ცნობა ერთ საკითხზე. კერძოდ, მცხეთური კრამიტის პარალელებს შორის ავტორი ეყრდნობა პროფ. ო. ჯაფარიძის ცნობას და ასახელებს „ღარიანი კრამიტის“ ნიმუშებს ურეკის ზღვისპირა დიუნის კულტურული ფენებიდან. ურეკისა და სხვა ანალოგიურ ძეგლებზე ჩვენ მიერ მოპოვებული მასალა დღეისათვის უკვე იძლევა იმის საშუალებას, რომ მითითებული ფრაგმენტები არა კრამიტის, არამედ აბაზანიანობის კუთვნილების ნატეხებად მივიჩნიოთ. გარდა ამისა, დასაზუსტებლად გვეჩვენება თვით ამ ფრაგმენტების დათარიღებაც. ყოველ შემთხვევაში, ფიქვნარსა და ჩაქვში ასეთი ფრაგმენტები, როგორც წესი, ანტიკური ხანის ფენებში გვხვდება.

დასასრულ, გვინდა გამოვთქვათ ერთი სურვილი. კარგი იქნება, თუ მეორე წიგნს ავტორი დაურთავს მცხეთის ტოპოგრაფიულ გეგმას და მასზე გაღიჯანს ქალაქის როგორც უკვე დადგენილ უბნებს, ისე არქეოლოგიურად შესწავლილ ცალკეულ ფართობებსაც.

ა. კამიშვილი





აპირან შეკრები

უკუღმართი

ალიოსმან თურმანიძის ვაჟს ჯემალი ერქვა, მაგრამ ზედმეტსახელად უკუღმართს ეძახდნენ.

პატარაობიდანვე თვითნება და უკუღმართი იყო ჯემალი.

ერთხელ ალიოსმანს სტუმარი ეწვია. მამამ შვილი დასაქმა და უთხრა — წადი, შვილო, და ქათამი დაკალი, შენებურად არ ქნა და მამალს არ გამოჭრა კისერი.

ჯემალმა მამალი დაკლა.

* * *

ალიოსმანმა ჯემალი მჭედელთან გაგზავნა.

— წადი, შვილო, მჭედელთან და უთხარი ცხენს წინა ფეხები დაჭედოს.

ჯემალმა ცხენი მიიყვანა მჭედელთან და მოახსენა:

— მამამ შემოგიფარა, ჩემს ცხენს უკანა ფეხები დაჭედო.

მჭედელს გაუკვირდა, მაგრამ რა ექნა... დააძრო ნალები და უფრო ახლები გაუქეთა.

როცა ჯემალმა ცხენი სახლში მიიყვანა, ალიოსმანი გაცეცხლდა, მიიბრინა მჭედელთან და გალანძდა:

— დაბრმავდი, თუ რა დაგემართა?!

— მე რა შუაში ვარ... შენმა შვილმა თვითონ ბრძანა: უკანა ფეხები დაჭედო.

* * *

ალიოსმანს ეზოში თივის ვეებერთელა ზვინი ედგა. თივა მუდამ გაზაფხულამდე ყოფნიდა და თავს ბედნიერად გრძნობდა. ერთხელ ალიოს-

მანმა ჯემალს დაუძახა და უთხრა: — არ გესმის, საქონელი როგორ ბღავის
ბოსელში? წადი და თევა დაუყარე, მაგრამ თუთუნი გამოიღე პირიდან,
თორემ, შენი ამბავი რომ ვიცი, მაგ ანთებულ თუთუნს ზვინზე დააგდებ
მალე საქონელი აღარ ბღაოდა, მაგრამ ალიოსმანმა ცეცხლს მოკრა
თვალი. ეზოში გამოვარდა. ზვინი უზარმაზარ კოცონად ქცეულიყო.

* * *

ზამთარი ახლოვდებოდა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ გაზაფხულამდე
სოფელი მოწყვეტილი იქნებოდა.

ამ დროისათვის ალიოსმანი მარილს იმარაგებდა... ერთი ურემი მარი-
ლი მთელ სოფელს ყოფნიდა.

ჰოდა, იმ შემოდგომის მიწურულს ალიოსმანი სოფლის განაპირას
მალლობზე ასულიყო და გზას გაცქეროდა. გზაზე ურემი გამოჩნდა მარი-
ლიანი ტომრებით დატვირთული. ურემს ჯემალი მოუძლოდა.

ურემს მდინარე უნდა გადმოელახა. ჯემალი ურემის კოფოზე შეხტა და
ხარები მდინარეში ჩარეკა. როცა ურემმა შუა მდინარეს მიაღწია, მარჯვნივ
გადაიხარა, ისე გადაიხარა, რომ კიდევ ცოტა და გადაბრუნდებოდა.

ალიოსმანი წამოხტა და ის იყო უნდა დაეძახა, ურემი მარცხნივ გადა-
ხარეო, რომ გაახსენდა შვილის უკუღმართი ხასიათი და დაუძახა:

— ჯემალ, ურემი მარჯვნივ გადახარე, თორემ გადაბრუნდება.

ალიოსმანმა იფიქრა, როგორც ყოველთვის, ჯემალი პირიქით გააკე-
თებს, მარჯვნივ კი არა მარცხნივ გადახრის ურემსო.


ჯემალს ამჯერად შეეცოდა მამა: „მთელი ცხოვრების მანძილზე ყვე-
ლაფერს უკუღმართად ვაკეთებდი. მოდი, ერთხელ მაინც დავუჯერებ...
ამით მამასაც ვასიამოვნებ და მზრილსაც გადავარჩენ“.

— ჯემალ, რას შვრები, ჯემააალ?!

მთელი ხმით ყვიროდა ალიოსმანი, მაგრამ გვიანდა იყო... ურემი გადა-
ბრუნდა და მარილიანი ტომრები წყალში ჩაცვივდა.

წელამდე მდინარეში ჩამდგარი ჯემალი ბრაზით დასცქეროდა ურემს და
მწარედ ფიქრობდა: „ცხოვრებაში მხოლოდ ერთხელ დავუჯერე მამას და
ისიც უკუღმა გამომივიდა“.

ალიოსმანი ლოდზე ჩამომჯდარიყო და თავი ხელებში ჩაერგო.



ხელმოწერილია დასაბეჭდად 10/VI 1964 წ. საბეჭდი 6, საგამომცემლო 5 თაბანი-
შეკვეთის № 3361, ემ 00613. ქაღალდის ზომა 60X92. ტირაჟი 2.600.

* * *

საქ. სსრ კულტურა სამინისტროს მთავარპოლიგრაფგამომცემლობათა
სამმართველოს ბათუმის სტამბა-ლითოგრაფია
(ლუქსემბურგის, 22)

ფანი 40 კპპ.

624/159



ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ
„ლიტერატურული ადჯარა“

ОРГАН АДЖАРСКОГО ОТДЕЛЕНИЯ
СОЮЗА ПИСАТЕЛЕЙ ГРУЗИИ
ИНДЕКС 76118